

ნეკოლას ჩუბოვსკი



პუტრიტა  
პუტრიტა



ნიკოლოზ ჩუკოვსკი

# კაკიტიანი ჯემს კუკი

9813

მ მ თ ხ რ მ გ ე

თარგმანი  
გ. ანთაძის



ს ა ხ ე ლ გ ა მ ი

თბილისი—1928

30/XI—27 ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრ. 1-ლი სტამბა, პლენ. პრ. № 91.  
მთავარლიტი № 2083. შეკვ. № 232. ტირაჟი 4000.

# დუქნის გიჭი.

თავი პირველი

ჯემს კუკი პირველად გადის ზღვაში

როდესაც ქალაქი სტეიტის დოკში მდგარ რომელიმე გემს უნდა ზღვაში გასვლა, მთელი აურზაური დგება ხოლმე. დოკი ყოველთვის გაჭედლილია გემებით, რომელნიც ერთიმეორეზე მჭიდროდ არიან მიდგმული ქვის ჯებირით დაკლაკნილ ვიწრო დოკში. ნაპირიდან ანძები გაუვალ ტყეს წააგავს, იმდენი გემია იქ და ისეთი ვიწროობაა.

დოკიდან ერთი გემის გამოსაყვანად საჭიროა გადასმ-გადმოსმა თითქმის ყველა გემის, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ ექნება გასავალი გზა, ეს კი საძნელო საქმეა.

და, აი, ჯებირზე აირბენს ხოლმე დოკის მსახური ხმამზარ-ღით ხელში და ღრიალებს ქარში ნაწყვეტ წინადადებებს. ამით ქადრაკის ფიგურებსავით მოჰყავს მოძრაობაში მძიმე გემები.

— „მთიელო“, წინ! — გუგუნებს ხმამზარდი. — დადექ „ნებ-ტუნის“ გვერდით. „ნებტუნო“, წინ! დადექ „ტრიდენტის“ გვერდით! „ტრიდენტო“, წინ! — დადექ „უშიშარის“ უკან!

ეს ბრძანებები, როგორც ელექტრო-ნაკადი, გადადის გემიდან გემზე და ყველაფერს ამოძრავებს.

ბოლოს განთავისუფლდება ვიწრო ზოლი შავი წყლისა, რომელზედაც გასცურავს ხოლმე ზღვაში გასასვლელად მომზადებული გემი.

ასევე მოხდა 1742 წლის ივლისის მოწმენდილ საღამოს, როდესაც სტეიტის დოკიდან გამოვიდა მენახშირე „ჰერკულესი“. ის ის იყო ბინდდებოდა, ცაში აენთენ პირველი ვარსკვლავები, ამიტომ მენახშირის მბეჭტავი სინათლე მკრთალად

მოჩანდა. სტეიტის თეთრი სახლები კი ჰქრებოდნენ, სად-  
ღაც შორს და ითქვიფებოდნენ ნაპირის ბუნდოვან ზოლში.

„ჰერკულესის“ ჟურნალში აღნიშნული იყო, რომ იგი  
ეკუთვნოდა „ძმათა უოკერის“ სავაჭრო ფირმას, მიდიოდა  
დუბლინში ნახშირით დატვირთული, კაპიტან ჯონ უოკერის  
და მისი თანაშემწე გენრი უოკერის ხელმძღვანელობის ქვეშ.  
ბებერი „ჰერკულესი“ ერთადერთი გემი იყო „ძმათა უოკერე-  
ბისა“ და მომჭირნე ძმებს, რომ არ მომატებოდათ ხარჯები,  
გემზე მხოლოდ ორი მეზღვაური ჰყავდათ. ცხადია, ამ მცირე  
შემადგენლობას არ შეეძლო სათანადოდ გასძლოლოდა გემს,  
რის გამოც ბებერი უწინასწარმეტყველებდა მას დაღუპვას. მაგ-  
რამ ზღვას თითქოს ეცოდებოდა „ჰერკულესი“, რომელიც  
ყოველთვის ზედმეტად დატვირთული, ყოველთვის ქუჩქიანი  
იყო და განაგრძობდა ცურვას სტეიტსა და დუბლინს შორის.

კაპიტანი ჯონ უოკერი ძუნწი, მოლუშული და წვერიანი  
იყო. იგი სრულიად არა ჰგავდა თავის ძმას და თანაშემწეს  
გენრი უოკერს, სულ მუდამ მხიარულს, მომზიბვლელს და გულ-  
ახდილ ადამიანს. გენრი უოკერი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო,  
უყვარდა წიგნები მოგზაურობის შესახებ და ხშირად ნავსად-  
გურში დიდხანს ებაასებოდა ხოლმე შორეულ ქვეყნებში ნა-  
მყოფ მოხუც მეზღვაურებს.

ძმები ერთგულად ცხოვრობდნენ და არასოდეს არ განშო-  
რებიან ერთმანეთს. ორივეს უყვარდა ზღვა, თუმცა სხვადასხვა  
მიზეზის გამო: ჯონს მოგების მიზნით, გენრის კი.... გენრიმ  
თვითონ არ იცოდა, თუ რისთვის, მაგრამ ყველაზე უფრო კი  
მაინც ზღვა უყვარდა.

ბოლოს სტეიტი მიიმალა წყვილიაღში. გენრი ჩაძვრა  
ლიუკის ბნელ ხვრელში, რომელიც გემძირედში ჩადიოდა, და  
წავიდა იმის დასათვალიერებლად, კარგად ეწყო თუ არა ნახ-  
შირით სავსე ტომრები, ხომ არ გადმოცვივდებოდნენ ისინი  
ღელვის დროს. ჯონი კი ერდოზე დარჩა. თხუთმეტი წუ-  
თის შემდეგ გენრი ამოძვრა ლიუკიდან, მაგრამ ჯონის გან-

საცვიფრებლად მარტო კი არა, არამედ ვილაც დაძონძილ ქუჩკიან ბიჭთან ერთად.

ბიჭი თხუთმეტი წლის თუ იქნებოდა. ძონძებ ქვეშ უჩანდა ტიტველი სხეული, დაფლეთილი ფეხსაცმელებიდან გამოჩრილიყვენ თითები. ჯაგარივით შავი თმა ნემსებივით აბურძგვნიდა, მარცხენა თვალი დაბეჭილი ჰქონდა და ვიწრო ქუჭრუტანას დამსგავსებოდა, სამაგიეროდ მარჯვენა პირდაპირ და მდგრად იცქირებოდა. უზარმაზარი კოპი ამშვენებდა შუბლს, რომელიც ოდნავ მოჩანდა ნახშირის მტვრით გამურულ პირისახეზე. იგი მოაბიჯებდა ისეთი გამბედავი და მოურიდებელი სახით, რომ ერთბაშად ძნელი იყო გაგება იმისა, თუ ვინ ვის მოჰყავდა—მას გენრი უოკერი, თუ გენრი უოკერს იგი.

— ერთი აქეთ გამოიხედე, ჯონ, რა ვიპოვე!—სიცილით სთქვა გენრიმ, მიიყვანა თუ არა ბიჭი ძმასთან.—იგი პირდაპირ ნახშირიანი ტომრიდან ამოძვრა და განაცხადა, რომ სამუდამოდ დარჩება ჩვენთან, გემზე. დავემუქრე, წყალში გადაგადებ მეთქი, მაგრამ მას სრულიადაც არ შეშინებია. პირიქით, ფრიად სერიოზულად მიპასუხა, რომ მისთვის უმჯობესი იქნება ზღვის ძირში იყოს და უცქიროს, თუ როგორ დასცურავენ მის თავზე გემები, ვიდრე დაბრუნდეს სტეიტში მემაუღე სენდერსონთან. ხა-ხა-ხა! ჯონ, გინახავს შენ ასეთი უცნაური ადამიანი? გეფიცები, მომწონს ეს ბიჭი!

ჯონმა წარბები მოღუშა. მას ასე ადვილად ვერ გაამხიარულებდი და თავს ვერ შეაბრალებდი, როგორც მის ძმას. რის გულისათვის უნდა წაეყვანათ მათ ირლანდიაში უფასო მგზავრი? „ძმათა უოკერების“ ფირმა ისედაც ძლივძლიობით ასდიოდა თავის ხარჯებს.

— შენი სახელი?—დაიწყო მან მრისხანედ დაკითხვა.

— ჯემს კუკი, სერ<sup>1)</sup>.

— მაშ, მისტერ ჯემს კუკო, როგორც ვატყობ, შენ სხვისი პურის ჭამა გლომებია.

1) სერ — ბატონი.

— არა, სერ, მე მუშაობა მინდა.

— მუშაობა? რა მუშაობას აპირებ?

— მინდა მეზღვაური გავხდე.

— ჩვენ იუნგა გვკირდება, — ჩაუთოო სიტყვა გენრიმ, მაგრამ ჯონმა ისეთი თვალით შეხედა, რომ მან მაშინვე ენაზე იკბინა:

— და მერე განა ამისთანა ძუძუმწოვრები გამოდგებიან მეზღვაურებად? — მკაცრად განაგრძობდა იგი, — განა შენ ყოფილხარ კიდევ როდისმე ზღვაში? გიცნობთ თქვენ, მუქთახორებს, რაცა ბრძანდებით!

— მე არაოდეს არ ვყოფილვარ მუქთახორა და არც ვიქნები, მე ყოველივეს შევისწავლი, სერ!

ჯონ უოკერს გაჯავრება უნდოდა, მაგრამ უეცრად შეამჩნია კოპი, ბავშის შუბლს რომ ამშვენებდა, და მას შეეცოდა თავისი მოულოდნელი თანამგზავრი.

— ვინ გაგალამაზა? — ჰკითხა მან.

— მისტერ სტენდერსონმა, სერ, ჩემმა პატრონმა. იგი მცემდა და მე გამოვიპარე. მე აღარ მინდა მის დუქანში მსახურობა, მე მინდა ინდოეთში წასვლა.

— ინდოეთში? — ჰკითხა ჯონ უოკერმა.

— ინდოეთში, — გაიმეორა ბიჭმა. — მე წავედი დოკში, გამოეძვრი ტვირთმზიდავებთან ერთად თქვენს გემზე და დავიმალე გემძირედში, ნახშირით სავსე ტომრებს შორის. დღედაღამ ვიმუშავებ, — მუდარით დაუმატა მან, — ყველაფერს შევასრულებ, რასაც კი მიბრძანებთ, ოღონდ წამიყვანეთ ინდოეთში.

ამ საღამოს ჯონ უოკერმა პირველად გაიღიმა, გენრიმ კი გულიანად გადაიხარხარა.

— ეჰ, ჯემს, შენ შეცდი, — სთქვა მან, — ჩვენ შეგვიძლია წაგიყვანოთ მხოლოდ და მხოლოდ ირლანდიაში, ქ. დუბლინში. ინდოეთში კი ამისთანა ბრტყელფსკერა ქვაბებით, როგორც ჩვენი გემია, არ მისცურავენ. მართალია, „ჰერკულესს“ უკეთესი დროც ახსოვს: როცა ახალი იყო, იგი დადიოდა ბერ-



გენში და კადიკსშიც, მაგრამ ინდოეთში რა მოგახსენო, ინდოეთს იგი არც კი გაჰკარებია.

ჯემსს იმედი გაუტრუვდა, მას ეგონა, რომ ყველა გემი მდის ინდოეთში. ასე აუხსნა ორი წლის წინ მისმა მამამ, საწყალმა, უსწავლელმა მუშამ. მაშინ ჯემსი პირველად მოხვდა ქალაქში, დაინახა ზღვა და განცვიფრებული იყო გემების სიმრავლით, რომლებიც იდგენ ნავსადგურში.

— სად მდის ეს გემები? — იკითხა მან.

— ინდოეთში, შვილო, ინდოეთში, — დაუფიქრებლად უპასუხა მამამ. და მას შემდეგ ბავშს მუდამ ენატრებოდა ერთ-ერთი ამგვარი გემით ინდოეთში წასვლა.

თბილი, წყნარი ღამე ჩამოწვა ზღვაზე და დაჭფარა წყალი. გენრი არწმუნებდა ძმას მიეღოთ ბავში სამსახურში. ჯონი კი, რომელიც სიბნელის გამო არ ჩანდა, სდუმდა, მისი ჩიბუხის ნაკვერჩხალი კი სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა.

— ჩვენთვის იონგა აუცილებელია, — ამბობდა ჯონი. — ეს ბიჭი ჩვენთვის ფრიად საჭიროა: ბებრუხუნა ჯექსონი ავადა გვყავს. ანძებზე ვიღა აძვრება? დევისი საქესთან უნდა იყოს. აბა, დაფიქრდი, ჯონ, რა იათად დაგვიჯდება ეს ბიჭი.

— კარგი, ვშინჯოთ, — სთქვა ბოლოს უფროსმა ძმამ.

— აბა, ჯემს, საქმეს შეუდექ, — ამბობდა იგი უკვე ერთი წუთის შემდეგ და მხარზე ადებდა ბავშს თავის მძიმე ხელს. — აგერ, ხედავ იმ იალქანს? მას ჰქვიან მუნსელი, მის შემდეგ აღარაფერია — მხოლოდ ცაა. აცოცდი ანძაზე და გახსენი იგი.

ჯემსმა ზევით აიხედა და გული აუძვერდა შიშასაგან.

მუნსელი ყველაზე მაღალი იალქანია გემზე.

ქვევიდან კი იგი ცხვირსახოცზე უფრო დიდარ მოგეჩვენებოდა. ასე ეგონა, ეს ეს არის მის მიერ დაბურტყილი ვარსკვლავები ჩამოტყვივდებიან ერდოზე და თვალეში.

ორივე ძმა გულმოდგინედ უთვალთვალებდა ბიჭს, რომელიც რამოდენიმე წუთის განმავლობაში უსიტყვოდ იტყირებოდა ზევით. „არ აძვრება, ვერ შესძლებს“, — ფიქრობდა ჯონი.

„ნუთუ არ აძვრება?“—სწუხდა გენრი. მას ეშინოდა, ვაი თუ ამ ბიჭმა, რომელიც პირველი შეხედვისთანავე ასე შემიყვარდა, გამიცრუოს იმედი და უბრალო მკვებარა და მშვიშარა გამოდგესო.

მაგრამ აი, ჯემს კუკმა დალუნა თავი და სთქვა:

— მეცმის, სერ!—და გასწია ანძებთან მიმავალი საბელგებისაკენ. გენრიმ თავისუფლად ამოისუნთქა.

ბიჭი მიცოცავდა კიბეზე; მას არცერთხელ არ ჩამოუხედნია ქვევით, ერდოზე, მაგრამ როდესაც მუნსელთან აცოცდა და მას გადააჯდა, იგრძნო, რომ თავბრუ ეხვეოდა და თითები უსხლტოდა ქონწასმულ ხეზე. მან განდევნა შიში, წელში გაიმართა და გაიხედ-გამოიხედა. არა, იგი ნახავს ინდოეთს, თუნდაც ამისათვის ზედ ცაზე აცოცებაც დასჭირდეს.

ის ვერ ხედავდა ზღვას სიბნელის გამო. მას მოეჩვენა, თითქოს „ჰერკულესი“ დაკურავდა უზარმაზარ შავ ყურეში, რომელსაც ამოჩრილი, წვეტიანი კლდეები შემორტყმოდენ.

ზევიდან გემი ვიწრო, ვიწრო ნაფოტს ჰგავდა, ქანდარა კი, რომელზედაც იგი იჯდა, თითქოს დაფრინავდა ჰაერში. ანძა, რომელიც აერთებდა მას გემთან, არ ჩანდა სიბნელის გამო. სიბნელიდანვე გამოფრინდა ზღვის ფრინველი და ჯემსის ირგვლივ დაიწყო ფრენა. ზღვა სრულიად დამშვიდებული იყო, მაგრამ როდესაც „ჰერკულესი“ ოდნავ მაინც სცვლიდა თავის გეზს, ანძა ისე გადაიხრებოდა, რომ ჯემსი ჰაერში დაეკიდებოდა ხოლმე.

ბოლოს, როგორც იყო, თოკი გახსნა. ის გამოუსხლტა ჯემს ხელიდან და დაატრიალა ჭოჭონაქის ბორბალი.

ჯემსი ჩამოსრიალდა საბელის საფეხურებზე და დაიწყო ჩამოცურება. დიად, ანძებზე ცოცვა გაცილებით უფრო ადვილი საქმე იყო, ვიდრე მაულის ზომვა მისტერ სენდერსონის ღუქანში.

— აკი გეუბნებოდნი, მეზღვაურად ივარგებს მეთქი,— უთხრა ძმას გენრი უოკერმა და თან თვალი არ მოუშორებია ცქვიტი ბიჭისათვის.

— მართაოს ამბობ, ივარგებს, — დაეთანხმა ჯონი და წითურ უღვაშებ ქვეშ გამოუშვა თამბაქოს სქელი ბოლი.

— ჩაუწერე ჯამაგირი, თვეში ექვსი შილინგი.

აი, ამრიგად დაიწყო ჯემს კუკმა, დიდმა მეზღვაურმა, თავისი კარიერა ზღვაზე.

## თახი მშორკი

### იუნგა კაპიტანი გახდა.

არ იყო ეს იუნგა ისეთი, როგორც სხვები. იგი თავისუფალ საათებს ან ანდომებდა ბანქოს თამაშს, არ სვამდა მეზღვაურების მიერ ქიქებში დატოვებულ ლუდს ან ღვინოს სტეიტისა და ღუბლინის სამიკიტნოებში. არა, ჯემს კუკი აუტანელი მუშაობის, ნახშირით სავსე შვიდფუთიანი ტომრების ზიდვისა და ანძებზე ცოცვის შემდეგ წიგნის წასაკითხად ჯდებოდა.

გენრი უოკერს ჰქონდა სავსე სკივრი ძველი წიგნებისა და ჯემსი მათ სიხარულით კითხულობდა. ყველაზე უფრო მას მოსწონდა აღწერა ზღვებზე მგზავრობისა. კოლუმბი, მაგელანი, ტასმანი, კვიროსი, კაპიტანი ღრეკი, — აი, ესენი იწვევდნენ შურს მის გულში. მასაც უნდოდა აღმოეჩინა რამე, უნდოდა ასეთივე საგმირო საქმეები ჩაედინა.

ინდოეთი აღარ ჰხიბლავდა მას. იგი იმ დროს უკვე საკმაოდ კარგად იყო შესწავლილი. მას იზიდავდა ინდოეთიდან აღმოსავლეთით მდებარე გიგანტური სივრცე, აზისა და ამერიკას შორის, ჯერ კიდევ სრულიად უცნობი ევროპელთათვის. იქ იყო წყნარი ოკეანე — უდიდესი ოკეანეთა შორის დედამიწის ზურგზე, რომელშიაც შესაძლებელია ყოფილიყო კუნძულები და მთელი მატერიკები, დიდძალი ხალხით დასახლებული. და მან გადასწყვიტა ყოველგვარი ღონე ეხმარა, რომ იქ წასულიყო.

ამიტომ მან დაიწყო ზღვაოსნობის თეორიის შესწავლა, იმ მეცნიერების, რომელსაც ნავიგაციას უწოდებენ. მალე ჯონ უოკერმა შეამჩნია, რომ კუკმა ზღვის საქმე უკეთ იცოდა, ვიდრე თვით მან. და როდესაც კუკს შეუსრულდა ოცდაორი წელი, მიენდო „პერკულესის“ ტარება და მას შვიპერჩ უწოდეს. ის იყო ყველაზე ახალგაზრდა შვიპერი მთელ დიდბრიტანეთში.

1755 წელს ინგლისმა ომი გამოუცხადა საფრანგეთს. კუკი ჯარში წაიყვანეს. როგორც მეზღვაურს და ამასთან ერთად შვიპერს, ადგილი მიუჩინეს სამხედრო ფლოტში და მისცეს ერთ-ერთი უმცროსი ოფიცრის წოდება. თითქმის მთელი ეს ხანა ომისა მან გაატარა ჩრდილო ამერიკაში, კანადაში, საფრანგეთის კალედონიაში, ინგლისის მიერ დაკავებულში.

მაგრამ ომი ნაკლებად იზიდავდა მას. ამერიკაში ყოფნის დროს მთელი თავისი დრო მდინარე წმ. ლაფრენტის ფარვატერის შესწავლას და გაზომვას მოანდომა. ეს იყო უძვირფასესი და უძნელესი მეცნიერული შრომა. მან გაგზავნა თავისი შრომის ნაყოფი საადმირალოში და ამის გამო უბოძეს ლეიტენანტის წოდება. ლონდონის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ იგი თავის წევრად გახადა, რამოდენიმე წლის შემდეგ კი იგი დანიშნულ იქმნა სამხედრო გემის უფროსად.

სამოციანი წლების მიწურულში ევროპის მთელ სამეცნიერო წრეებს აინტერესებდა ვენერის გასვლა მზის ბადროში. ეს საოცარი ასტრონომიული მოვლენა უნდა მომხდარიყო 1790 წელს და ამის დანახვა შესაძლებელი იყო მხოლოდ დედამიწის ზედაპირის სამხრეთ ნახევარსფეროდან. გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გადასწყვიტა გაეგზავნათ სამხრეთის ზღვებში სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც შესძლებდა ეწარმოებია აუცილებელი კვლევა-ძიება. ამ ექსპედიციის სათავეში საჭირო იყო ისეთი ადამიანის დაყენება, რომელიც ერთსადაიმანვე დროს კეთილსინდისიერ მცნიერიც უნდა ყოფილიყო და გამოცდილი მეზღვაურიც.

გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ჯემს კუკი აირჩია:

# აღმოუჩინელ ზღვევში.

თავი მესამე

ბ ე ნ კ ს ი.

ვენერის თვალყურის დევნებისათვის აირჩიეს ტაიტი, წყნარი ოკეანეს კუნძული, რომელიც არ იყო დიდი ხნის აღმოჩენილი. მაგრამ კუკს არ სურდა ტაიტზე გამგზავრება და მაშინვე უკან დაბრუნება. მას გაცილებით უფრო ხიბლავდა ოკეანეს უცნობი ადგილების გამოკვლევა; როდესაც კი შეასრულებდა თავის ასტრონომიულ ამოცანას. გეოგრაფიული საზოგადოება სიხარულით დაეთანხმა კუკს.

იმ დროს ფიქრობდენ, რომ წყნარი ოკეანეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა დიდი მატერიკი, რომელიც ამერიკაზე პატარა როდი იყო. არასოდეს არავის არ უნახავს ეს მატერიკი, არცერთ ცნობას მის შესახებ არ მიუხწყევია ევროპამდე და, მიუხედავად ამისა, მაშინდელ მეცნიერთა უმეტეს ნაწილს ეჭვიც კი არ შესდიოდა მის არსებობაში. მათ ვერ წარმოედგინათ თითქმის მთელი სამხრეთ ნახევარსფერო წყლით დაფარული, მათ ეგონათ, რომ მთელი ხმელეთი რომ ყოფილიყო ჩრდილოეთით და ზღვები კი სამხრეთით, დედამიწის ბირთვი აუცილებლად დაჰკარგავდა წონასწორობას და გადაყირავდებოდა. ეს აზრი, რომელიც ახლა ასე სასაცილო და ბავშურია; მაშინ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ.

განსაკუთრებით იცაჟდა ამ აზრს ახალგაზრდა ნიჭიერი გეოგრაფი ბენსკი. გაიგო თუ არა კუკის ექსპედიციის შესახებ, მან წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც შემდეგ გადათარგმნილი იქნა ყველა ევროპულ ენაზე.

— ამერიკა აღმოაჩინეს ესპანელებმა; — ამბობდა ბენსკი, — ავსტრალია ჰოლანდიელებმა. სამხრეთის დიდი მატერიკი, მეექვსე მატერიკი ჩვენი პლანეტისა, უნდა აღმოაჩინონ ინგლისელებმა. სირცხვილი ჩვენ, თუ ის არ აღმოვაჩინეთ. ჩვენ

ახლავე შეგვიძლია აღვნიშნოთ გლობუსზე ის ადგილი, სადაც იგი მდებარეობს, და ჩვენ უნდა ვუთხრათ კაპიტან კუკს: „ნუ დაბრუნდები მანამ, სანამ სამხრეთის მატერიკს არ აღმოაჩენ“.

გადასწყვიტეს ეკითხათ კუკისათვის, თუ რას<sup>3</sup> ფიქრობდა იგი ამის შესახებ.

— მე მჯერა მხოლოდ ის, — სთქვა კუკმა, — რაც საკუთარი თვალით მინახავს, ანდა რაც ნახეს სხვებმა, რომელთაც შეიძლება დაუფიქროთ. სამხრეთის მატერიკი არავის არ უნახავს, და მე არ შემიძლია ვიცოდე, არსებობს იგი თუ არა, მაგრამ მე წავალ და ვნახავ. თუკი სამხრეთის მატერიკი ნამდვილად არსებობს, მე მას აღმოვაჩენ.

— მეც თან წამიყვანეთ! — წამოიძახა ბენკსმა. — მე ყველაზე უფრო ღრმად ვარ დარწმუნებული სამხრეთის მატერიკის არსებობაში, და მე მინდა პირველი ვეწვიო მას.

საადმირალომ ჩააბარა კუკს საშუალო სიდიდის, მაგრამ კარგად აშენებული სამხედრო გემი „გულდასმა“. ბენკსის გარდა მათთან უნდა ემგზავრა ასტრონომ გრინს, რომელსაც დავალებული ჰქონდა კუკთან ერთად ეწარმოებია დაკვირვება ვენერას მოძრაობაზე. ყოველგვარი შემთხვევისათვის, თუ ავად გახდებოდნენ, მათ მიჰყვებოდა ახალგაზრდა დოსტაქარი მონკჰაუზი.

1768 წლის 26 აგვისტოს „გულდასმა“ გამოვიდა პლიმუტიდან, ნახევარი წლის შემდეგ კი გასცურა გორნის კონცხი და შეცურდა წყნარ ოკეანეში.

### თავი მეოთხე

ტ ა ი ტ ი

1769 წლის 11 ივნისს ანძიდან დაინახეს კუნძული ტაიტი, შორიდან იგი მოჩანდა როგორც მუქ-მწვანე ბუჩქი, რომელიც თითქოს ცისფერი ზღვის ფსკერიდან ამოსულიყო.

როდესაც ნაპირი მოახლოვდა, ბენკსა და კუკს გაუელვა ერთმანეთს აზრმა: კუნძულმა გაახსენა მათ თქმულება სა-  
მოთხის შესახებ.

ახუჭუჭებულ ტყეთა შორის ვერცხლისფერ სირმებად ბზი-  
ნავდენ მდინარეები. მრგვალი ბორცვები გაჭიმულიყვენ შორს,  
იზრდებოდენ და ბოლოს გადაიქცეოდენ მალალ მთებად, რო-  
მელნიც თითქოს ცახცახებდენ ავარვარებულ ჰაერში.

— შეხეთ, რამდენი ხანძარი! — გაიძახოდენ მეზღვაურები.

მაგრამ ისინი ცდებოდენ: არავითარი ხანძარი იქ არ  
იყო, ეს მხოლოდ ხეები ყვაოდენ. ნაპირის ცოტა დაშორებით  
კი ზღვის გამჭვირვალე სიღრმიდან აღმართულიყო გრძელი  
ვარდისფერი ბრაგა, რომელსაც თოვლის ფიფქსავით თეთრქა-  
ფიანი ტალღები ეალერსებოდენ.

აი, კოკოსთა ტყის ჩეროში მდგარი ბამბუკის ქოხებიდან  
გამოცვივდა ყავისფერი, ნახევრად ტიტველი ხალხი და გამო-  
იქცა უცხოელების შესახვედრად. მათ მოსდევდენ ძაღლები და  
ლორები.

— რა ბედნიერები არიან! — ამოიხვრიტ სთქვა ბენკსმა —  
მათ არავითარი დარდი არ აწუხებთ. გასწევენ ხელს და კო-  
კოსს ან ბანანს ხელთ იგდებენ. ტანსაცმელიც მათთვის ზედ-  
მეტია, ზედმეტია მალალი, მაგარი სახლების აშენებაც.

— მათ ქვეყანაში ხომ მარადი ზაფხულია, არც ძალიან  
ცხელა მათთან — დედამიწის ყველაზე დიდი ოკეანე სიგრილეს  
აწვდის.

სანამ ლუზას ჩაუშვებდენ, კუკმა შეკრიბა თავისი ხელ-  
ქვეითნი და სიტყვა უთხრა მათ. იგი ლაპარაკობდა იმის შესა-  
ხებ, რომ ყველა ის მეზღვაურნი, რომელნიც ამათ მისვლამდე  
ეწვიენ ამ კუნძულს, ველურებს ისე ეპყრობოდენ, როგორც  
მტრებს, და ამიტომ ველურებიც სულ მუდამ საომრად იყვნენ  
განწყობილი მათდამი, რის გამოც ფერხდებოდა კვლევა-ძიე-  
ბითი მუშაობა.

— ჩვენ სულ სხვანაირად უნდა მოვიქცეთ, — ამტკიცებდა  
კუკი, — ჩვენ უნდა დავემტკიცოთ ტაიტის მცხოვრებთ, რომ

მათი მეგობრები ვართ და ისინიც მეგობრულად მოგვექცევიან. მათთან ვაჭრობის გაბმა ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე მათი გაძარცვა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მოვედით ამ ხალხის გასანათლებლად და არა დასამონავეებლად. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ მეცნიერების გამდიდრებას ისე, რომ არავის არა დავუშაოთ რა.

და მან ვაქოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ყოველი თეთრკანიანი, რომელიც კი აწყენინებდა ან გაჰქურდავდა მკვიდრ მცხოვრებს, დატუსაღებული იქნებოდა. განსაკუთრებით აკრძალული იყო იარაღის ხმარება.

— სროლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუკი ველურები თვით დაგვესხმიან თავს, — ამბოდა იგი, — და ამ შემთხვევაშიაც კი უნდა შეეცადოთ სისხლის დაუღვრელად მოაგვაროთ საქმე.

მხოლოდ მის შემდეგ, როცა მას მოუსმინეს, მან ბრძანა ჩაეშვათ ლუზა და გადმოსულიყვნენ ნაპირზე.

ტაიტელები თეთრებს შიშით და უნდობლად შეხედენ. რამოდენიმე წლის წინ კუკამდე მათ ეწვია კაპიტანი ვალისი, რომელმაც იმით დაიწყო, რომ კუნძულებთან მიახლოებისას, აღნიშნა რა იგი რუკაზე, სოფელს დაუწყო სრულიად უმიზეზოდ ზარბაზნების სროლა. ამიტომ გასაგებია, რომ კუკს უნდობლად შეხედენ.

მაგრამ კუკმა გადასწყვიტა ყოველი ძალ-ღონის ხმარება, რომ ტაიტელების ნდობა და მეგობრობა დაემსახურებია. იმან და ბენკსმა აიღეს ლურსმნები, ფოლადის ცელები, წითელი ჩვრები, შუშის მრავალფეროვანი მძივები და გამოვიდენ ნაპირზე. მათ მოიხმეს მკვიდრი მცხოვრებნი და როცა უკანასკნელნი შიშით მიუახლოვდენ, დასაჩუქრეს თავისი განძეულობით. ტაიტელები თავმომწონე და ფუქსავატი ხალხია; ამიტომ ჩვრებმა და მძივებმა ისინი ძალიან მოხიბლა. კუკს შეელოდა მათი ბუნებრივი დაუღვრობა, რის გამოც ისინი მას ჩქარა შეეჩვიენ. ცულებსა და ლურსმნებს ისინი პირველად არ იღებდენ, რადგან არასოდეს არ ენახათ რკინა და არც იცოდენ, თუ როგორ მოეხმარათ იგი. მაგრამ როდესაც



კუკმა მოსჩეხა მათთან ხე და ორ წუთში ლურსმნების საშუალებით შეაკეთა ძველი, ნახევრადდანგრეული ნავი, — გადასწყვიტეს, რომ რკინის ნივთები ყველაზე უფრო ძვირფასი რამ არის და განუწყვეტლივ სთხოვდნ მას თეთრკანიანებს.

ტაიტელები არა ერთხელ პატიჟობდნ კუკს თავის ქოხებში. ქოხები მათ დაწნული ჰქონდათ ბამბუკისაგან, როგორც კალათები, და გადაბრუნებულ ნავს ჰგავდნ. ამ ქოხებს ფანჯრები არ ჰქონდა და რომ შემძვრალიყავით კარებში, საჭირო იყო ფორთხვა.

ტაიტელების მთელი ავეჯეულობა წარმოადგენდა ხის სკამებს, რომლებსაც ისინი იღებდნ თავ ქვეშ ძილის დროს — ბალიშის მაგივრად.

კერა, რაზედაც მზადდებოდა საჭმელი, მოწყობილი იყო ქოხის გარეთ; ძნელი იყო მისთვის კერა გეწოდებოდათ, ვინაიდან იგი უფრო ქვევით შემოფარგლულ კოცონს წააგავდა.

ბენკსი შეუდგა ტაიტელების ენის შესწავლას. იგი ნიშნებით ეკითხებოდა საგნების სახელებს და ველურთა პასუხებს წიგნაკში იწერდა. ტაიტელები მიხვდნ, თუ რას მოითხოვდნ მათგან და ამიტომ სიხარულით აძლევდნ პასუხს. მალე ბენკსმა მთელი ლექსიკონი შეადგინა. მართალია, ცუდად, მაგრამ მას და კუკს უკვე ესმოდათ, თუ რაზე ელაპარაკობდნ ხოლმე ერთმანეთს ველურები და ბოლოს თვითონაც შესძლეს, თუმც ძალიან უჭირდათ, მათთან ლაპარაკი.

კუკმა გადასწყვიტა ინგლისის სახელით დაეღო კავშირი ტაიტელებთან. იგი იმედოვნებდა ამ ზომით რამდენადმე მაინც დაეხსნა წყნარი, კეთილი ტაიტელები ზღვის კაპიტნების სიმკაცრისაგან: ყველა ხომ ველარ გაჰბედავს ტყვილა-უბრალოდ დახვრიტოს ინგლისელების მოკავშირენი.

ამიტომ მან დაუწყო გამოკითხვა ტაიტელებს, ჰყავთ თუ არა მათ მთავრობა. ამაზე ტაიტელებმა უბასუხეს, რომ მათ განაგებს დედოფალი ობერეია. კუკმა მოიწადინა მისი ნახვა. მან წაიყოლა თან ბენკსი და ისინი მიიყვანეს კუნძულის შუა-

გულში. იქ აღმოჩნდა სხვა სოფელი, ოდნავ უფრო მოზრდილი იმაზე, რომელიც ზღვის ნაპირს მდებარეობდა. ეს იყო დედაქალაქი. დედოფლის სასახლე არაფრით არ განირჩეოდა სხვა ქოხებისაგან: აქაც მხოლოდ ერთი ოთახი იყო, უფანჯრო, რომელშიც სინათლე კარიდან შედიოდა.

დედოფალი ობერეია უკვე მოხუცი, სქელი და მოცინარბ ქალი იყო. იგი კუკს ძალიან თავაზიანად შეხვდა, განუწყვეტლივ ხარხარებდა და ფრუტუნებდა, ამასთანავე თავის უკბილო პირს ყურებამდე ადებდა. ჭუჭყიანი ერთი კაბის მაგიერ, როგორც ეცვა საზოგადოდ ყველა ტაიტელ ქალს, მას თოთხმეტი კაბა ეცვა. მხოლოდ ამ კაბებით შეიძლებოდა მიხვედრა, რომ ეს წარჩინებული პირი იყო.

კუკმა დიდი მოწიწებით დაიწყო ლაპარაკი თავისი დიპლომატიური მისიის შესახებ. დამახინჯებული სიტყვებით და ხელების დახმარებით შეეცადა ის აეხსნა დედოფლისათვის, რომ ინგლისის მთავრობას, ზღვის გაღმა მდებარე დიდი სახელმწიფოს მთავრობას, სურდა კავშირის დაჭერა კუნძულ ტაიტის მთავრობასთან და რომ კავშირის მიზანს წარმოადგენდა ორივე დიდი ხალხის კეთილდღეობა.

ობერეია ისე ხარხარებდა კაპიტნის ყოველ სიტყვაზე, რომ ცრემლებს ჰყრიდა. გავიდა ზითქმის ერთი საათი, სანამ იგი მიხვდებოდა, რომ კუკი რაღაც დიდმნიშვნელოვან საქმეზე ლაპარაკობდა. მაშინ ის გამოვარდა სასახლიდან ეზოში მთელი თავისი თოთხმეტივე კაბით, რომლებიც სიარულს უშლიდენ, და წიკვინა ხმით დაიყვირა:

— ტუპია! ტუპია!

ტუპია ტაიტელების პრემიერ მინისტრი იყო. ის იყო ქალაქი, ამაყი შესახედაობის. მოვიდა თუ არა, დინჯად მიესალმა სტუმრებს. კუკს მოეწონა მისი ჭკვიანი თვალები, რომლებშიც პატიოსნება იხატებოდა, განუმარტა მას თავისი სახელმწიფო საქმე. ტუპია ყურს უგდებდა გულდასმით და სერიოზულად, არცერთხელ არ შეუწყვეტინებია ლაპარაკი. ის

ხანდახან წყრომის თვალით გადახედავდა ხოლმე დედოფალს, რომელიც განაგრძობდა ხითხითს. დედოფალმა შეამჩნია ეს გამოხედვა და შეუდგა თავის საქმეს—შემოათრია სასახლეში მსუქანი ღორი და წვეტიანი ჯოხით დაუწყო მას ზურგის ფხანა.

როდესაც ოფელში გაწურულმა კუკმა დაასრულა ლაპარაკი, ტუპია ჩაფიქრდა.

— ჩვენ თანახმა ვართ, — ბოლოს წარმოსთქვა მან, — ტაიტელები ყოველთვის ინგლისელების მეგობრები იქნებიან, თუკი ინგლისელები იღარ დახოცავენ მეხის მსგავსი ელვებით მათ თავისი ფრთოსანი კუნძულებიდან.

კუკი აირია, მან წაიბუტბუტა, რომ ვალისი მხოლოდ ავაზაკი იყო, რომ ინგლისის მთავრობა ჰგმობს იმის საქციელს, თუმცა გულში გრძნობდა, რომ მთავრობა ვალისის მხარეზე უფრო იქნებოდა, ვიდრე მის მხარეზე.


ბოლოს კავშირი შეჰკრეს. კუკმა აჩუქა ტუპიას და ობერეიას რამდენიმე ცული და მრავალფეროვან მძივთა ხროვა, რითაც ისინი ძალზე აღტაცებული იყვნენ.

ახლოვდებოდა ის დრო, როდესაც ვენერას მზეზე უნდა გაეგლო. ასტრონომი გრინი მეზღვაურთა დახმარებით შეუდგა ზღვის ნაპირას ობსერვატორიის შენებას. შენობისათვის საჭირო იყო რამდენიმე ხის მოჭრა ტყეში; ტყის მფლობელებმა პროტესტი განაადეს, მაგრამ გრინმა ლურსმნები მისცა მათ და დაშვიდდნ ისინი. საერთოდ, თეთრკანიანები გულუხვად ასაჩუქრებდნ ტაიტელებს. ამან უფრო განამტკიცა მათ შორის მეგობრული განწყობილება. ტაიტელებმა დაიწყეს გემზე ყოველგვარი სურსათის მომარაგება. კუკმა ასამდე ღორი შეიძინა, რამდენიმე ტონი ბანანი, კოკოსი და პურის ხის ნაყოფი.

მაგრამ როდესაც ობსერვატორია თითქმის დამთავრებული იყო, ისეთი რამ მოხდა, რის გამოც კინალამ წაეჩუბნ ერთმანეთს მოგზაურები და ველურები.

გრინი მხოლოდ სადილობამდე მუშაობდა. შემდეგ ობსერვატორიის სადარაჯოდ სტოვეზდს აკლბათი კაცისაგან

9813



შემდგარ შეიარაღებულ რაზმს, რომელსაც ოფიცერი მეთაურობდა. ეს რაზმი მალე შეეჩვია მკვიდრ მცხოვრებლებს, რადგან ეს უკანასკნელნი მშვიდობიანობის მოყვარულნი იყვნენ, და სულ მთლად აიშვა თავი: მეზღვაურები, იმის მაგივრად, რომ ედარაჯნათ, თამაშობდნენ ტაიტელეტან, გარბოდნენ, აბა, ვინ გაასწრებსო, ეთამაშებოდნენ მათ ოთურმას და მღეროდნენ გუნდურ სიმღერებს. თოფები მათ ხელს უშლიდა და ამიტომ ისინი სრულიად დამშვიდებულნი აყუდებდნენ თოფებს კედელზე.

ერთხელ ახალგაზრდა ტაიტელი მიუახლოვდა თოფებს და ცნობისმოყვარეობით დაუწყაო მათ სინჯვა; ისინი მას ძალიან მოეწონა. მან აიღო ერთი თოფი, რომ უკეთ დაეთვალიერებია.

— დასდე! — დაუყვირა ოფიცერმა.

მაგრამ ტაიტელმა თოფი არ დასდო — ან ვერ გაიგო, ან არ უნდოდა ბრძანების ასრულება. მაშინ ოფიცერმა შესაშინებლად ჰაერში გაისროლა.

ტაიტელი საშინლად დაფრთხა. იგი ჯერ განზე გახტა და შემდეგ შურდულივით გაჰკურცხლა ტყისკენ თოფით ხელში. ოფიცერი გაბრაზდა, ესროლა და მოჰკლა.

იმ წამსვე მოიყარა თავი ბრბომ; შემოეხვიენ ცხედარს. მოკლულის დედა მოსთქვამდა, შამა სამაგიეროს გადახდას ითხოვდა. როცა კუკი, რომელსაც მოესმა სროლის ხმა, გამოვიდა ნაპირზე, თითქმის ყველა ტაიტელი შუბებით შეიარაღებული და საბრძოლველად გამზადებული დახვდა.

საბედნიეროდ, ტუპიაც აქ იყო. ეს კეთილი შინისტრი ისე გულწრფელად დაუახლოვდა თეთრკანიანებს, მას იმდენად აკვირვებდა მათი სიბრძნე, რომ განუყრელად თან დაჰყვებოდა მათ. ახლა იგი ქვაზე ავიდა და მთელი მიტინგრ მოაწყაო.

მან დიდხანს ილაპარაკა ჭკვიანურად იმის შესახებ, რომ თეთრკანიანები ტაიტელების მეგობრები არიან, რომ ისინი დაუკითხავად არასოდეს არ იღებენ მათ ნივთებს და ტაიტელებსაც არ უნდა აეღოთ დაუკითხავად ის, რაც თეთრკანიანებს ეკუთნოდა.

— მოკლულნი ჭაბუკი თვით არის დამნაშავე, — ამბობდა იგი, — მან იქურდა და სათანადო ჯილდოც მიიღო.

ბრბო გულდასმით უგდებდა ყურს ტუპიას და ბოლოს დაეთანხმა მას. კვლავ მშვიდობიანი განწყობილება დამყარდა. უუკი კი სულ სხვაგვარად ფიქრობდა. ახალგაზრდა ტაიტელის სიკვდილი უაზრო, მკაცრი საქციელი იყო და ამიტომ ობსერვატორიის მოდარაჯე ოფიცერი კარცერში ჩასვა.

ვენერას მზის ბადროში 3 ივნისს უნდა გაეგლო. გრინი და კუკი მთელი ღლით ჩაიკეტენ ობსერვატორიაში. იქ უსაზღვროდ ცხელოდა. ოფლი სახიდან პირდაპირ იატაკზე სწვეთდა და სული ეხუთებოდათ. მთელი ღლის განმავლობაში ისინი მორიგეობდენ ტელესკოპის მინასთან და იწერდენ თვალყურის დევნების შედეგებს. საღამოს ისინი ძლივს გამოათრიეს დაღლილობისაგან ცოცხალმკვდარნი. მაგრამ მეთვალყურენი ძალიან ნასიმოვნები იყვნენ: მათ მშვენივრად შეასრულეს თავისი ამოცანა, შემდეგ ინგლისის ასტრონომები გაკვირვებული იყვნენ: დაკვირვება ისეთი სიზუსტით იყო წარმოებული, თითქოს კვლევა-ძიება კარგად მოწყობილ ევროპულ ობსერვატორიაში ყოფილიყოს წარმოებული და არა ველურ ძუნძულზე, რომელიც ისე შორსაა, რომ მთელი წლის განმავლობაში უნდა იმგზავროთ, გადალახოთ უცნობი ზღვები, რომ იქ მიხვიდეთ.

ბენკსი კუნძულზე დაეხეტებოდა და ეცნობოდა ტაიტელთა ყოფა-ცხოვრებას. ერთხელ იგი რამდენიმე მთვრალს წააწყდა და დაინტერესდა, თუ რამ დაათრო ისინი; ჩქარა ამისი გამოკვლევაც შესძლო. მინდორში თხუთმეტამდე კაცი იჯდა. ისინი უსიტყვოდ ღეჭავდენ რაღაცა მცენარის ღეროებს. როდესაც ღეროები საკმაოდ გაიჟღერებოდა ნერწყვით, გამოიღებდენ პირიდან და გამოსწურავდენ საერთო თასში. შემდეგ ამ საძაგელ სითხეს ხარბად სვამდენ. ამ სითხეს კავას უწოდებდენ. სმის შემდეგ იწყებოდა სიმღერა და სიმთვრალისაგან ტორტყანით ცეკვა.

ტაიტელი მოქეიფენი ბენკს ძალიან მეგობრულად შეხვდენ, მიიწოდეს კავით ავსებული თასი და როს ამ ღვთიური სასმელის გასინჯვაზე უარი მიიღეს, ძალიან განცვიფრებული დარჩენ. ბენკსი იქვე ჩამოჯდა და დაუგლო ყური მათ სიმღერებს.

„ჩვენთან ზღვის გაღმიდან მოცურდენ ფრთოსანი კუნძულები“, — მღეროდენ ისინი.

„ფრთოსან კუნძულებზე ცხოვრობენ თეთრკანიანები“.

„თეთრკანიან ხალხს ბევრი ძვირფასი საოცრება მოეპოება“.

„მათ აქვთ წითელი ტილოები, სისხლზე უწითლესი და აისზე უმშვენიერესი“.

„აქვთ მათ კაშკაშა რგოლები, მზეზე და ცაზე უფრო კაშკაშა და მას ჩამოიცვამენ ხოლომე ყელზე“.

„მათ აქვთ მაგარი ბასრი ქვები, რომლებიდაც ხეებს ნაფოტებად აქცევენ ხოლომე“.

„კარგია, თუ თეთრკანიანის მეგობარი ხარ: იგი მოგცემს უამრავ განძეულობას“.

„ცუდია, თუ თეთრკანიანის მტერი ხარ: იგი მოგკლავს მფრინავი ცეცხლოვანი ელვით“.

როცა ბენკსი ყურს უგდებდა ამ სიმღერებს, მიხვდა, რომ ტაიტელებს არ ჰქონდათ იმთავითვე დამზადებული, შეთხზული სიმღერა: ისინი მღეროდენ ყოველივე იმას, რაც კი მოუვიდოდათ აზრად. ახლა ისინი ფიქრობდენ თეთრკანიანებზე და თეთრკანიანებზე მღეროდენ კიდევ.

ყველაზე უფრო კი ტაიტზე ჩვენი მოგზაურები საფლავებმა გააკვირვა. ტაიტელები კი არ მარხავდენ თავის მიცვალებულებს მიწაში, არამედ აშენებდენ ტყეში ხისაგან მაღალ ბაქანს, რომელზედაც ასვენებდენ გვამს; ერთ ხელში ჩაუდებდენ ქვის ცულს, მეორეში — შუბს. ბაქანზე ამაგრებდენ ბამბუკის თალს, რომ წვიმა არ ჩამოსულიყო; ეს თალი მტაცებელ მფრინველთაგან ვერ დაიფარავდა ცხედარს და ფრინველები რამდენიმე დღეში აჰკორტნიდენ ხოლომე ხორცს და მხოლოდ ჩონჩხს — და სტოვებდენ.

თეთრკანიანები კუნძულზე ხეტიალის დროს არაერთხელ წააწყდნენ ამ საფლავებს, რამდენიმეს ერთად, ერთმანეთის ახლო. ტაიტელები მიცვალებულებს ცრუმორწმუნე შიშით ეპყრობოდნენ და რომ მოეგოთ მათი გული, ფეხებთან უწყობდნენ კოკოსის კაკალს და ბანანებს.

როდესაც ასტრონომიული კვლევა-ძიება დაასრულეს, კუკმა გადასწყვიტა ტაიტის მიტოვება და უფრო შორს, დასავლეთით, გამოუკვლევ მხარეში გამგზავრება, რომ გამოერკვია, არსებობდა თუ არა სამხრეთის მატერიკი და დაეთვალიერებია ავსტრალიის აღმოსავლეთის ნაპირები.

როდესაც ტაიტელებმა გაიგეს, რომ სტუმრები მიდიოდნენ, შეგროვდნენ ნაპირზე და ხმამაღლა ატირდნენ, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ტირილი არ იყო გულწრფელი გლოვით გამოწვეული: ტაიტელებს, ადათის თანახმად, სტუმრები ტირილით უნდა გაეცილებიათ.

ნამდვილად გლოვობდა მხოლოდ ტუპია, რომელიც ძალიან დაუმეგობრდა კუკს.

— ტუპია, ყური დამიგდე, — უთხრა მას კუკმა. — წამოგვყევი ჩვენ. შენ მოივლი მთელ ქვეყნიერებას, გაეცნობი ისეთ საოცარ რამეებს, რაც შენ არც კი დაგესიზმრება. მე შენ ისევე მოგეპყრობი, როგორც ძმას, იცხოვრებ კმაყოფილად და მდიდრულად. რამდენიმე წლის შემდეგ კი ჩვენ უკანვე მოგიყვანთ და შენ აუხსნი შენ ხალხს თეთრკანიანების ყოველ სიბრძნეს. დასთანხმდი, ტუპია, წამოდი!

— მე სიხარულით წამოვიდოდი, — სთქვა მან, — მაგრამ მე ძმისწული მყავს, ტაიეტო, თორმეტი წლის ბიჭი, სულ მთლად ობოლი. აბა, ვის დაუტოვო ის? იგი უჩემოდ შიმშილით მოკვდება!

კუკს გული აუჩვილდა.

— შენი ძმისწულიც წამოიყვანე, — უთხრა მან ტუპიას. მე მას მივაბარებ ინგლისურ სკოლაში და იგი განათლებული აღამიანი გამოვა.

ტუპია დასთანხმდა. თავის ხუჭუქა ძმისწულთან ერთად იგი მოთავსდა გემის ცალკე კაიუტაში, კუკისა და ბენკსის კაიუტებს შუა.

13 ივლისს „გულდასმამ“ აიღო ღუზა და ზღვაში გავიდა.

### თავი მეხუთე.

#### ახალი ზელანდია.

6 ოქტომბერს მეზღვაურებმა დაინახეს მთაგრეხილი, ჯაქსონით გაბმული ჰორიზონტის ერთი ნაპირიდან მეორემდე.

— ვაშა! — დაიყვირა ბენკსმა. — სამხრეთის მატერიკია.

— ეს ახალი ზელანდიაა, გამოკვლეული ჰოლანდიელი მოგზაურის ტასმანის მიერ, — სთქვა კუკმა.

— ახალი ზელანდია ნაწილია სამხრეთის მატერიკისა, მე ამაში სრული დარწმუნებული ვარ!

— ვნახოთ, — სთქვა კუკმა. — მე აქედან არ წავალ, სანამ არ გადავიტან რუკაზე ყველა ნაპირს და არ გავიგებ, მატერიკია ეს თუ კუნძული.

— თქვენ არ ვარგხართ, კაპიტანო, — სიცილით უპასუხა ბენკსმა, — კოლუმბს სწამდა, რომ იგი აღმოაჩინდა ამერიკას, და აღმოაჩინა კიდევაც, რითაც თავისი სიმართლე დაამტკიცა. თქვენ კი უახლოვდებით მიწას, რომელიც ორჯერ უფრო დიდია ამერიკაზე, და არ გინდათ დაიჯეროთ ეს. ეს თქვენი აღი მოჩენა არაფერს არ მოგცემს, გულის გატეხის გარდა.

ორი დღის შემდეგ „გულდასმამ“ დაძირა ღუზა რომელიღაც მდინარის შესართავში. ნაპირებზე ამოსულიყო უდაბური გაუფალი ტყე, რომელზედაც პიტალო შავი კლდეები აღმართულიყვნენ. რაც უფრო შორდებოდით ნაპირს, ეს კლდეები მით უფრო და უფრო მალღებოდნენ და ბოლოს იქცეოდნენ გიგანტურ მთებად, რომლების მწვერვალები მუდმივი თოვლით იყო დაფარული. ტყის ჯურღმულიდან სიცივე და სინესტე მოდიოდა, როგორც საკუქნაოდან. იქ მუდამ სრული სიბნელე სუ-



ფევდა. მოღუშულად და უქმურად გამოიყურებოდენ ეს ნაპირები, და მეზღვაურებიც თავს აქ უხერხულად გრძნობდენ.

ჩქარა გამოჩნდენ მცხოვრებნიც—ისეთივე ველურნი და მკაცრნი, როგორც მათი სამშობლო.

ისინი მალღები იყვნენ და ძლიერ განვითარებული კუნთები ჰქონდათ. საღრძილეები წინ ჰქონდათ წამოწეული, როგორც მაიმუნებს, რაც აძლევდა მათ სახეს მხეცურ გამომეტყველებას. მათი ტიტველი ტანი ქრელად იყო შეღებილი. ხელში ეჭირათ გრძელი შუბები და კარგად გათლილი მწვანე ქვის ცულები.

კუკმა ბრძანა ჩამოეშვათ ორი ნავი და გაემართა ნაპირისკენ ბენკისა და შეიარაღებული რაზმის თანხლებით. დაინახეს თუ არა თეთრების მოახლოება, ველურები გაიქცენ. ნავი, რომელშიც იჯდა კუკი, მღცურდა ნაპირთან და ინგლისელები, ჩააბარეს რა ნავი ოთხ იუნგას, შევიდენ ტყეში. მეორე ნავი ნაპირისა და გემის შუაგზაზე დარჩა.

ის ის იყო კუკი ამხანაგებიანად შევიდა ტყეში, როს საწყალ იუნგებს მივარდა ოთხი ველური. მათ ერთ წამს წამოაქციეს ბიჭები მიწაზე და ასწიეს შუბები დასარტყმელად. საბედნიეროდ, ეს შეამჩნიეს მეორე ნავში მყოფებმა და შესაშინებლად გაისროლეს თოფები ჰაერში. ველურები წუთით შეჩერდენ განცვიფრებულნი, მაგრამ დაინახეს რა, რომ თოფის სროლამ მათ არავითარი ზიანი არ მიაყენა, კვლავ მივარდენ ბიჭებს. იგრიალა თოფებმა მეორედ და ერთ-ერთი ახალზელანდიელი დაეცა მკვდარი. მისმა ამხანაგებმა მოჰკურცხლეს ტყისაკენ და მიიმალენ.

გაიგონა თუ არა სროლის ხმა, კუკი გამოვიდა ნაპირზე, ჩაჯდა თავის ნავში და გემზე დაბრუნდა. ის ძალიან ნაწყენი იყო, რომ პირველივე შეხვედრა ზელანდიელებთან მკვლევლობით გათავდა. მას უნდოდა დამეგობრებოდა მათ, როგორც ტაიტელებს. დაინახა აუ თუ არა მკვიდრ მცხოვრებთა აღელვებული ბრბო, დაუყოვნებლივ გაემართა მათკენ კარგად შეიარაღებული საში ნავის საფარ ქვეშ, კუკთან იყო ტუპიაც.

ახლა ინგლისელების დანახვაზე მკვიდრი მცხოვრებნი არ გაიფანტენ, მაგრამ მაინც განზე იდგენ და მხოლოდ 10 სა-  
ეწინე უახლოვდებოდენ თეთრებს. მოხუცმა ტუპიამ მიმართა  
მათ დიპლომატიური სიტყვით ტაიტურ ენაზე. კუკი გაოცდა,  
რადგან ახალხელანდიელები მიუხვდენ მას. როგორც აღმოჩნ-  
და, ახალხელანდიელთა ენა ყოფილა მხოლოდ განსაკუთრებული  
კილოკავი ტაიტური ენისა, ამან ძალიან გაახარა კუკი: ტუ-  
პიას შეეძლო გაეადვილებია სათანადო კავშირის დაჭერა ამ  
ქვეყნის მცხოვრებთან.

— ჩვენ საომრად კი არ მოვსულვართ თქვენთან, არამედ  
სამშვიდობოდ, — ამბობდა ტუპია, — ჩვენ გვჭირდება მომარაგე-  
ვა დასალევი წყლის და საკვების. მაგრამ ნუ გეშინიათ, ჩვენ არა-  
ფერს არ გამოგართმევთ უფასოდ. ჩვენ ყველაფერში გულუხ-  
ვად დაგასაჩუქრებთ. თქვენ მიიღებთ ჩვენგან პრიალა ქვის  
ცულებს, რომელნიც თქვენ კლდეებზე უფრო მაგარნი აჩიან, —  
და მან შეათამაშა ჰაერში ფოლადის ცული, — ძვირფას რგო-  
ლებს, რომლებიც ყველას გაგალამაზებსთ, — მან უჩვენა მინის  
მძივები, მის გულს რომ ამშვენებენ, — და წითელ სამოსს, რომ  
მელშიაც არ არის საშიში თუგინდ ყველაზე ცივი ღამის სი-  
მდაფრე.

ახალხელანდიელებს მოეწონათ ტუპიას სიტყვა და ისინი  
გათამამდენ. უკვე უახლოვდებოდენ უცნაურ ხალხს. კუკი კე-  
თილად ესალმებოდა მათ, ყოველ მათგანს ასაჩუქრებდა მძივე-  
ბით და თან ცდილობდა იმდენად მოენადირა მათი გული,  
რომ წაჰყოლოდენ მას გემზე. თითქოს ყოველივე კარგად მიმ-  
დინარეობდა. მაგრამ უცებ ერთი ველური მიუახლოვდა გრინს,  
ამოაძრო ქარქაშიდან ხანჯალი და მოჰკურცხლა. გრინმა ესროლა  
მას ზურგში საფანტით გატენილი თოფი, მაგრამ ველური  
უკვე საკმაოდ შორს იყო და საფანტმა ვერაფერი დააკლო.  
კუკი ცდილობდა დაეთანხმებია გრინი, რომ დაეთმო ხანჯალი  
ველურისათვის და ზედმეტი სისხლისღვრა თავიდან აეცდინა,  
მაგრამ ამ დროს გაისროლა თოფი ექიმმა მონკაუზმა და მოჰკ-

ლა ქურდი. გრინი, მივიდა მოკლულთან და წაართვა თავისი ხანჯალი.

კუკმა დაინახა, რომ ვერც ახლა შესძლო კეთილგანწყობილების დაჭერა ველურებთან და გადასწყვიტა დაბრუნებულყო გემზე.

მაგრამ ველურები გადავიდნენ შეტევაზე. საბრძოლველი წესრიგის დაცვით, ბრახმორეული ყვირილით, ცულების პრიალით გაემართნენ ისინი თეთრებისაკენ. მეზღვაურებმა ერთად ესროლეს. რამდენიმე ახალზელანდიელი დაეცა. დანარჩენები მივარდნენ მდინარეს და ელვის სისწრაფით გადასცურეს მეორე ნაპირზე.

ნავი გემისაკენ გაცურდა. გზაში მათ შემთხვევით შეხვდათ მკვიდრ მცხოვრებთა ორი პიროგა<sup>1)</sup>, რომელიც ნაპირისკენ მიემართებოდა. კუკს უნდოდა ყოველივე ძალ-ღონე ეხმარა, რომ მოეპოვებია ველურთა ნდობა და გადასწყვიტა უკანასკნელი ხერხი ეხმარა; „საჭიროა ძალით შემოვიტრიოთ ეს პიროგები გემზე“, — ფიქრობდა იგი, — „საჭიროა დავურიგოთ ზელანდიელებს ძვირფასი საჩუქრები, დავუმტკიცოთ, რომ ჩვენ მათი მეგობრები ვართ და მაშინ გავუშვათ ნაპირზე“.

ნავეებმა გზა გადაუღობეს პიროგებს. ერთი პიროგა მაინც გაძვრა და ხუთი წუთის შემდეგ უკვე ნაპირთან გაჩნდა, მაგრამ მეორეს სამივე მხრიდან შემოერტყენ ნავეები. ტუპია შეეცადა მოლაპარაკება ეწარმოებია ზელანდიელებთან.

— ნუ გეშინიათ! — უყვიროდა მათ. — ჩვენ ცუდს არაფერს გიზამთ.

— ჩვენ არ გვეშინია! — უპასუხეს ველურებმა და შვიდი შუბი გამოფრინდა ინგლისელებისკენ.

ორი მეზღვაური ოდნავ დაიჭრა.

— ოჰ, ძაღლებო! დაჰკა მათ! — დაიყვირა ვილატამ. გავარდა თოფები და ოთხი ზელანდიელი, რომლებსაც თავში მოხვდათ ტყვიები, დაეცა თავისი პიროგის ფსკერზე.

<sup>1)</sup> პიროგა — ველურების გრძელი და ვიწრო ნავე.

კუკს ბევრი შრომა დასჭირდა, რომ გაბრაზებული მეზღვაურებისათვის არ დაენებებინა დანარჩენი სამის დახვრეტა. ისინი ტყვედ წაასხეს. გემზე კუკმა ყოველგვარი ღონე იხმარა, რომ მოენადირებია სამი ველურის გული. ის სამაგალითოდ გაუმასპინძლდა მათ, დააღვინა ტკბილი არაყი, დაასაჩუქრა მძივებით, ფართალითა და ცულებით, მაგრამ ტყვეები მაინც მტრულად გამოიყურებოდნენ. ტუპიასთან ლაპარაკიც არ სურდათ და სადამოს რომ წაიყვანეს ნაპირზე, იქიდან ქვებრის-სროლა დაუწყეს მიმავალ ნავს.

კუკმა გადასწყვიტა, რომ ამის შემდეგ აქ დარჩენა უაზრო იყო და ამიტომ ნაპირების გასწვრივ მიმართა გემი ჩრდილოეთისაკენ. გემის მთელ შემადგენლობას უნდოდა ჩქარა გაეგო, აღმოაჩინეს მათ სამხრეთის მატერიკი, თუ ახალი ზეღანდია წყნარი ოკეანეს მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი კუნძული იყო. ქარი მათკენ ჰქროდა და „გულდასმა“ ნელა მიიზღაზნებოდა წინ, ნაპირზე მეზღვაურები მხოლოდ წყლისათვის გადადიოდნენ და ერიდებოდნენ ველურებთან შეხვედრას, მაგრამ შორიდან ხედავდნენ სოფლებს, სადაც იყო კარვები, რომლებსაც თავი წვრილი ჰქონდათ, და ხის პატარა სიმაგრენი, რომლებსაც მკვიდრი მცოვრებნი „ი-პას“ ეძახდნენ. ეს ციხესიმაგრენი კლდის კენწეროებზე შენდებოდნენ და შესდგებოდნენ მიწის ჯებირისა და ბოძების მაღალი მესერისაგან. იქ იყო ქვის გროვა, იმ მოსაზრებით, რომ შემოსეული მტრისათვის დაეშინათ. ზღვიდან ეს ციხესიმაგრენი განაპირა ბორცვთა კლდეების შემამკობელ გვირგვინებს წააგავდნენ.

ღამეობით გემი ძირავდა ღუზას ყურეებში, რომლებიც აქ ძალიან ბლომად იყო, და მაშინ ზეღანდიელები იკრიბებოდნენ ნაპირზე, ანთებდნენ კოცონებს, მართავდნენ საომარ ცეკვა-თამაშს და სწყევლიდნენ უცხოელებს. ინგლისელებს ეს განუყრელი ხმაური ძილს უფრთხობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინი ამას შეეჩვიენ. მარტო ტუპიას აწუხებდა ეს მუქარები და იგი ყოველდამ მიმართავდა ხოლმე ველურებს შემარიგებელი სიტყვით.

— ჩამოდით ნაპირზე და ჩვენ ყველას დაგხოცავთ! — უყვიროდენ საპასუხოდ მას ახალზელანდიელები.

— ჩვენ არ გვინდა თქვენთან ჩხუბი, — აზრიანად უპასუხებდა ხოლმე ტუპია, — ნაპირი თქვენია. მაგრამ რა უფლება გაქვთ, რომ შეურაცხყოფას გვაყენებთ აქ, ზღვაზე. ზღვა არც თქვენია და არც ჩვენი. ბრძოლა კი თქვენთან ჩვენ არ გვწავლია და საბაბიც არა გვაქვს სამღურავად.

ერთხელ ამგვარი სიტყვებით ისე გააგულისა ველურები, რომ მათ ძალიან დიდი თავხედობაც კი გამოიჩინეს: ისარგებლეს ღამის სიბნელით და „გულდასმასთან“ მოცურდენ პიროვით. რამდენიმე მათი მეომარი აცოცდა ერდოზე. მათ უნდოდათ ტუპიას მოკვლა, მაგრამ, საბედნიეროდ, ის რილაცი-სათვის ჩასულიყო ქვევით. რომ ვერ ნახეს ტუპია, სტაცეს ხელი მის ძმისწულს ტაიეტოს, გადაისროლეს პიროვაში და მოუსვდეს ნაპირისაკენ. ტაიეტო ატირდა, მისი ტირილი გაიგონეს ვახტაზე მდგომმა მეზღვაურებმა და დაიწყეს სროლა. ტყვიამ განგმირა ერთ-ერთი მტაცებელთაგანი. პატარა ტაიეტომ დრო იხელთა ამ არევ-დარევაში, ჩახტა წყალში და მოცურდა გემთან. ჩამოდენიმე წუთის შემდეგ იგი ბიძას ჩაეკრა გულში.

მოუხვია რა ყველაზე სამხრეთ მდებარე კონცხს, „გულდასმამ“ გასწია აღმოსავლეთით, დასავლეთის ნაპირების გასწვრივ. ამ ქვეყნის ეს ნაწილი ნაკლებად იყო დასახლებული, ველურები აქ უფრო კეთილგანწყობილად იქცეოდენ და მოგზაურებსაც შეეძლოთ თავისუფლად ესეირნათ ნაპირზე. ერთი ამგვარი სეირნობის დროს კუკი და ბენკსი აცოცდენ მაღალი მთის მწვერვალზე. მთელი მხარე ისე ჩანდა, როგორც ხელის-გულზე.

— გაიხედეთ! — წამოიძახა კუკმა. — ჩვენ ყოველმხრივ წყლითა ვართ გარშემორტყმულნი, ჩვენ კუნძულზე ვართ! სადღა არის თქვენ მიერ ნაქები სამხრეთის მატერიკი?

ბენკსმა მოავლო ჰორიზონტს თვალი და უცებ აღმოსავლეთით, წყლის ვიწრო ზოლს იქით, თოვლით დაფარული მთის მწვერვალები დაინახა.

— დიად, ჩვენ კუნძულზე ვართ, — სთქვა მან, — მაგრამ ეს კუნძული მხოლოდ სამი მხრით არის შემოზღუდული ზღვით; მეოთხე მხარეს კი ვიწრო სრუტეა. სრუტეს იქით კი მატერიკია.

კუკმა იფიქრა, ვინ იცის, იქნებ ბენკსი მართალიც არისო. კი, მაგრამ, თუ ეს კუნძულები იმავე მანძილებითაა დაშორებული სამხრეთის მატერიკიდან, როგორც ინგლისი ევროპიდან?!

ყველანი აღელვა ბენკსის ნაამბობმა, რომ მან და კუკმა ბორცვიდან დაინახეს სრუტე, რომლის გადაღმა რაღაც მაღალმთიანი ქვეყანაა. ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ ეს სამხრეთის მატერიკი იყო, და კუკმაც იგრძნო, რომ მასაც გადაედო საერთო რწმენა. „გულდსმამ“ ყველა იალქნით გაქროლა სამხრეთით, 1770 წლის 8 თებერვალს კი სრუტეში შეცურდა. კუკმა წინადადება შეიტანა, რომ ამ სრუტისათვის ბენკსის სრუტე დაერქმიათ.

— პირველად ბენკსმა შეამჩნია იგი მთიდან, — ამბობდა ის. მაგრამ ბენკსმა გადაჭრით განაცხადა უარი. მას უნდოდა, რომ სრუტეს „კუკის სრუტე“ დარქმეოდა და ვინაიდან ამ აზრს გემის მთელი შემადგენლობა უერთებოდა, კუკი იძულებული იყო თანხმობა განეცხადებია.

კუკის სრუტის ნაპირებზე უხვად ბინადრობდნენ ველურები, რომლებიც, დაინახავდნენ თუ არა გემს, ქუჩდებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და ღრიალით ისროდნენ წყალში აუარებელ ქვასა და შუბს.

მაგრამ კუკი არ შეჩერებულა. გაიარა თუ არა სრუტე და გავიდა ოკეანეში, მან შეუხვია სამხრეთისაკენ და გაეშურა აღმოსავლეთის ნაპირების გასწვრივ, უცხო მიწისაკენ.

ზურგის ქარი ჰქროდა და გემი ჩქარა მისრიალებდა; მისი ყველა იალქანი დაბერილი იყო. ველურები აღარ ჩანდნენ. ეს მხარე პირველი შეხედვით უფრო კუშტი იყო, ვიდრე ის კუნძულები, რომლებსაც მათ გარს მოუარეს. უზარმაზარი მთები აზიდულიყვნენ და მიემართებოდნენ თითქმის ზღვის ნაპირამდე. ველები არ ჩანდა, ვიწრო ხეობანი ანცალკევებდნენ ერთ მთას მეორისაგან. მთების ფერდობები შემოსილიყვნენ მუქ-მწვანე ხავერდით; ეს იყო გაუვალი ტყეები, მწვერვალებზე კი თოვლი პრიალებდა.

ცხრა მარტს ნაპირმა უცებ მარჯვნივ მოუხვია, დასავლეთით, და ათს კი ჩრდილოეთით მოუხვია, ე. ი. ესეც კუნძული იყო. გაცურდა „გულდასმა“ დასავლეთის ნაპირის გასწვრივ და ისევ კუკის სრუტეში დაბრუნდა.

— იმედია, ბენკს, — სთქვა კუკმა, — ახლა თქვენ თვითონ დარწმუნდით, რომ ახალ ზელანდიას არავითარი კავშირი არა აქვს სამხრეთის მატერიკთან. ეს შესდგება მხოლოდ ორი დიდი კუნძულისაგან.

— ვიცი, ვიცი! — შეაწყვეტინა ბენკსმა სიტყვა. — ჩრდილოეთის კუნძული აჩუქა ქვეყნიერებას ტასმანმა, ხოლო სამხრეთის კუნძული კი — თქვენ, მაგრამ....

— მაგრამ რა?

— მაგრამ საიდან იცით, რომ სამხრეთის მატერიკი არ მდებარეობს სამხრეთის კუნძულების სამხრეთით?

კუკი დაფიქრდა.

— არა, — ბოლოს სთქვა მან, — შეუძლებელია ასე იყოს: თქვენ ვერ შეამჩნიეთ, რა გრძელი და სწორი ტალღებია სამხრეთის ყურის ნაპირებზე ახალ ზელანდიაში? ამგვარი ტალღები შეიძლება მხოლოდ გზახნილი ოკეანედან მოდიოდნენ. ყველა გამოცდილი მეზღვაური გეტყვისთ, რომ ახლომახლო არავითარი მიწა არ მოიპოვება.

## თავი მეექვსე.

### ავსტრალია.


დატოვა თუ არა კუკმა ახალი ზელანდია, განაგრძო მგზავრობა დასავლეთით. მას კიდევ ერთი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი: გამოკვლევა ავსტრალიის აღმოსავლეთ ნაპირებისა. მისი სამხრეთი და დასავლეთი ნაპირები უკვე აღმოჩენილი იყო ჰოლანდიელი ზღვაოსნების მიერ, მაგრამ აღმოსავლეთი ნაპირები ჯერჯერობით სრულიად უცნობი იყო ევროპელთათვის. ფიქრობდნენ, ვითომდა იგი მდებარეობდა ახალი ზელანდიის ახლოს.

„გულდასმა“ კი მიცურავდა დასავლეთით მთელი კვირეების განმავლობაში და არავითარ მიწას არ შეხვედრია. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ (კუკის სრუტიდან გამოსვლიდან), 1770 წლის 29 აპრილს, დაინახეს მეზღვაურებმა შორს ნაპირის ვიწრო ზოლი. ავსტრალია აღმოჩნდა გაცილებით ნაკლები სიდიდის, ვიდრე ეგონათ ევროპელ მეცნიერებს. ახალ ზელანდიასა და მას შორის უზარმაზარი ზღვა იყო.

კუკმა იპოვა კარგი ყურე, ჩაუშვა ღუზა, მერე ნაუი და გასცურა ნაპირისაკენ. ნაპირზე დახვდა 40 კაცი — მკვიდრი მცხოვრებნი, სულ მთლად გატიტვლებულნი და კუპრსავით შავნი. მათ ჰქონდათ გაძენძილი ჩალის მსგავსი ნაცრისფერი თმა, და შორიდან კაცს ეგონებოდა, თითქოს ფრინველთა ბუდეები ჰქონდათ თავებზე.

გემს ჩინი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ დაინახეს თუ არა მოახლოვებული ნავი, გაიჭანტნენ. მხოლოდ ორი გულადი დარჩა ნაპირზე გრძელი ხის შუბებით ხელში, ისინი ბრძოლის ფინით აღტყინებულნი აქნევდნენ შუბებს და ნაშენებით ატყობინებდნენ უცხოელებს, რომ მოჰკლავდნენ მათ, თუკი ისინი ნაპირზე გადმოსვლას დააპირებდნენ. კუკს უკვირდა მათი სითამამე: ნავში თხუთმეტი კაცი იყო და ველური კი მხოლოდ ორი. მან ნიშნებით ამცნო, რომ თეთრები სრულიად





ველურები ნადირობენ კენგურულებზე

მშვიდობიანი განზრახვით იყვნენ მოსულნი, რომ მათ მხოლოდ წყლის მომარაგება უნდოდათ. მაგრამ ორ ველურ, ჯიუტ კაცს ვერ შეეგნო კეთილი სიტყვა, მათ მოაგროვეს ქვები და დაუწყეს ნავს სროლა. ბოცმანმა, რომელიც ქვამ ოდნავ გაკაწრა, ესროლა ერთ ავსტრალიელს საფანტით გატენილი თოფი და ფეხში მოარტყა.

სამშობლოს ორმა თამამმა დამცველმა მოჰკურცხლა. მაგრამ თეთრების ნაპირზე გადმოსვლის დროს ისევ გამოვიდნენ ტყიდან და ხელში დიდი ხის ფარები ეჭირათ. ამოდ ცდილობდა კუკი დაეცხრო მათი ბრძოლის ცეცხლი, ამოდ გადაუყარა ლურსმნები და მძივები: ისინი არ აქცევდნენ ქრთამს არავითარ ყურადღებებს და არ მშვიდდებოდნენ. მხოლოდ საფანტით გატენილი თოფის ხელახალმა გასროლამ აიძულა ისინი თავი დაენებებინათ თეთრკანიანებისათვის.

ამის შემდეგ კუკს შეეძლო დაუბრკოლებლივ ევლო ყოველმხრივ, საცა კი მოისურვებდა. მას აინტერესებდა შემდეგი საკითხი: შეიძლებოდა თუ არა დაესახლებია ავსტრალიაში ინგლისის კოლონისტები. მან დაათვალიერა ნიადაგი და აღმოაჩინა, რომ იგი შავი მიწისაგან შესდგებოდა და შესაძლებელი იყო მშვენიერი ჭირნახულის მიღება. მაღალი, მსუქანი ბალახი თითქოს იმასღა ელოდებოდა, რომ მწყემსებს გამოერეკათ აქ საქონელი. ოკეანეს ერთვოდა მრავალწყლიანი მდინარე, რომელშიაც გემრიელი თევზები იყო. ტყეები თხელი იყო, მაგრამ ხეები, განსაკუთრებით ევკალიპტები, ანცვიფრებდა მნახველს თავისი სიმაღლითა და სიმსხვილით. ჰაერი სავსე იყო ჩიტების ჟივილ-ხივილით, და განაპირა სილაზე მოჩანდა რაღაც ცხოველების კვალი. კუკმა გულდასმით დაათვალიერა ეს მხარე და ძალიან კმაყოფილი იყო, რომ ის აღმოაჩინა.

მხოლოდ ერთი რამ ვერ ხერხდებოდა: მკვიდრ მცხოვრებლებთან კავშირის გაბმა. იმათთან შემთხვევით შეხვედრის დროს შეეცადა გამოლაპარაკებას, მაგრამ ისინი მათ მოახლო-

ვებისთანავე გარბოდენ. ერთხელ დაიჭირა ორი ავსტრალიელი პატარა გოგო, თავიდან ფეხებამდე შემოსა მრავალფეროვანი მძივებით, იმ იმედით, რომ ამით მოიგებდა ველურების გულს, მაგრამ როცა გოგოები გაათავისუფლეს, მათ ყველა მძივი დაჰყარეს და გაიქცენ. მაშინ კუკმა დაიწყო ცულებისა და ლურსმნების დატოვება იმ ადგილებში, სადაც ხშირად იყვნენ ავსტრალიელები. არც ამ ხერხმა გასჭრა: ისინი არც კი ეკარებოდენ განძეულობას.

ავსტრალიის მცხოვრებნი ძალიან ველური ხალხი იყო, გაცილებით უფრო ველური, ვიდრე ტაიტელები და ზელანდიელებიც კი. მათ უბრალო კარავიც კი არა ჰქონდათ და ეძინათ ცისქვეშ. თავქვეშ თივა ედოთ. მათსა და ცხოველებს შუა არ იყო დიდი განსხვავება. განსხვავება გამოიხატებოდა მარტო ლაპარაკის, ცეცხლის გაჩაღებისა და ბუმერანგების კეთების ცოდნაში. ბუმერანგი მოკაუჭებული ჯოხია, რომლითაც ავსტრალიელები მხეცებს ხოცავენ ხოლმე.

მოიძარაგა თუ არა საკმაოდ „გულდასმამ“ წყალი, მოიხსნა ღუზიდან და გაეშურა ნაპირების გასწვრივ ჩრდილოეთისაკენ. ეს იყო ერთფეროვანი მგზავრობა. ავსტრალია არც ისე მდიდარია ბუნებით, როგორც აზია ან ევროპა. აქ საჭიროა გასცურო ათასობით ვერსი, რომ დაინახო რაიმე ახალი, ღირსშესანიშნავი. მზე თანდათან უფრო ცხოველი იყო, აცხუნებდა და ნაპირიც უდაბური, ქვიშიანი და გადამხპარი ხდებოდა. დაბალი მთების სწორი ზოლი მალავდა ჰორიზონტს. ამ მთებმა კუკს გაახსენა სამხრეთ უელსის მთები ინგლისში და ამიტომ მან დაარქვა მთელს ამ მხარეს ახალი სამხრეთ უელსი. კუკის მთავარ შრომას შეადგენდა ზუსტი რუკის შედგენა, სადაც მას უნდა აღენიშნა ყოველი ყურე, ყოველი კონცხი, ყოველი განაპირა კუნძული და ხანდაზმით ებრძოლა ბრაგებისა და ქოროხების წინააღმდეგ, რომლებიც მას გზაში ხვდებოდენ. 25 მაისს მათ გაიარეს თხის რქის ტროპიკი და ზომიერი სარტყელიდან ტროპიკულ სარტყელში გადავიდენ. რამდენიმე დღის

შემდეგ ბენკსმა ნაპირზე სეირნობის დროს დაინახა უცნაურბ-  
დიდი ცხოველი, რომელსაც მუცელზე ტყავის პარკი გაზრდო-  
და. ეს იყო კენგურუ, რომელიც მანამდე არ ენახათ ევრო-  
პელებს. ტყავის პარკში დაქვეს კენგურუს თავისი შვილები.

აქამდე ცურვა ავსტრალიის ნაპირ-ნაპირ საკმაოდ დამლა-  
ლავე შრომას წარმოადგენდა, მაგრამ სავსებით მშვიდობიანი  
იყო, არცერთ მეზღვაურთაგანს ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუ  
რა დიდი საფრთხე მოელოდა მათ.

### თავი მუხვილი.

#### დალუპვის პირად.

— ას ოცი! ას თვრამეტი! ას ოცდასამი! — ყვიროდა მეზ-  
ღვაური, რომელიც ლოტით ზომავდა სიღრმეს.

აი, უკვე ექვსი საათია, რაც „გულდასმა მიცურავს“ მი-  
ცურავს წყალქვეშ კლდეებსა, მეჩეჩთა შორის და ვერანაირად  
თავი ვერ დააღწია მათ. გემის შემადგენლობა სულ მთლად მო-  
იქანცა ყოველ წუთს კურსის შეცვლითა და ქარის წინააღმ-  
დეგ ბრძოლით. ქარს კი წამდაუწუმ მიჰქონდა გემი აქაფებუ-  
ლი მორევებისაკენ.

მაგრამ, აი, სწამოს ათ საათზე ლოტი ველარ სწედებო-  
და ძირს და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. კუკმა გასცა  
ბრძანება გასულიყვნენ ზღვაში, თვით კი ჩაეშვა კაიუტაში.

ნახევარი საათის შემდეგ მეზღვაურმა, რომელიც განა-  
გრძობდა ლოტით ზღვის ფსკერის ძებნას, შიშით თავზარდაცე-  
მულმა წამოიყვირა:

— ას შვიდი ფუტი! — დაიღრიალა მან.

და სანამ იგი ხელმეორედ ჩაადგებდა ლოტს, გაისმა გულ-  
შემზარავი კრიკინი, მერე კრიალი დამტვრეული ხისა, და „გულ-  
დასმა“ გაჩერდა. იალქნები უკანასკნელად გაიბერენ გიგანტუ-  
რი ბუშტებივით და გადაჰხარეს გემი ცალ მხარეს ისე, რომ  
მარჯვენა ქიმი თითქმის ეხებოდა წყალს.

ნახევარი წუთის შემდეგ კუკი უკვე იდგა ირიბ ერდოზე.

— ყველა იალქანი მოხსენით!—ბრძანა მან. მაგრამ გემი შაინც არ გასწორდა. იგი გაეხირა წყალქვეშა ბრავის ნაპრალში, ქვები ჩაებლახუნ ხის გვერდებს და არც ისე ადვილი იყო ამ კლანჭებიდან თავის დახწევა.

კუკთან მივიდა დოსტაქარი მონკგაუზი და დამშვიდებით უთხრა:

— დაუცადეთ ზღვის მოქცევას, სერ. მოქცევა აგვწევს და გაგვათავისუფლებს.

— სულელო!—დაუყვირა მას კუკმა—ახლა ყველაზე მალე წერტილზეა ზღვის მოქცევა. შემდეგ მხოლოდ ზღვის უკუქცევა იქნება.

მონკგაუზმა მადლობა გადაუხადა ღამის სიბნელეს, რომ მან დაუფარა აწითლებული ლოყები. მაგრამ კუკმა იმ წამსვე დაივიწყა წინდაუხედავი დოსტაქარი. „უნდა შევამსუბუქოთ გემი, რათაც გინდა დაჯდეს“—ფიქრობდა იგი და დაიყვირა:

—ზარბაზნები გადაყარეთ!

ცხრა ზარბაზანი გიგანტური გომბეშოებივით ჩახტა შავ წყალში, ნაშხეფები ანძის კენწეროს ახწევდნენ. მაგრამ „გულდასმა“ არც კი შერხეულა.

— გადააქციეთ დასაღევი წყალი!—განაგრძობდა ყვირილს კაპიტანი.

კასრები გამოაგორეს ერდოზე და დიდის შრომით მოპოვებული წყალი გადაიღვარა ზღვაში. მაგრამ უკვე დაიწყო უკუქცევა და გაქრა იმედი დილის მოქცევამდე განთავისუფლებისა.

მთელი საშინელება თავისი მდგომარეობისა მეზღვაურებმა მხოლოდ დილით, ალიონზე შეიგნეს. ყოველი მოტყორცნილი ტალღის გამო გემი ეხახუნებოდა ქვას და თანდათან იმტვრეოდა. ირგვლივ ცურავდნენ ნატყხები და გემის ხერხემლის ნაწილები. ოღნავ რომ გამაგრებულიყო ქარი, „გულდასმიდან“ მხოლოდ ნაფოტები დარჩებოდა, ის ნაფოტ-ნაფოტ იქცეოდა.

კუკმა გაგზავნა ტრიუმში სარემონტო ხელოსანი. იგი შობდა არ აღმოჩენილიყო ფსკერზე ნაპრალი.

ხელოსანი გაფითრებული დაბრუნდა და სთქვა:

— იქ წყალია, ბატონო!

„დაიწყო“ — გაიფიქრეს მეზღვაურებმა, მაგრამ არცერთს ხმა არ ამოუღია.

კუკი თვით ჩაეშვა გემძირედში. ყუთები და ცარიელი კასრები დაცურავდნენ შავ წყალში ღინჯად და თითქმის შეუმჩნევლად იწევდნენ ზევით.

— პომპებთან! — დაიყვირა კუკმა და შევიდა თავის კაიუტაში.

აჭრიკინდა ორი პომპა და მღვრიე ნაკადი გადმოაფურთხა ზღვაში. მეზღვაურები გაიყვენ სამ ნაწილად, რომ ამოეტუმბათ წყალი რიგ-რიგობით.

მოახლოვდა ზღვის მოქცევა, რასაც ასე მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ ვერ გაათავისუფლა გემი, ვინაიდან ეს მოქცევა გაცილებით სუსტი აღმოჩნდა ღამისაზე და მხოლოდ ოდნავ აუწია გემს ბოლო.

დილის ექვს საათზე წყლის ზედაპირმა ტრიუმში იმატა და იძულებული გახდნ მესამე პომპაც ეხმარათ; მეოთხე პომპა გაფუჭებული აღმოჩნდა. კუკმა ბრძანა მისი ზღვაში გადაგდება. ნაპრალი რომ გადიდებოდა (რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო), უკვე შეუძლებელი შეიქნებოდა წყლის მოწოდის გაძღება.

მეზღვაურები, რომელთაც არც სძინებიათ და არც არაფერი უქმნიათ მთელი ღამის განმავლობაში, მთლად მოიქანცნენ. პომპებთან მომუშავე ჯგუფები იძულებული იყვნენ შენაცვლებოდნენ ერთმანეთს ყოველ შვიდ წუთში. ოფიცრები დგებოდნენ დაღლილობისაგან დავარდნილი მეზღვაურების ადგილებზე და თავდაუზოგავად მუშაობდნენ. არავინ არ ზარმაცობდა, არავის არ შეუბრუნებია სიტყვა. ყველა გრძნობდა, რომ ამ კატორღულ შრომაზე იყო დამოკიდებული მისი საკუ-

თარი სიცოცხლე, ყოველ შემთხვევაში დალუპვის ვადის გაგრძელება.

როს დაბნელდა, კუკს მიუახლოვდა ბენკსი.

— თქვენ იმედოვნობთ ამ კლდიდან მოხსნას? — იკითხა მან.

— ვიმედოვნებ, — უპასუხა კუკმა. — ღამე მოქცევა ძალიან შალალი იქნება.

— ავსტრალიის ნაპირი რვა მილზეა ჩვენგან, — სთქვა ბენკსმა, — შესძლებს „გულდასმა“ მისვლას ასეთი დიდი ნახეტქით ფსკერზე? ახლა კლდე საცობივით არის ნახეტქში, მაგრამ როცა განვთავისუფლდებით...

კუკი სდუმდა.

— ნავებში მოთავსდება გემზე მყოფთა ნახევარი, — განაგრძობდა ბენკსი. — დანარჩენები უნდა დაილუპონ. რას ვიზამთ?

— რა ვქნათ? — სთქვა კუკმა — თქვენ და მე? ჩვენ გემზე დავრჩებით.

მაგრამ კუკმა იცოდა, რომ ეს არ იყო გამოსავალი გზა ამ მდკომარეობიდან. მეზღვაურებიც ვერ დაეტეოდნენ ნავებში. უკანასკნელ წუთს ისინი დაივიწყებენ დისციპლინას და ვალდებულებას, მივარდებიან ნავებს, ატყდება ცემა-ტყეპა, სუსტებს ზღვაში გადაუძახებენ.

რა მოელის მათ, ვინც მიაღწევს ავსტრალიის ნაპირებს? მხეცური საშინელი ცხოვრება შორს სამშობლოდან და ახლობელთაგან, ველურ ხალხთა შორის, რომლებიც უფრო სულელები, ჭუჭყიანები და ბოროტნი არიან, ვიდრე ცხოველები. მაგრამ, რაც მოხდება მოხდეს. ახლა კი საჭიროა მუშაობა.

კუკი მივიდა პომპასთან, გაიხსნა საყელო და დაიწყო დაღლილობისაგან მოთენთილ მეზღვაურებთან ერთად წყლის ტუმბვა. ახლა ჯგუფები სცვლიდნენ ერთმანეთს ყოველი ხუთი წუთის შემდეგ და როცა მოდიოდნენ შემნაცვლელნი, მომუშავენი ეცემოდნენ იატაკზე დაღლილობისაგან და ასე ეყარენ, სანამ არ მოვიდოდა მათი ჯერი.

დაიწყო ზღვამ მოქცევა. მისმა ზედაპირმა დღის მოქცევის უმაღლეს წერტილს მიაღწია და სულ კიდევ განაგრძობდა აწევას. ყველა ნავი ჩაუშვეს წყალში და თოკებით მიამაგრეს გემის უკანა ნაწილზე: ასწევს თუ არა მოქცევა გემს, ისინი ჩამოათრევენ გემს კლდიდან.

წყალი ნელა-ნელა იწევდა მაღლა. გემი შეირხა და დაიწყო გამოცოცხლება. ყველას გული აუტოკდა დაჭიმული მოლოდინისაგან.

ვაშა! ერდო გასწორდა, „გულდასმა“ ნელა შეირხა ტალღებზე.

ნავეების ყველა ნიჩაბი შრიალით ჩაეშვა წყალში. თოკები დაიჭიმა, და გემი ჩამოცოცდა კლდიდან. ახლა მის ქვეშ უფსკერო ოკეანეა. ისინი განთავისუფლდნენ!

ელვის სისწრაფით გამართეს იალქნები, მაგრამ ქარი თითქმის არ ბუო, და გიგანტური ტილოები, ტომრებსავით ჩამოკიდებულნი, ოდნავ ირხეოდნენ. გემი წაცოცდა ნაპირისაკენ.

პირველ ათ წუთს მეზღვაურები აღფრთოვანებულნი იყვნენ. ისინი მაგრად ართმევდნენ ხელს ერთმანეთს და სიხარულით უღიმოდნენ ოფიცრებს. პოპებმაც კი უფრო მხიარულად დაიწყეს ჩხარუნი, მაგრამ მალე ყველამ დაიწყო იმის შემჩნევა, რომ გემი მეტად უცნაურად ჩაჯდა წყალში და ერდოდან ზღვის ზედაპირი არც ისე შორს ეჩვენებოდათ, როგორც უწინ. ჩაიხედეს რა ტრიუმში, მიხვდნენ თავის გამოუვალ მდგომარეობას.

— სერ, — სთქვა დოსტაქარმა მონკგაუზმა, მიუახლოვდა თუ არა კუკს, — თხუთმეტი წუთის შემდეგ წყალი საკნებამდე მოაწევს.

— ეს მეც ვიცი, — უპასუხა კუკმა.

— სერ, — განაგრძობდა მონკგაუზი, — სამი წლის წინ მე მოვცურავდი ამერიკიდან ინგლისში, ჩვენს გემში წყალი შემოვიდა, გემის შეკეთება არსად შეიძლებოდა. მაშინ ერთმა მეზღვაურთაგანმა ასწავლა კაპიტანს ერთი ხერხი, რომლითაც დაუყოვნებლივ შეიძლებოდა წყლის შეჩერება. კაპიტანმა იხმარა მისი ხერხი, და ჩვენ მშვიდობით მივახწიეთ ლივერპულამდე.



დოსტაქარმა უამბო თავისი გეგმა კუკს და ერთი წუთის შემდეგ ერდოზე გააგეს უზარმაზარი ძველი იალქანი. თვით დოსტაქარმა წაუსვა მას წებოვანი პატივი, რომელიც მოაგროვებს გომურში, სადაც იყვნენ ტაიტზე ნაყიდი ღორები. პატივზე უხვად მოაბნიეს ნაძენძი და როცა იგი შეაშრა, გადაუშვეს გახსნილი იალქანი ბაქანს იქით. იალქანი იმ წუთსვე ამოედო გემს ქვევიდან. გამსკლარმა ადგილმა მიიზიდა იგი თავისკენ, ამოივსო მით და წყალი ველარ შევიდა გემში. პომპები განაგრძობდნენ მუშაობას, და ერდომ ნელ-ნელა იწყო ზევით აწევა.

ალიონზე „გულდასმამ“ ჩაძირა ლუზა დიდი მდინარის შესართავში. კუკი შევიდა დოსტაქარ მონკგაუზის კაიუტაში და მაგრად ჩამოართვა მას ხელი.

— მაპატიეთ, ექიმო, — სთქვა მან, — მაპატიეთ.

### თავი მეჩვი.

#### არაჩვეულებრივი ცურვა.

მოგზაურების წვალება ჯერ კიდევ არ მოთავებულიყო. გემი გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ. მარტო გამსკლარი ადგილის შეკეთება არა კმაროდა — მთელი ფსკერი ხახუნისაგან ისე გათხელებულიყო, რომ ალაგ-ალაგ ფეხსაცმელის ლანჩის სისქე იყო. პომპები კი ორი დღის განუწყვეტლივი მუშაობის გამო ისე დაცვდნენ, რომ მათზე იმედის დამყარება შეუძლებელი ხდებოდა.

ყოველივე ამას დაემატა ის, რომ გემზე სურავანდი გაჩნდა. სურავანდი ავადმყოფობაა, რომელიც ჩნდება ახალი საქმელების უქონლობის გამო. მას შემდეგ, რაც მეზღვაურები გამოვიდნენ ახალი ზელანდიიდან, არაფერი არ უქამიათ, გარდა გამხმარი პურისა და დამარილებული ხორცისა. ტანჯულმა დამემ, რომელიც გაატარეს წყალქვეშა კლდეზე, სულ მთლად გამოაცალა მათ ძალ-ღონე და ახლა მოქანცულებს აღარ შე-

ედლოთ ებრძოლათ სურავანდის წინააღმდეგ. განსაკუთრებით იტანჯებოდა ტუპია. იგი, რომელიც ბავშობიდანვე შეჩვეული იყო ხილს, ველარ უყურებდა დამარილებულ ხორცს, გამხმარ პურს და ძლივსა დაათრევდა ფეხებს.

კუკმა მაშინვე გაგზავნა ექსპედიცია ხილისა, მწვანილღულობისა და ფრინველთა ხორცის მოსატანად. მაგრამ, საუბედუროდ, ეს მხარე ავსტრალიისა სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა. ყოველგან ქვიშა და გამხმარი ბალახი, სიცხისა და უწყლობის გამო დამღრალი ტყე—აი ის, რაც მათ გარს ერტყა. ექსპედიცია ხელცარიელი დაბრუნდა მას არაფერი მოუტანია, გარდა ზღვის გიგანტური ლოფორთქინასი, რომელიც ორ ფუტს იწონიდა.

ფეხშიშველა კაცების უამრავი ნაკვალევი მოწმობდა, რომ ამ მხარეშიც ცხოვრობდნენ ადამიანები. და მართლაც, მალე ნაპირზე გაქიმულ რამოდენიმე კარავთან გამოჩნდნენ ავსტრალიელები, იმგვარივენი, რანაირებსაც ჩვენი მოგზაურები მანამდე შეხვდნენ. თეთრებს ისინი კარგად ეპყრობოდნენ, დიდის სიამოვნებით ელაპარაკებოდნენ თავის ენაზე, მაგრამ არ იჩენდნენ არავითარ ცნობისმოყვარეობას. კუკი ასაჩუქრებდა მათ მძივებით, ცულებით და ფართლელულობით, მაგრამ ისინი ყოველივე ამას ძირს აგდებდნენ, არ აფასებდნენ. აფასებდნენ მხოლოდ იმას, რისი ჭამაც, მათი აზრით, შეიძლებოდა. ყველაზე ძვირფასი, მათის აზრით, მთელ ქვეყანაზე საჭმელი იყო.

სწორედ საჭმლის გულისათვის მოუვიდათ მათ უთანხმოება თეთრკანიანებთან, რის გამოც კინალამ დაიღუპნენ კუკი და მისი ამხანაგები. ყოველივე ეს ამრიგად მოხდა:

ერთხელ რამოდენიმე მეზღვაურს ორი უზარმაზარი კუ მოეკლა. კუკს ძალიან გაეხარა. იგი ფიქრობდა, რომ ახალი ხორცი უშველიდა სურავანდიან ავადმყოფებს და ბრძანა შეეწვათ მათთვის სადილად. ავსტრალიელებმა, რომლებიც სწორედ ამ დროს ეწვიენ ინგლისელებს, უსიტყვოდ სტაცეს ხელი ერთ კუს და წათრიეს ტყეში, მაგრამ კუ მათ იმ წამსვე წაართვეს. ვე-

ლურები განცვიფრებული იყვნენ და განაცხადეს, რომ მათ ჭამა სურთ. კუკმა ბრძანა ექმნათ გამხმარი პური, რომელიც გემზე საკმაოდ მოიპოვებოდა. პირდაპირ საშინელი საყურებელი იყო, თუ როგორ სჭამდნენ ისინი ამ გამხმარ პურს. ყოველმა მათგანმა შეჭამა ოთხი-ხუთი გირვანქა მაინც. მათ თავი ანებეს ჭამას მხოლოდ მაშინ; როცა მუცლები დოლივით გაებერათ. გამძღრები და ძილმორეულები წამოდგნენ ისინი, ისევ აიკადეს ზურგზე კუ და ნელ-ნელა წავიდნენ ტყისაკენ.

ამ უცნაურმა სიჯიუტემ გააბრაზა და გააცინა ინგლისელები. კუ ხელმეორედ წაართვეს მათ, მაგრამ ახლა კი ავსტრალიელები გაბრაზდნენ, მიიზბინეს კოკონთან, რომელზედაც დურგალი ხარშავდა კუპრს გემის შესაკეთებლად, დაავლეს ხელი ანთებულ შეშებს და დაუწყეს ბალახს ცეცხლის წაკიდება ბანაკის ირგვლივ.

კუკმა ბრძანა ესროლათ, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. მაღალი გამხმარი ბალახი იწოდა, როგორც თოფის წამალი. ზღვის ქარი აძლიერებდა ალს და იგი ცხელი რგოლივით გარს შემოერტყა მეზღვაურებს.

— წყლისაკენ! გემზე! — დაიყვირა კუკმა, მაგრამ ყველა გარბოდა ბრძანების გაცემამდეც, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ნაპირისაკენ. ცეცხლი ფეხდაფეხ მისდევდა მათ, და მხოლოდ ცეცხლის ოღნავ შემაჩერებელ ქვიშნარიან ადგილებთან საშუალება მიეცათ დროზე ჩამხტარიყვნენ წყალში. ხუთი წუთის შემდეგ ისინი უკვე გემზე იყვნენ, სრულიად უზრუნველყოფილნი, რომ ცეცხლი ვერაფერს უზამდა მათ. ალი კი განაგრძობდა განსაცვიფრებელი სისწრაფით გავრცელებას. იწოდნენ ველები, ეცემოდნენ ასწლოვანი ევკალიპტები ტყეებში. ცეცხლი წყალსავით გადადიოდა ხევიდან ხევში და საღამოს კი, როს დაღამდა, ნელა აკოცდა შორეული მთების ტყიან ფერდობებზე. დილაზე ხანძარმა ჰორიზონტამდე მიაღწია.

ოთხი დღედღამე ისდნენ შიშით მოცული მეზღვაურები. გემზე და შეძრწუნებული უყურებდნენ ცეცხლის ოკეანეს, რომელიც ანადგურებდა მთელს იმ ქვეყანას.

— გადარეულები! — ამბობდა ბენკსი, როცა გაახსენდა ველურები, რომლებმაც ერთი კუს გულისათვის დაატრიალეს ამდენი უბედურება, — ისინიც ხომ ცოცხლად დაიწვენ!

მაგრამ როცა კვამლი გაიფანტა, კუკმა ქოგრიტ დაინახა ზღვაში რამდენიმე ტივი, რომელზედაც არხეინად ისხდნენ ავსტრალიელები, მათ ხელში ანკესები ჰქონდათ.

„უცნაური ხალხია, — იფიქრა კუკმა, — ცეცხლი წაუკიდეს თავის საშობლოს და, თითქოს არაფერი მომხდარაო, გასცურეს თევზის დასაჭერად“.

როგორც იყო, „გულდასმა“ შეაკეთეს და საჭირო იყო სამგზავროდ მომზადება. საუბედუროდ, კუკს არც კი შეეძლო ეფიქრა ინგლისში დაუყოვნებლივ დაბრუნებაზე. დაქანცული შემადგენლობა გემისა ვერ აიტანდა ასეთ გრძელ მგზავრობას, გემსაც კარგი შეკეთება სჭირდებოდა. მან გადასწყვიტა წასულიყო უახლოეს კულტურულ ადგილას, ქალაქ ბატავიაში, ჰოლანდიელების კოლონიაში, კუნძულ იავაზე.

რომ ისევ არ შემჯდარიყვნენ კლდეზე, ზღვაში გაგზავნილი იქნა ნავი ეკიპაჟმისტერის მეთაურობით, რომელსაც ევალეზობდა შეედგინა რუკა ყოველი ბრაგებისა და წყალქვეშა კლდეების მდებარეობისა. ეკიპაჟმისტერი დაბრუნდა მხოლოდ ორი დღის შემდეგ და თან მოიტანა არასასიხარულო ამბები: თურმე მთელი ნაპირის გასწვრივ მიემართებოდა მარჯნის წყალქვეშა მოაჯირი, რომელიც გზას უღობავდა მათ გახსნილ ზღვაში გასასვლელად. ეს მოაჯირი ციხის კედელსავით იმწყვდევდა მათ და აშორებდა მთელ ქვეყანას. ეკიპაჟმისტერი მეორედ გაგზავნეს. დაბრუნებისას მან აუწყა, რომ, მგონი, ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო გასავალი.

დაიწყო მოგზაურობის ისტორიაში გაუგონარი ცურვასამას სამოცი მილი გაიარეს ისე, რომ ყოველ წუთს ზომავდნენ სიღრმეს ლოტით. განუწყვეტელმა ბრაგებმა ისე დაახინდნენ „გულდასმა“, რომ ყველა მისი ყოფილი ჭრილობა გაინხნა. წყალი მატულობდა ტრიუმში საათში ცხრა დუიმს და

სურავანდით დაავადებული შემადგენლობა იძულებული იყო დღედაღამე ემუშავა პომპასთან.

მაგრამ როდესაც ყოველივე ამ ტანჯვა-წვალებას ბოლო მოელო და ისინი გავიდნენ გახსნილ ზღვაში, მათ წინ აღიმართენ ახალი სიძნელენი. იმ დროს არავინ იცოდა, შეადგენდა თუ არა ახალი გვინეა ცალკე კუნძულს, თუ ავსტრალიის მატერიკის ნაწილი იყო. თუკი გამართლდებოდა უკანასკნელი მოსაზრება, მათ ამ შემთხვევაში გარს უნდა მოეველოთ ახალი გვინეისათვის და ვინაიდან ეს ძალიან აგრძელებდა მათ გზას, კუკმა გადასწყვიტა ეცადა და მოეძებნა ახალი სრუტე— გვინეისა და ავსტრალიას შორის. საბედნიეროდ, ეს სრუტე იპოვეს და ორი კვირის შემდეგ „გულდასმა“ ზონდის არქიპელაგის კუნძულებს შორის მიცურავდა.

აქ აღვილი საშოვნელი იყო ხილი და სურავანდისაგან დაიწყეს მოჩინა. მაგრამ მისი აღვილი დაიკავა საშინელმა ავადმყოფობამ—ციებამ. გემი საავადმყოფოს წააგავდა. ჯანსაღნი კი იმდენად მოქანცული იყვნენ, რომ არ ჰყოფნიდათ ძალღონე ავადმყოფების მოსაველეად. ყოველ უბედურებას თან დაერთო ისიც, რომ დოსტაქარ მონკგაუზს, ერთადერთ ექიმს გემზე, თვით დაემართა ციება და რამოდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ტუპია და მისი ძმისწული ტაიეტო ველარდგებოდნენ თავისი ლოგინებიდან. ბენკსიც საშიშ მდგომარეობაში იყო. მხოლოდ არაჩვეულებრივი ნებისყოფის გამო იდგა კუკი ფეხზე. ყოველ ღამეს ისინი ისროდნენ ერდოს იქით ახალ ცხედარს. და როდესაც „გულდასმა“ შევიდა ბატავის ნავსადგურში, აღარავინ იყო, რომ იალქნები ჩამოეხსნა.

ბატავია დიდი ქალაქია, თითქმის ევროპული, დედაქალაქი ჰოლანდიის ინდოეთისა. ხარბი თვალით უყურებდნენ არაქათ-გამოღეული მგზავრები ორსართულიან ქვის სახლებს, მოკირწყლულ ქუჩებს, მაღალ საყდრებს. მთელმა შემადგენლობამ დასტოვა „გულდასმა“ და გადასახლდა ყველაზე უკეთეს სასტუმროში. მათი კეთილი გემი კი, ასე დაუღალავად რომ

ებრძოდა ქარიშხლებს და ბრაგებს, ვერფში მისცეს შესაკეთებლად.

ტუპია, რომელიც თავის თავს ცოტა უკეთ გრძნობდა, დასეირნობდა ქალაქში და ყველაფერს დინჯად აცქერდებოდა. მას ახსოვდა, რომ იგი თავის სამშობლოში მინისტრად იყო და არ უნდოდა შეემჩნევინებინა უცხოელთათვის თავისი განცვიფრება. მაგრამ მის სახეზე კუკი ხედავდა, როგორ ანცვიფრებდა და აღელვებდა მას ქალაქის სიმშვენიერე და სიღიღე.

— რატომ იმოსებიან აქ ყველანი სხვადასხვანაირად? — ჰკითხა მან ერთხელ კუკს.

— იმიტომ, რომ აქ ყოველი მხრიდან ჩამოსული ხალხია, უბასუხა კუკმა, — სხვადასხვა ქვეყანაში კი სხვადასხვა ტანსაცმელია.


— მეც მინდა მეცვას ისე, როგორც იცვამენ ჩემს სამშობლოში, — სთქვა ტუპიამ, გაიძრო ნაჩუქარი მეზღვაურის ტანსაცმელი და ჩაიცვა თავისი ტაიტური სამოსი. არ მოსწონდა მას მკაცრი მოპყრობა თეთრკანიანებისა მათ მონებთან — მალაიელებთან.

— ნუთუ ტაიტელებსაც ასე მოეპყრობით? — ჰკითხულობდა იგი, როს ხედავდა, თუ როგორ ერეკება შოლტით ჰოლანდიელი ოთხ გაძვალტყავებულ მონას, მძიმე ურიკაში შებმულს.

— არა, — შწარედ წარმოსთქვა კუკმა, — სანამ ცოცხალი ვარ, ეს არ იქნება.

პირველ ხანს ბატავიაში მოსვლისთანავე ყველა ავადმყოფი უკეთ გრძნობდა თავს, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ ციებამ ისევ იჩინა თავი წინანდელი სიძლიერით. ყოველდღე კვდებოდა ვინმე. გარდაიცვალა პატარა ტაიეტო. ბატავიიდან გამოსვლის წინა ხანებში გარდაიცვალა ტუპიაც. არა ხვდა წილად ენახა ინგლისი, რომლისაკენაც ისე მიისწრაფოდა!

„გულდასმას“ შემდეგ უნდა გაეცურა კარგად ცნობილი ზღვები, სადაც ევროპელები ხშირად მოგზაურობდნენ. მოუარეს რა აფრიკის სამხრეთ ნაწილს, — კეთილი იმედის კონცხს, — მოგზაურები შევიდნენ ატლანტის ოკეანეში — და 1772 წლის 11 ივნისს, თითქმის ოთხი წლის მოგზაურობის შემდეგ, შევიდნენ ლონდონის ნავსადგურში.



მელურები თავის ნავებში.

# სამხრეთ მატერიკის სამეზრად

თავი მესამე.

ყინულოვანი მთები.

კუკის სახელი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ინგლისს. სტატიები მის შესახებ იბეჭდებოდა ყველა გაზეთში. წიგნები მისი მოგზაურობის შესახებ სწრაფად იყიდებოდა და აგრეთვე ითარგმნებოდა უცხო ენებზე. ყველა მეცნიერი ამოქმედდა. ასტრონომები აფასებდნენ მის კვლევას — ვენერის გასვლას მზის ბიდროში; ბოტანიკოსები — მის მიერ მოტანილ მცენარეებს; გეოლოგები — წყნარი ოკეანეს კუნძულთა წარმოშობის საკითხს; ანთროპოლოგები — ახალ ზელანდიელთა ზნე-ჩვეულებასა და ენას. მაგრამ ყველაზე უფრო დელავდუნ გეოგრაფები. დიდი ხანია არ მიუღიათ მათ ამდენი ძვირფასი და შემოწმებული ცნობა. ავსტრალიის და ახალი ზელანდიის ნაპირების გამორკვევამ შეავსო უზარმაზარი თეთრი ლაქა, რომელიც ამშვენებდა ჭაშინდელ ყველა ევროპულ რუკას. განსაკუთრებით ანცვიფრებდათ მათ ის, რომ კუკმა ვერ იპოვნა სამხრეთის მატერიკი. სამხრეთის მატერიკი, მათის აზრით, უნდა ყოფილიყო სწორედ იმ გეოგრაფიულ განივში, რომლებსაც „გულდასმა“ ეწვია. ბრიტანეთის გეოგრაფიული საზოგადოების კრებები ქარიშხალს წააგავდა.

— სამხრეთის მატერიკი არ არსებობს! — ყვიროდნ ერთნი, — კაპიტანმა კუკმა დაამტკიცა ეს სარწმუნო საბუთებით. წყნარი ოკეანე თვით პოლუსამდე აღწევს.

— სამხრეთის მატერიკი უნდა არსებობდეს! — უპასუხებდნ მეორენი. — უამისოდ დცდამიწის ბირთვი დაჰკარგავდა წონასწორობას და გვერდზე გადაყირავდებოდა. მაგრამ იგი უფრო სამხრეთით იმყოფება იმ ადგილებზე, რომელსაც ეწვია კუკი. ამ გულად მოგზაურს რომ მოესაზრებია ახალი ზელანდიის მი-



ტოვება და უფრო სამხრეთით წასულიყო, მისი სახელი უფრო განთქმული იქნებოდა, ვიდრე კოლოუმბის.

ინგლისის მთავრობას სულით და გულით უნდოდა აღმოეჩინა ეს სამხრეთის მატერიკი. ვინ იცის, რამდენ სიმდიდრეს შეიცავდა მისი მთები, ვინ იცის, რამდენის მოგება შესაძლებელი შეიქნებოდა მათ მცხოვრებლებთან ვაჭრობით.

და გადასწყვიტეს გაეგზავნათ ახალი ექსპედიცია, დაევალებიათ წასულიყო რაც შეიძლება შორს სამხრეთით. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო მეთაურობა ამგვარი ექსპედიციისა, კუკი იყო.

ახლა კი მას მისცეს არა ერთი გემი, არამედ ორი და ამასთანავე ისინი უფრო დიდები იყო, ვიდრე „გულდასმა“. პირველ ამ გემთაგანს, რომელზედაც თვით კუკი უნდა ყოფილიყო, „სითამამე“ ერქვა. მეორეს, რომელსაც ფიურნო მეთაურობდა და ექვემდებარებოდა კუკს, „გულადობა“ ერქვა.

კუკმა მიიღო ინსტრუქცია მოეწოდებოდა დედამიწის ირგვლივ და ეცადა, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო სამხრეთ პოლუსთან. ზამთარში კი, როცა მას უნებლიედ მოუხდებოდა ტროპიკებში დაბრუნება, მას უნდა განეგრძო წყნარი ოკეანის კუნძულების გამოკვლევა.

ახლა კი კუკმა გადასწყვიტა, რათა გინდა დაჯდომოდა, თავიდან აეცდინა თავისი გემების შემადგენლობის სურავანდით დაავადყოფება და მოიმარაგა სათანადო რაოდენობა სურავანდის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებათა: ალაო და მჟავე კომბოსტო. ახალ მოგზაურებს უნდა ეთანამგზავრნათ ამ ცურვაში, რადგან დოსტაქარი მონკკაუზი და ასტრონომი გრინი გზაში გარდაიცვალენ, ბენკსი კი სამუდამოდ დაავადყოფდა ციებით, რომელიც ზონდის კუნძულებიდან გამოჰყვა.

ახლა კუკს მიჰყვებოდა ორი ბუნებისმეტყველი—მამა და შვილი ფორესტიერები. ორი ასტრონომი—უელსი და ბეილი და—მხატვარი ვილიამ გოჯსი, რომელსაც უნდა დაეხატა გზაში

შეხვედრილი ქვეყნები და მცხოვრებლები. კუკი განსაკუთრებით დაუმეგობრდა უმცროს ფორესტიერს, ახალგაზრდა ნიჭიერ მეცნიერს.

1772 წლის 13 ივლისს „სითამამე“ და „გულადობა“ პლიმუტიდან გამოვიდნენ. 30 ოქტომბერს მათ მიადწიეს კეთილი იმედის კონცხს. აქ გამოემშვიდობნენ განათლებულ ქვეყანას. შემდეგ მათ მოელოდა ცურვა უცნობ, აღმოუჩინებელ სამხრეთის ზღვებში.

კონცხზე ფორესტიერ-შვილი შეხვდა შვედ ბოტანიკოსს, დოქტორ სპარმანს, რომელსაც სამხრეთაფრიკის მცენარეულობის შესწავლა სურდა. ფორესტიერმა წინადადება მისცა, რომ იგი კუკის ექსპედიციას შეერთებოდა და სპარმანმა დიდის სიამოვნებით განაცხადა თანხმობა. ამრიგად „სითამამეზე“ გაჩნდა ახალი მგზავრი, რომლის მეცნიერული ცოდნა ფრიად საჭირო იყო ამ ექსპედიციისათვის.

შეისყიდა რა მარაგი და დაასვენა მეზღვაურნი, კუკმა დასტოვა აფრიკა და გაეშურა პირდაპირ სამხრეთისკენ. ყოველ დღით ამინდი უფრო ცივი და ბურუსიანი ხდებოდა. დაიწყო ჯერ წვიმები, შემდეგ კა თოვლი. 10 ოქტომბერს სამხრეთის განივის 50°40' პირველად შეხვდნენ მცურავ ყინულებს. ამ ყინულების დიდი უმეტესობა განსაცვიფრებლად დიდი იყო. ერთხელ „სითამამე“ კინალამ დაეჯახა ბურუსში ყინულოვან მთას, რომელიც ოცდაათი საჯენი იყო სიმაღლით, ე. ი. ორჯერ უფრო მაღალი იყო შვიდსართულიან სახლზე. და ვინაიდან ცხრა მეთავედი ყოველგვარი მცურავი ყინულისა წყლის ქვეშაა, კუკმა ადვილად გამოიანგარიშა, რომ მისი ქვედანაწილი 270 საჯენის სიღრმეზე მდებარეობს. ამგვარ ყინულოვან დაჯახებას აუცილებლად გემის დაღუპვა მოჰყვებოდა. ქარი ისეთი სიმძლავრით უბერავდა, რომ ტალღები სიდიდით ამ ყინულოვან მთებს არ ჩამოუვარდებოდა. ეს სანახაობა თავზარს სცემდა მაყურებლებს. მიუხედავად ამისა, მეზღვაურები დაქიმული ყურადღებით აცქერდებოდნენ თოვლის გაუჩერებელ სვლას.

შიიწვედენ ერთი არხის მსგავსი აქაფებული შავი ადგილიდან მეორე ადგილზე და ყოველ წამს შიშობდენ, რომ შემდეგ წუთს ჩაიძირებოდენ, მაგრამ მაინც განაგრძობდენ სვლას სამხრეთით.

კუკს არ ეძინა. ტანისამოსს ვერ იცვლიდა, ვერ ასწრებდა ჭამას და პირის დაბანას. იგი მუშაობდა დღედაღამე დაუსვენებლივ. გარდა იმისა, რომ განუწყვეტლივ უნდა ეღვენებია თვალყური გემებისთვის, მას ეკისრებოდა აღმოჩენითა, წმინდა მეცნიერული მოვალეობა. ის მეცნიერები, რომელნიც მას ახლდენ, იყვნენ თეორეტიკოსები, კაბინეტის ხალხი, და ვერაფერს აკეთებდენ, თუ კაპიტანი თავისი პრაქტიკული მოსაზრებით არ დაეხმარებოდა მათ.

სხვათა შორის, კუკმა შეამჩნია, რომ ყველა ცინულოვანი მთა სამხრეთიდან ჩრდილოეთით მოცურავდა, მიუხედავად იმიისა, რომ ქარი ჩრდილოეთისა იყო. ამან ძალიან დააინტერესა იგი და მან გადასწყვიტა, რომ ისინი მიაქვს ზღვის რაღაც მძლავრ ნაკადს. ფორესტიერ — შვილმა და ასტრონომმა უელსმა იკისრეს გაეზომათ ნაკადის სვლის სიჩქარე.

მოიმარაგეს რა გამზომი ხელსაწყოები, ორივენი ჩასხდენ ნავში და გაშორდენ გემს. ტალოები აბურთავებდენ მათ ნავს, თოვლი უშლიდა მათ ხედვას, მაგრამ ისინი ვაჟკაცურად შეუდგენ თავის მუშაობას.

— სად არის „სითამამე“? — უეცრად იკითხა უელსმა, როცა თავი ასწია.

ფორესტიერმა გაიხედ-გამოიხედა. მართლაც, „სითამამე“ არსად იყო. სადაც კი არ მიაპყრობდა თვალებს, ყველგან ცინულები დაცურავდენ. ისინი გარს შემოერთყენ ნავს.

— „სითამამე“ აი იმ ცინულოვანი მთის უკან არის, — სთქვა ფორესტიერმა. — ამ ლოდმა დაჭყარა ჩვენგან გემი. მეტი რა გზაა, უნდა მოვუაროთ.

დააწვენ ნიჩბებს, აი, მოუარეს კიდევ ცინულს. მაგრამ მის უკან ოდნავი რხევით მოცურავს მეორე, ჯმგვარივე. სადღაა „სითამამე“? მათ მოუარეს მეორე ცინულსაც. შესაძებს,

შეოთხესაც. ვანა ძნელი იყო დაკარგვა ამ უსაზღვრო ერთფე-  
როვან ლაბირინტში? გემი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ისინი  
უსვამენ ნიჩბებს გაუჩერებლივ. მიუხედავად ცივი ქარისა, ისი-  
ნი ოფლში არიან გაღვარული. გადის საათები. ნიჩბები უვარ-  
დებათ ხელიდან, დაიწყა ბინდი. გათავდა! უელსი წვება ნავის  
ფსკერზე და თვალებს ხუჭავს. მარტო, უსაგზლოდ, აღმოუჩე-  
ნელ აზოზოქრებულ ოკეანეში, მათ მოვლის სიკვდილი, სიკ-  
ვდილი და სიკვდილი!

მაგრამ, აი, ბინდში, მოისმის შორეული, ოდნავ გასარ-  
ჩევი ზარის რეკა. ისინი წამოხტენ და დასტაცეს ხელი ნიჩ-  
ბებს. ყინულს მისდევს ყინული, რომელსაც ისინი გარს უვ-  
ლიან და ყვირიან მფრინავ თოვლსა და ქარში. უკვე აღარ  
ყოფნით ძალ-ღონე, რომ ნიჩბები მოუსვან წყალს, ყელიდან  
მოისმის ხრიალი და არა ყვირილი. მაგრამ, აი, მათ წინ აი-  
ტუზა შავი ბოლო „გულადობისა“.

კაპიტანმა ფიურნომ დააღვივინა დაღლილობისა და სი-  
ცივისაგან ცოცხალმკვდართ ეოლო და დაწვინა დასაძინებ-  
ლად.

14 დეკემბერს ყინულები შემჭადროვდენ გემების წინ.  
ვაყინული ლოდები აბორცვილ ყინულოვან მდელიოდ გადაიქ-  
ცენ და სამხრეთისაკენ მიმავალი გზა შეჭკრეს. ორი კვირის  
განმავლობაში კუკი ცდილობდა გარს მოეგლო მათთვის ხან  
აღმოსავლეთიდან, ხან დასავლეთიდან, მაგრამ ყოველი მისი  
ცდა ამაო იყო. ამ ჯებირში არ იყო არცერთი თხრილი, არც-  
ერთი არხი. თუკი არსებობდა სადმე სამხრეთ მატერიკი, მას-  
თან მისვლა ყოველად შეუძლებელი იყო.

კუკმა მოაბრუნა გემები ჩრდილოეთისაკენ და გასწია შო-  
რეულ ახალ ზელანდიაში. მოიმარაგებდა რა იქ სანოვაგეს,  
შესაძლებელი გახდებოდა ზამთარში ეწარმოებინა კვლევა-ძიება  
წყნარი ოკეანეს ტროპიკულ მხარეზე. ზაფხულზე კი მას უნ-  
დოდა ხელახლა დაბრუნებულიყო სამხრეთში და ეცადა გა-  
სვლა რაც შეიძლება უფრო ახლოს პოლიუსთან. ხომ საჭირო

იყო, ბოლოსა და ბოლოს, ან აღმოჩენა სამხრეთ მატერიკისა, ანდა იმის დამტკიცება, რომ ის არ არსებობს.

როდესაც ისინი გამოვიდნენ ყინულოვანი ზოლიდან, ახალი ფათერაკი დაატყდათ თავს: კუკმა დაჰკარგა „გულადობა“. ღამე ოკეანეში დაშორდნენ ერთიერთმანეთს გემები. ტყვილა-უბრალოდ სერავდა „სითამამე“ ტალღებს წინ და უკან, სულ ტყვილა-უბრალოდ ისროდა ერთ-ერთ ზარბაზანს. თუმც კუკი არც ისე ღელავდა: მან იცოდა, რომ კაპიტანი ფიურნო წავა ახალ ზელანდიაში და დაუცდის კუკის სრუტეში.

### თავი მათი

#### საშინელი ხმები

1773 წლის 25 მარტს მათ დაინახეს ახალი ზელანდიის ნაპირი. ეს იყო პირველი მიწა, რომელიც მათ შეხვდათ ას სამოცდაათი დღის ცურვის განმავლობაში, როდესაც მათ გაიარეს სამიათას შვიდასი მილი. „სითამამე“ ჩაძირა ლუზა მოხერხებულ ყურეში, სამხრეთის კუნძულის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში. კუკმა იგი აღმოაჩინა ჯერ კიდევ პირველი მოგზაურობის დროს და უწოდა მას შავ-ბნელი.

შავ-ბნელი ყურე არც ისეთი საშინელი აღმოჩნდა, როგორც მოჩანდა პირველ შეხედვისთანავე. მოქანცულ მგზავრებს იგი სამოთხედ ეჩვენათ. მოსძებნა რა სათანადო ადგილი ლუზისთვის, კუკმა მაშინვე დაჰყო მეზღვაურები მონადირეების, მეთევზეების და ბოტანიკოსების ჯგუფებად. მონადირეები გაეშურნენ ტყეში ფრინველთ დასახოცად, მეთევზეებმა გადაადგდეს ბადეები, ბოტანიკოსები კი გაიფანტნენ ორივე ფორესტიერის მეთაურობით ნაპირზე მცენარეების საპოვნელად, რომლებიც ივარგებდნენ საკვებად.

ველურები ნაპირზე ცოტა აღმოჩნდა და ალბათ ამიტომ ისინი თეთრკანიანებს კეთილგანწყობილად ეპყრობოდნენ. მათი ბელადი ჩამოვიდა თავისი ქალიშვილიანად გემზე და ნიშნად

პატივისცემისა აუცილებლად უნდოდა წაესვა კუკისთვის. თავზე რაღაც აყროლებული ყვითელი ქონი. კუკი დიდის ვაივაგლახით გადაჩჩა. ამ პატივისცემას, მაგრამ ჯიუტი ხელმწიფე არ ნებდებოდა, ჩააცივდა ოფიცრებს და ზუღკეთილმა შევდმა სპარმანმა, რომელიც ვერავის უარს ვერ ეტყოდა ხოლმე, გაუწოდა მას თავისი თავი. ბელადმა იუზვა და საერთო ხარხარის დროს თავიდან ფეხებამდე მოთხუზნა აყროლებული სისამაკლით. შემდეგ სპარმანი ყოველგვარად იბანდა ტანს, მაგრამ მასთან მისვლა ერთი კვირის განმავლობაში შაინც შეუძლებელი იყო.

თევზი აუარებელი დაიჭირეს. ყოველგვარი ბოსტნეული მოაგროვეს იმდენი, რომ რამოდენიმე კვირას ეყოფოდათ, მაგრამ ფრინველები ვერ იპოვეს და მონადირენი ხელცარიელი დაბრუნდნენ. ამ გაუვალ ტყეებში არამცთუ მხეცები, უბრალო ფრინველებიც კი არ მოიპოვებოდა, რომ ვარგებულებოდა საქმელად. მკვიდრი მცხოვრებნი ნახევრად შიმშილობდნენ, რადგან ნადირი და ფრინველი არ იყო, რომ შესძლებოდათ ნადირობა. ისინი ეწეოდნენ მეთევზეობას, მაგრამ მათი ბადეები იმდენად ცუდი იყო, რომ თევზებიც კი არ ჰყოფნიდათ. კუჭმა გადასწყვიტა გაეშენებინა ახალი ზელანდიის ტყეებში ფრინველები. მან აიყვანა ხუთი გარეული ბატი, კეთილი იმედის კონცხზე ნაყიდი, წაიყვანა ყველაზე დაბურული ტყის შუაგულს და იქ გაუშვა.

— დეე გამრავლდნენ, — ეუბნებოდა იგი ფორესტიერს, — ველურებს კი არ აწყენთ ბატის ხორცი. ისინი გაბოროტებული არიან მუდმივი უჭმელობის გამო.

18 მაისს „სითამამე“ მოიხსნა. ლუზიდან და გაეშურა კუკის სრუტისაკენ, სადაც, შეთანხმებისამებრ, მას უნდა შეხვედროდა „გულადობა“. მგზავრობა ახალი ზელანდიის ნაპირების გასწვრივ საკმაოდ მშვიდობიანი იყო და ერთი კვირის შემდეგ ისინი შეცურდნენ სრუტეში.

კაპიტანი ფიურნო ელოდებოდა მათ აქ უკვე ერთ თვეზე მეტს. მან მოახერხა დაეჭირა კარგი კავშირი მკვიდრ მცხოვრებლებთან და მათ ყოველდღე მოჰქონდათ გემზე რამოდენიმე კალათი თევზი, სამაგიეროდ კი ცულებსა და მძივებს იღებდენ.

— ეს საშინელი ხალხია, — უამბობდა კუკს კაპიტანი ფიურნო, — მათ არაფერი გაეგებათ კანონების, მეგობრობის და სამართლიანობის. კაცები სცემენ ქალებს და ქალები ბავშებს. მათი ბელადები, როგორც მგლის ჯოგის მეთაურები, განაგებენ მხოლოდ მანამდე, სანამ ყველაზე ღონიერნი არიან, მაგრამ ოდნავ დასუსტდებიან თუ არა, მათ ჰკლავენ. აქ მარტო ტომები კი არ ებრძვიან ერთმანეთს, არამედ სოფლები და ცალკე ოჯახებიც კი. ამასთან ერთად ყველა შიმშილობს — მეთაურებიც და უბრალო ხალხიც. გასაკვირიც არ არის — მიწათმოქმედება არ იციან და შინაური ცხოველებიდან მხოლოდ ძაღლები ჰყავთ. მე კიდევც მიაშვს, რომ... თუმც ამაზე ლაპარაკი არ ღირს, მე ამას არ დავიჯერებ...

— რა გაიშვს? — იკითხა კუკმა.

— ერთმა ველურმა მითხრა, ადამიანის ხორცსაც ვჭამთო.

— არა, არა, თქვენ, ალბათ, ვერ მიხვდით რა გითხრათ მან. არასოდეს არ დაიჯეროთ არაფერი კაცისჭამიების შესახებ, ეს სულ მოჩხმაულია, ზღაპრებია. მე ბევრი აქაური კუნძული მოვიარე, მაგრამ კაციჭამიები არსად არ მინახავს. ყველაზე უფრო ველურებმაც კი იციან, რომ არ შეიძლება ადამიანის ხორცის შეჭმა.

### თავი მეთერთმეტი.

#### გადაყენებული დედოფალი

ტაიტის ირგვლივ ბევრი პატარა კუნძული მდებარეობს. ყოველი მათგანი ზღვიდან მშვენიერ მოცურავე ახლად მოჩანს. ყოველი მათგანი ძალიან წააგავს ტაიტს — ყოველ მათგანზე

იმგვარივე მთები, იმგვარივე ტყეები და მდელოებია, იმგვარივე ვერცხლისფერი მდინარეებია, ხოლო უფრო პატარა, მინიატურული და უფრო ჩქარა მიმდინარე. ცხოვრობენ მასზე იგივე ტაიტელები. ეს კუნძულები ისე ახლო-ახლოა ერთიმეორესთან, რომ მკვიდრი მცხოვრებნი ადვილად გადაცურავენ ხოლმე ერთი კუნძულიდან მეორეზე თავისი მწირი ნავეებით.

ვიდრე კუკი მიაღებოდა ტაიტის, რამოდენიმე კუნძულს ესტუმრა. მცხოვრებლებს უკვე გაეგონათ თეთრკანიანების შესახებ და არ უკვირდათ მათი მოსვლა. ყოველგან მოგზაურობებს უცდიდა მშვენიერი, მეგობრული შეხვედრა. კუკი შეისყიდდა ხოლმე ხილს, ღორის ხორცს და გულუბვად ასაჩუქრებდა რკინითა და მძივებით.

ერთხელ „სითამამესთან“ მოცურდა ნავით ექვსი წლის ბიჭი და ისროლა ერდოზე დიდი ბანანი. ამ პატარა კომერსანტმა გააცინა კუკი და მან გადაუვლო მუჭით პატარა მძივები. საუბედუროდ, მან ააცდინა მიზანს და მძივები ნავში კი არა, პირდაპირ წყალში ჩავარდა. ბიჭუნიას ბევრი არ უფიქრია, გადმოხტა ნავიდან და ჩაიყურყუმალა. კუკი მას დაღუპულად სთვლიდა, როცა იგი გამოჩნდა ზედაპირზე და ხელში ორი მძივი ეჭირა. ჩააგდო რა იგი ნავში, მან ისევ ჩაიყურყუმალა და იყურყუმალა, სანამ არ მოაგროვა ზღვის ფსკერიდან ყველაფერი, რაც კი გადაუვდო მას კუკმა, სიღრმე კი ამ ადგილას რამდენიმე მეტრს აღემატებოდა.

ამ მაგალითმა უჩვენა თეთრებს, თუ რარივ განვითარებული იყო კუნძულის მცხოვრებთ შორის ცურვა. წყალში ისინი თავს ისევე თავისუფლად და არხენად ჰგრძნობდნენ, როგორც ხმელეთზე. შემდეგ წილად ხვდა დაენახა, თუ როგორ მიცურავდნენ ქალები ძუძუმწოვარა ბავშვებით ხელში რამოდენიმე ვერსის მანძილზე. ისინი დროგამოშვებით ჩერდებოდნენ აღელვებულ ტალღებს შორის და აწოვებდნენ ძუძუს თავის ბავშვებს. და ეს სეირნობა უვნებელი იყო, როგორც დიდებისთვის, ისე ბავშვებისათვის.



პატარა ხელმწიფეები და მფლობელები ამ კუნძულებისა თავის მოვალეობად სთვლიდნენ კუკთან კაიუტაში ყოფნას. მათ მოჰქონდათ კუკისათვის ღორები, და ის კი საჩუქრად აძლევდა ცულებს და ფართალს. მიუხედავად იმისა, რომ გემზე აუარებელი უცნაური და უნახავი საგანი იყო, მათ არაფერი უკვირდათ, რადგან ეწინოდნათ ამით თავისი თავი არ დაემცივებიათ. მხოლოდ ერთი მათგანი, უფრო ახალგაზრდა და ჰკუამახვილი, დაინტერესდა ჯიბის საათის წკარუნით და სთხოვა გადაეთარგმნათ მისთვის, თუ რას ამბობდა ეს იდუმალი სათამაშო. კუკმა აუხსნა, რომ საათი უჩვენებს დროს, და ხელმწიფემ დარჩვა მას „პატარა მზე“, ვინაიდან ველურები იგებენ დროს მხოლოდ მზის საშუალებით.

26 აგვისტოს გემები მიადგენ ტაიტს. თეთრებს შეხვდნენ, როგორც ძველ მეგობრებს. მათ ჰპატიჟობდნენ ყოველ ქოხში. ბევრი კითხულობდა ტუპიას შესახებ და როცა გაიგეს, რომ იგი გარდაიცვალა, ნაღვლიანად აქნევდნენ თავებს. მაგრამ შემდეგ იმ წამსვე ივიწყებდნენ—ტაიტელები ფუქსავატი ხალხია და არ იციან დიდხანს ნაღვლობა გარდაცვალებულის გულისათვის.

მგზავრებს უამბეს, რომ დედოფალი ობერეია გადაყენებულ იქნა ტახტიდან. ტუპიას გამგზავრების შემდეგ მან დაჰკარგა ყოველი გავლენა. ახლა ქვეყანას განაგებდა მეფე ო-ტუ.

კუკს უნდოდა დამეგობრება ახალ მფლობელთან და ეწვია მას ფორესტიერ — შვილის და რამოდენიმე ოფიცრის თანხლებით.

ო-ტუ იყო წარმოსადეგი, მაღალი ვაჟკაცი ოცდაათი წლასა. იგი არც ისე ღარიბად ცხოვრობდა, როგორც ობერეია—მას ყოველგან ახლდა დიდი ამაღა ჰრელად ჩაცმული და შემკობილი დიდებულების—კაცებისა და ქალების. ყოველ დიდებულ კაცსა და ქალს ჰყავდა საუკეთესო მსახურები, ასე რომ სულ მუდამ გარშემორტყმული იყო ბევრი კარისკაცი.

კუკმა დაიწყო იქიდან, რომ შეფესა და მის მახლობლებს უბოძა ძვირფასი საჩუქრები. ამალის ქალებმა იმ წამსვე გაჰგზავნეს თავისი მსახურები სახლში ქსოვილი ტილოს მოსატანად. ეს ტილოები შეღებილი იყო ვარდისფრად, წითლად და ყვითლად და მოპკურებული ჰქონდათ სურნელოვანი ზეთები. მსახურებმა ამით შემოსეს ოფიცრები, მუნდირებზე შემოახვიეს ეს ტილოები და ისინი ძლივსლა მოძრაობდნენ თავის ძვირფას მანტოებში.

ო-ტუმ ჰკითხა კუკს ბენკის ჯანსაღობის შესახებ, თუმცა არასოდეს არ უნახავს იგი. კუკმა მადლობა გადაუხადა და დაჰპატიჟა სადილად თავისთან, გემზე. ო-ტუ დაჰპირდა მოსულიყო მეორე დღეს.

მეორე დღეს ო-ტუ შორონინდა „სითამამესთან“ მთელი თავისი ამალით. ავიდა რა ერდოზე, მან ბრძანა შეემოსათ კუკი ძვირფასი ფარჩეულებით. ერთი წუთის შემდეგ კუკი გარდაიქცა უზარმაზარ აჭრელებულ ტომრად, რომლისაგანაც ამოჩრილი ჰქონდა მხოლოდ თავი. რის ვაი-ვაგლახით განთავისუფლდა თუ არა ამ ხლართისაგან, მან მიიპატიჟა სტუმრები კაიუტ — კომპანიაში.

მაგრამ შეფეს, ბუნებით მშიშარას, არაფრის გულისათვის არ უნდოდა ჩასვლა ტრაპით ქვევით. ძნელია თქმა, თუ რისი ეშინოდა მას. ალბათ ოთხ კედელს შუა იგი ისე ჰგრძნობდა თავს, როგორც მახეში გაბმული. რომ შეემოწმებინა, მოეღის თუ არა მას რაიმე საფრთხე, მან გაჰგზავნა წინ თავისი უმცროსი ძმა. და მხოლოდ მაშინ გაბედა ჩასვლა, როდესაც იგი უვნებელი დაბრუნდა უკან. ამ საქციელმა მონარქისა გაამხიარულა გემის მთელი შემადგენლობა.

სადილობის დროს ო-ტუ არაფერს მიძრთმევდა: მას ეშინოდა, რომ როგორმე არ მოეწამლათ. სამაგიეროდ სტუმრები სჭამდნენ განსაცვიფრებელი სისწრაფით ყოველივეს, რასაც კი მოუტანდნენ. ჩანგლები და კოვზები მათ აცინებდა. მათვერ გაეგოთ, რატომ უნდა ეჭამათ ჩანგლით, როდესაც ხელე-

ბით ქამა გაცილებით უფრო ჩქარა შეიძლებოდა და ხელსაყრელი იყო.

ერთ დიდებულს მოსამსახურეები აქმევდნენ. მას თავისი ხელები მაგიდის ქვეშ ელაგა.

— თქვენ ალბათ ხელები გტკივათ, არა? — თავაზიანად იკითხა კუკმა.

მაგრამ დიდებულმა შეძრწუნებით ასწია ორივე ხელი ჰაერში და ინგლისელებმა განცვიფრებისაგან პირები დაადეს: ფრჩხილები ორჯერ უფრო გრძელი ჰქონდა თითებზე.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ტაიტელი არ იჭრიდა ფრჩხილებს და დიდის სიფრთხილით უვლიდა მათ, რომ ყველას დაენახა, რომ იგი მდიდარია და რომ მას მუშაობა არ სჭირდება. ნორმალური სიდიდის ჰქონდა მარტო ნეკი მარცხენა ხელზე. ის არ იზრდიდა მასზე ფრჩხილს, რომ მოსაქავებლად დარჩენოდა: არ შეიძლება თხანა გრძელი ფრჩხილით ისე, რომ არ მოტყდეს იგი.

რამოდენიმე დღის შემდეგ ლეიტენანტი პიკერსჯილი, რომელიც მსახურობდა ჯერ კიდევ „გულდასმაზე“, წავიდა კუნძულის შუაგულისკენ, მთებისაკენ, სადაც თეთრებს მანამდე არ ჰქონდათ შემთხვევა ყოფილიყვნენ. მოიარა რა რამდენიმე საათის განმავლობაში მთის ბილიკები, დაეშვა პატარა მინდორზე და მივიდა საწყალ ტაიტურ ქოხთან იმ იმედით, რომ რაიმე საჭმელს იქ იპოვიდა. მასთან გამოვიდა ბებერი, სქელი ქალი და დაინახა თუ არა იგი, ხმამაღლა გადაიხარხარა. ამ ხარხარით მან იმ წამსვე იცნო ვინც იყო იგი — ეს იყო დედოფალი ობერეია.

იგი ცხოვრობდა ახლა მარტო და ძალიან ლარიბულად. მას ჰყავდა მხოლოდ ერთი ღორი, ეს კი ტაიტზე უკიდურეს სილარიბედ ითვლება. მაგრამ იგი, ეტყობოდა, არც ძალიან ნაღვლობდა თავისი მდგომარეობის შეცვლას და უმასპინძლდებოდა რა პიკერსჯილს ბანანებით, იმგვარივე წკრიალა ხმით იცინოდა, როგორც იმ დროს, როცა იგი დედოფლად იყო.

პიკერსჯილმა მოიპატოჟა იგი კუკის სანახავად.

— არ შემიძლია, — უპასუხა მან. — მე გადასახლებული ვარ. —  
ო-ტუ განრისხდება, თუკი ნაპირზე დამინახავს.

გამომშვიდობებისას ლეიტენანტმა აჩუქა მთელი შეკვრა მძი-  
ვებისა, რადგან იცოდა, რომ ეს მძივები ტაიტზე ძალიან ფა-  
სობდენ და გადაყენებულ დედოფალს მათი საშუალებით შეეძლო  
უზრუნველად ეცხოვრა მთელი თავისი სიცოცხლე.

წასვლისას კუკმა და კლარკმა წაიყვანეს თავისთან გემზე  
ორი ახალგაზრდა ტაიტელი — პორე და ომაია. მათ გადასწყვი-  
ტეს მიეყვანათ ისინი ინგლისში. პორე უნდა მჯდარიყო „სი-  
თამამეზე“, ომაია კი „გულადობაზე“.

გემებმა დასტოვეს ტაიტი 1 სექტემბერს. ზღას ნაპირი  
თვალს მიეფარა, პორე, რომელიც ასე ოცნებობდა ინგლისის  
ნახვას, ატირდა პატარა ბავშვით. სალამოს მათ დაინახეს პა-  
ტარა კუნძული ბალაბოლოუ, რომელიც მდებარეობდა რამო-  
დენიმე მილის დაშორებით ტაიტიდან.

— გადმომსვი ბალაბოლოუზე, — იმუდარებოდა პორე. — მე  
არ მინდა ინგლისში წასვლა, ბალაბოლოუდან რაგორმე მივალ-  
წევ ჩემ სამშობლოს.

კუკი არასოდეს არავის ძალას არ ატანდა და შეუსრულა  
ტაიტელს თხოვნა. გაიგო რა ამის შესახებ კაპიტანმა კლა-  
რკმა, ჰკითხა ომაიას, რომ იქნებ მასაც სურს შინ დაბრუ-  
ნება.

— არა, — უპასუხა ომაიამ. — მე ისეთი მშიშარა არა ვარ,  
როგორც პორე. გინდ ჯოჯოხეთში წამიყვანეთ.

და, მართლაც, ომაიამ ნახა ინგლისი.

ბალაბოლოუზე კუკთან მოვიდა ჩვიდმეტი წლის ბჭი, სა-  
ხელად ედიდეი, და სთხოვა, რომ იგი წაეყვანათ პორეს მაგრი-  
ერ. კუკი სიამოვნებით დასთანხმდა.

## თაზი მეთოკამბე

### მეგობრობის კუნძულები

კუკმა იცოდა, რომ სამხ. განივის 12<sup>0</sup> და დასავლეთის გრძილის 175<sup>0</sup> მდებარეობს რაღაც კუნძულები, რომელიც შორიდან დაინახა ტასმანმა თავისი შესანიშნავი მოგზაურობის დროს. კუკი პირდაპირ იქითკენ გაემართა.

პირველი ოქტომბერს, შუადღის ორ საათზე, მან დაინახა დაბალი ნაპირი და მიუახლოვდა თუ არა, გაარჩია, ორი ერთიმეორის გვერდით მდებარე კუნძული, რომელთაც ვიწრო სრუტე ჰყოფდა.

მცენარეულობა ამ კუნძულებისა წააგავდა ტაიტისას, იმგვარივე ძველი ხუჭუჭი ტყით იყო დაფარული მთელი მხარე, მაგრამ მათ აკლდათ ტაიტის მთავარი მორთულობა: — აქ მთები ჰაერში. არ იყო ატყორცნილი, ისინი კვერსავით ელაგენ.

გემები გაჩერდნენ სრუტეში. იმ წამსვე მათ გარს შემოერტყენ პიროგები. კუკმა ხელით ანიშნა, რომ ველურნი ამოსულიყვნენ გემზე, მაგრამ ისინი დიდხანს ვერ ბედავდნენ და საშინლად აღშფოთებულნი ყაყანობდნენ გემების ირგვლივ.

ამ ყაყანში კუკმა ყური მოჰკრა რამდენიმე სიტყვას, რომელიც წააგავდა ტაიტელების ენას, და სთხოვა ედიდის ეთქვა ველურებისათვის, რომ თეთრები არავითარ ზიანს არ მიაყენებდნენ, არამედ ჰპატიჟობდნენ მათ გემზე.

ედიდის ესამოენა, რომ ასეთი დიპლომატიური დავალების ღირსად სცნეს და წარმოსთქვა აჭრელებული სიტყვა. მან მთელი ნახევარი საათი ილაპარაკა, ეძებდა ლამაზ და ფერად შედარებებს; მაგრამ მკვიდრი მცხოვრებნი არ აქცევდნენ მას არავითარ ყურადღებას და მთელი მისი შრომა ფუჭად ჩატარდა.

შხოლოდ საღამოს, როდესაც ბინდი ჩამოწვა, ერდოზე ამოცოცდა აფერადებული ახმახი ველური. გაკვირვებულმა

კუკმა შენიშნა, რომ მას თან არავითარი იარაღი არა ჰქონდა. ამ ნდობამ და უშიშრობამ მოიგო კაპიტნის გული. ტაიტლებიც კი ვერ ჰბედავდნენ უიარაღოდ ამოსვლას გემზე.

ველურს ხელში ეჭირა ამ კუნძულზე ყველაზე უფრო გაურცელებული მცენარე—ის, რომლისაგანაც აკეთებენ კავას. მიუხალოვდა რა იგი კუკს, უსიტყვოდ გაართყა ამ მცენარის ფესვი ცხვირზე ისეთი სახით, თითქოს ძალიან საგულისხმეორო ადათს ასრულებდა. კუკი დაიბნა. ფორესტიერ—უმცროსს სიცილი წასკდა. როგორც გამოირკვა შემდეგ, ეს იყო მისაღმების ნიშანი: იმის მაგივრად, რომ ეთქვათ „გამარჯობა“, მკვიდრი მცხოვრებნი ამ კუნძულებისა ერთიმეორეს შეხვედრისთანავე სცემენ ცხვირზე ამგვარ ფესვებს.

მერე ველური ალაპარაკდა. კუკმა შენიშნა, რომ, საუბედუროდ, ისინი სრულებით არ ლაპარაკობდნენ ტაიტურად, არამედ რაღაც სხვა ენაზე. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა წააგავდა ტაიტურს. გასაკვირიც არ არის, რომ ედიდის სიტყვამ არავითარი შთაბეჭდილება არ დასტოვა მათზე.

მაგრამ მაინც მკვიდრ მცხოვრებთან ლაპარაკი უფრო ედიდის მოემარჯვებოდა, ვიდრე კუკს და ამიტომ ახალგაზრდა ტაიტელი მოიხმეს მოსალაპარაკებლად. დიდი წვალების შემდეგ მოხერხდა იმის გაგება, რომ უფრო მოზრდილ კუნძულს ეწოდება ტონგატაბუ და უფრო პატარას კი—ეუა, და რომ მცხოვრებნი ძალიან მოხარული არიან, რომ ზღვის გაღმიდან ეწვიენ სტუმრები.

ამ ველურის ქცევამ ყველას გული მოიგო, იგი განუწყვეტლივ იღიმებოდა, სიტყვას არ აწყვეტინებდა, როდესაც მას ელაპარაკებოდნენ და არასოდეს არ ცდილობდა რაიმე მოეპარა. კუკმა ჩამოაცვა მას ყელზე რამოდენიმე აცმა მძივებისა და მას ისე გაუხარდა, რომ დაიწყო ერდოზე ცეკვა. მაგრამ წასვლისას ჩამოიხსნა მძივები და დაუბრუნა კუკს იმ აზრით, რომ მას ალბათ დროებით ჰქონდა იგი ყელზე ჩამოკიდებული,

და როს აუხსნეს, რომ მას შეუძლია სამუდამოდ თან წაიღოს, სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა.

— ყველას აჩვენე ეგ მძივები, — უთხრა ედიდემ. — და უთხარი, რომ მოგვიტანონ ღორის ხორცი, თევზეულობა და ხილი. მაშინ ყოველი მათგანი მიიღებს ამგვარსავე მძივებს, როგორიც შენა გაქვს.

ღლით ნაპირზე ვაჭრობა გაჩაღდა. შეგროვდა ისეთი ბრბო, რომ შეუძლებელი ხდებოდა მათში გავლა. მკვიდრმა მცხოვრებლებმა განაცვიფრეს კუკი თავისი პატიოსნობით — და უნდა ითქვას კი, რომ წყნარი ოკეანის კუნძულებზე პატიოსნება იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ტონგატაბუს და ეუას მცხოვრებლებს გაცილებით უფრო მოსწონდათ მიცემა, ვიდრე აღება. ის მკვიდრი მცხოვრებნი, რომელნიც იდგენ უკანა რიგებში და სიმრავლის გამო არ ჰქონდათ საშუალება თეთრებთან მოახლოვებისა, ისროდენ თავის საქონელს თავისიანების თავებს ზევით პირდაპირ მეზღვაურთა ნაევებში, მიუხედავად იმისა, რომ ვერ იღებდენ გასამრჯელოს.

კუკი გაეშურა კუნძულის შუაგულს დასავლელი წყლის საძებრად. მას მისდევდა უზარმაზარი ბრბო. იგი ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა და ყველგან ხდებოდა მას სულ ახალი და ახალი ბრბო. საზოგადოდ აქ მეტი ბევრად ხალხი იყო. უცნაურად მოგეჩვენებოდათ, რომ ამდენ ხალხს შეუძლია იცხოვროს ასეთ, კაცმა რომ სთქვას, პატარა კუნძულებზე.

ისინი მიდიოდენ კარგად დატკეპნილი ვზით, რომლის გვერდებზე დარგული იყო ბანანები. ირგვლივ კი გადაშლილიყო ბაღები და ველები, გარდიგარდმო გადაღობილი ხის წნულებით. ტაიტზე კუკს არასოდეს არ უნახავს არაფერი ამგვარი. იქ მიწები რამდენიც გასურდა იმდენი მოიპოვებოდა, და არავინ არ ჰღობავდა თავის მიწის ნაწილს სხვისაგან, აქ კი სივიწროვეში ყველა ეტანებოდა მიწის პაწია ნაგლეჯსაც კი. ყველაფერი დახნული იყო, დარგული, დათესილი, ყოველ პალმას ჰყავდა განსაკუთრებული თავისი პატრონი, რომელიც


დილიდან საღამომდე უვლიდა მას. და მაინც კუკს არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ, მიუხედავად მცხოვრებთა ყოველნაირად მოვლისა, ხეები აქ უფრო დაბლები იყო, ვიდრე ტაიტზე, და ჭირნახულიც ნაკლები. ეს კუნძულები შესდგებოდენ მარჯნის მჭიდრო ბრაგისაგან, რომელსაც ზედ ეფარა თხელი ფენი შავი მიწისა. მათი წიადაგი ვერ შეედრებოდა ტაიტის მსუქან წიადაგს.

ბილიკებისა და გზის ჯვარედინებზე იდგენ დიდი ფარდულეები, რომლებსაც შემოწვნოდა გარს გარეული მცენარე, სუროს მსგავსი. კუკს ჯერ იგი ბედელი ეგონა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ეს ტაძრები იყო, რომელსაც მცხოვრებნი ა—ფია—ტუკას უწოდებენ. იქ იდგენ საზიზღარი ტლანქი კერპები, შავი ქვიდან გამოჩარხული. კუკს არ უნდოდა მათთვის ხელის ხლება, რომ არ შეებღალა რელიგიოზური გრძნობა კუნძულის მცხოვრებთა, მაგრამ მალე დაინახა, რომ ისინი არაფრად აგდებენ თავის ღმერთებს — ატრილებს მათ იქით—აქეთ, აწნავენ სახეში სილას და იატაკზედაც კი აგორებენ.

ყოველ ა—ფია—ტუკთან ცხოვრობდა მღვდელი. იგი ხვდებოდა კაპიტანს გრძელი სიტყვით. მოისმინა თუ არა რამოდენიმე ამგვარი სიტყვა სხვადასხვა მღვდელთაგან, კუკმა შეამჩნია, რომ ისინი სიტყვა—სიტყვით ერთსადაიმავეს ამბობენ. ზოგიერთებს კიდევაც სცდებოდათ, ავიწყდებოდათ, თუ რა უნდა ეთქვათ, და მაშინ ბრბო ერთხმად ახსენებდა ხოლმე მათ. სიტყვის გათავების შემდეგ მღვდლებს უყრიდენ ბანანების გროვას, რომლებსაც ისინი იქვე შეექცეოდენ.

კუკმა ვერ იპოვა კარგი წყალი. აქ არ იყო მთის გამჭვირვალე ნაკადები, რომლებიც ასე უხვად მოიპოვებოდა ტაიტზე და ახალ ზელანდიაში. მცხოვრებნი სვამდენ მღვრიე, მოძლაშო სითხეს ქუქყიანი გუბებიდან და ქებიდან. მაგრამ არც ეს წყალი ჰყოფნიდათ, და კუნძულის მცხოვრებნი, რადგან საკმაო წყალი არ ჰქონდათ, სვამდენ აგრეთვე კაეას, რო-





მამლების ბრძოლა.

მელსაც იმგვარადვე ამზადებდენ, როგორც ტაიტზე, და ძალიან ბევრსაც სვამდენ.

ძაღლები მათ არ ჰყავდათ, სამაგიეროდ ქათმები მოეპოვებოდათ, რომლებიც არ იცოდენ არც ტაიტელებმა და არც ახალზელანდიელებმა. მეზღვაურებმა იმ წამსვე იყიდეს რამდენიმე მამალი და აჩუბებდენ ერთმანეთს. ეს მამლების ბრძოლა სწარმოებდა ისეთი სიმძაფრით, რომ მამალი ამის შემდეგ ორ სამ დღეზე მეტს ვეღარ ცოცხლობდა. მეზღვაურები არაფერს იშურებდენ, ოღონდ ეშოვნათ მამლები. ისინი აძლევდენ კუნძულის მცხოვრებთ ღილებს მუნდირებიდან, ცხვირსახოცებს, ფეხსაცმლის თასმებს, ჯიბის დანებს.

— მიდი! მიდი! დაცხე მაგას! — დილიდან სალამომდე გაისმოდა ერდოზე.

ედიდგი და ომაი, რომელთაც არასოდეს არ ენახათ მამლაყინწები, პირველ ხანებში უნდოდ და შიშით ეპყრობოდენ მათ. მაგრამ შემდეგ მათაც გადაედო საერთო გატაცება, იყიდეს მშვენიერი ორი ფრინველი და ისე გაწრთვნეს, რომ მეზღვაურების ყველა მამალს ამ მამლებმა აჯობეს. ამის შემდეგ მეზღვაურები პატივისცემით ეპყრობოდენ ტაიტელებს და არწმუნებდენ მათ, რომ ისინი მშვენიერი ბიჭები არიან.

როგორღაც დილით კუკს აცნობეს, რომ ნაპირზე ელოდება მას მეფე ტონგატაბუსი და ეუასი. კუკმა იმ წამსვე მიაშურა ნაპირს და განცვიფრებისაგან გაშრა: ქვაზე იჯდა იმსისხო კაცი, რომ კუკმა თავის თვალებს არ დაუჯერა. მთელი მისი დაბალი სხეული ცახცახებდა, როგორც ჟელე. მისი უზარმაზარი მუცლის ქონი ჩამოკიდებულიყო მუხლებს შუა, თვალები არ უჩანდა, — აფუებულ ლოყებს დაემალა იგი. იგი იჯდა და ლექდა, ლექდა, ლექდა. ეს იყო ხელმწიფე.

კუკი დაელაპარაკა მას, მაგრამ მისგან ერთი სიტყვაც არ მიუღია საპასუხოდ. კუკმა თავიდან ფეხებამდე მორთო იგი ზეწრებით, ცულებით, მძივებით, მაგრამ იგი არც კი განძრეულა. მისი სახე არაფერს გამოხატავდა. ძალიან ეცადა

კუკი შიექცია თავის თავზე მისი ყურადღება, მას ესმოდა მხოლოდ ერთნაირი ხრამუნი და სხვა არაფერი.

კუკი იღვა, იღვა და წავიდა.

— უცნაური ხალხია, — ეუბნებოდა იგი ფორესტიერ — შვილს. — ნუთუ ვერ ნახეს უფრო ჭკვიანი ხელმწიფე?

მეორე დღეს კი მკვიდრმა მცხოვრებლებმა მოიყვანეს თამამეზე“ ორმოცდაათი ღორი.

ორმოცდაათი ღორი — სრულიად უჩვეულო სიმდიდრეა წყნარი ოკეანეს კუნძულების მცხოვრებთათვის.

— ნუთუ ეს გაუმაძლარი ყეყეჩი ისე მდიდარია, რომ შეუძლია ასეთი საჩუქრების მოცემა? — კვირობდა კუკი.

7 ოქტომბერს გემები გავიდნენ ზღვაში. შორს ანძებიდან მოჩანდნენ სხვა კუნძულები, რომელნიც იმავე არქიპელაგს ეკუთვნოდნენ, რომელსაც ტონგატაბუ. მაგრამ კუკი მიეჩქარებოდა ახალი ზელანდიისაკენ და ამიტომ არ შეიარა იქ. მან გადასწყვიტა მთელი არქიპელაგისთვის დაერქმია. „მეგობრობის კუნძულები“.

— ჩვენ არსად არ შეგვხდნენ ასე მეგობრულად, როგორც აქ, — ეუბნებოდა იგი თავის ოფიცრებს.

## თავი მესამე

### კაციკამიები

ახალი ზელანდიის ნაპირებთან ქარიშხალი ბობოქრობდა. ტალღები აღიოდნენ ანძებზე მაღლა და ეფრქვეოდნენ ვრდოზე. ქარი იმდენად ძლიერი იყო, რომ კაცებს ძირს ავდებდა. წვიმმა გაუჩერებლივ მოდიოდა. იძულებულნი შეიქნენ დაეშალათ იალქნები და მინდობოდნენ აბობოქრებულ ზღვას.

მხოლოდ მეხუთე დღეს, როდესაც მეზღვაურებს სულმთლად გამოეღლიათ ძალ-ღონე, დაწყნარდა ქარი, მოიწმინდა ცამ და მზემ ამოაშუქა.

ჰორიზონტის ნაპირას ლურჯად მოჩანდა სამხრეთ კუნძულის მთები. აზვირთებულ, აქაფებულ ზღვაზე ყვიროდნენ

ალბატროსები. კუკი გაუმადლრად გასჩერებოდა სიშორეს, მაგრამ „გულადობა“ არსად ჩანდა.

ღელვის დროს გემებმა დაჰკარგეს ერთმანეთი. სულ ტყუილა-უბრალოდ ისროდა ზარბაზნებიდან ყუმბარებს „სითამამე“, სულ ტყუილა-უბრალოდ შედიოდა ყოველ ყურეში — მისი თანამგზავრი უკვალოდ გადიკარგა. ამ მგზავრობის დროს ეს მეორედ იყო, რომ გემები ერთმანეთს შორდებოდნენ. კუკი ძალიან ღელავდა.

— ნუ ღელავთ, — მშვიდებდნენ მას ოფიცრები, — „გულადობა“ მშვენიერი გემია, მას არაფერი დაემართებოდა. კაპიტანი ფიურნო, ალბათ, დიდი ხანია გველოდება ჩვენ კუკის სრუტეში.

და მიუხედავად იმისა, რომ ზღვის ღელვის გამო საკმაოდ დაფლეთილი გემი დაუყოვნებლივ მოითხოვდა შეკეთებას, იგი მაინც გაეშურა კუკის სრუტისაკენ.

მაგრამ „გულადობა“ იქ არ დაუხვდათ. კუკი ელიდის მეოხებით, რომელიც მშვენიერი მთარგმნელი გამოდგა, ეკითხებოდა ველურებს, ხომ არ უნახავთ მათ რამოდენიმე დღის წინ „მეორე მცურავი კუნძული, თეთრი ფრთებით მოსილი“.

— არ გვინახავს, — ერთხმად უპასუხებდნენ ზელანდიელები და კუკს მარტო ერთი-ღა რჩებოდა — ცდა. მას ეჭვიც არ შედიოდა, რომ კაპიტანი ფიურნო მოცფიქრებს კუკის სრუტეში შემოსვლას, თუკი, რასაკვირველია, „გულადობას“ შენარჩუნებული ექნება წყალზე ცურვის უნარი.

მანამდე კი უნდა მომზადებულიყვნენ ძნელი ცურვისათვის პოლიარულ ზღვაში, სამხრეთ მატერიკის საპოვნელად. ზაფხული ახლოვდებოდა და კუკს აუცილებლად უნდოდა გამოეყენებინა იგი, რომ წასულიყო რაც შეიძლება უფრო სამხრეთით. მას არასოდეს არ ავიწყდებოდა, რომ სამხრეთ მატერიკის აღმოჩენა მისი მოგზაურობის მთავარი მიზანი იყო.

ახმაურდნენ ცულები, აჭყვლდნენ ხერხები. ღურგლები გემის ხელოსნები შეუდგნენ გემის შეკეთებას. მაგრამ მთავარო

ამოცანა იყო მოემარაგებინათ სანოვაგე, რადგან ხილბ, კუნ-  
ძულ ტონგატაბუზე რომ იყიდეს, უკვე შეჭამეს და ღელვამ  
კი გაანადგურა თითქმის მთელი მათი პურის მარაგი: ათას ფუ-  
თამდე გამხმარი პური დასველდა და წახდა.

ახლა კი ზელანდიელები ისე შეხვდნენ თეთრებს, როგორც  
ძველ მეგობრებს და მოიტანეს თევზების მთელი მთები. ნა-  
პირზე გაჩაღდა ვაჭრობა. დიდი ბადით დაჭერილ აუარებელ  
თევზს ერთ ცულში იძლეოდნენ. ერთი ლურსმნით შეიძლებო-  
და ორი სამი ფუთი თევზის ყიდვა. მთელი სრუტე გაყვებულ  
იყო ბადეებით, ყოველ განაპირა ქვაზე იჯდა ზელანდიელი  
ანკესით ხელში—ყოველივე ამას იჭერდნენ მოსული თეთრები-  
სათვის.

მაგრამ განვლო კვირამ და ძველი მარაგი თევზისა გამოი-  
ლია, ახლად დაჭერილი კი არ ყოფნიდათ. თეთრები ამაოდ  
დაეხეტებოდნენ ნაპირ-ნაპირ თავისი ძვირფასი ლურსმნებით.  
ისინი ძლივს-ძლივობით შოულობდნენ ხუთ-ექვს კალათ თევზს  
დღეში. ველურებიც დანაღვლიანდნენ: არც ისე ადვილი  
გახდა რკინის საგნების მოპოვება. ისინი შეეცადნენ თეთრები  
გაექურდათ, მაგრამ როდესაც რამოდენიმე ქურდი მაგრად  
მისტყეპეს ღვედებით ერთი ლეიტენანტის ბრძანებით, ასეთი სა-  
შუალება გამდიდრებისა, უნდა ცხადად მიმხდარიყვნენ, უვარ-  
გისი იყო.

მაშინ მათ გამონახეს ახალი ღონისძიება. ერთ მშვენიერ  
დილას გამოირკვა, რომ განაპირა სოფლებიდან გაქრა ყველა  
მამაკაცი, ვისაც კი იარაღის ტარების უნარი შესწევდა. კუკის  
შეკითხვაზე დარჩენილმა ქალებმა და ბავშებმა სთქვეს:

— ისინი ომში წავიდნენ.

— ოი, ჯანდაბა მაგათ—დაიყვირა კუკმა.—ვინღა გა-  
დაავდებს ახლა ბადეებს? მე ჯერ არც კი დამიმაროლებია  
მთელი თევზის ნახევარიც კი, რომელიც მე მჭირდება იმისა-  
თვის, რომ გზას გაფუღვე. ჩვენ ხომ შესაძლოა რამოდენიმე

თვეც ვერა ვნახოთ ვერავითარი მიწა. ნუთუ არ შეეძლოთ გადაედოთ თავისი ომი ჩემ წასვლამდე?

სამი დღის განმავლობაში მეომრებისაგან არაფერი ისმოდა. მაგრამ მეოთხე დღეს ისინი შემოცურდნენ სრუტეში ორმოცდაათ პიროვანზე. მათ გაიმარჯვეს. მათი ცულებიდან და შუბებიდან ჯერ კიდევ სწვეთავდა სისხლი, ჯერ კიდევ მოჩანდა გაშავებული ქრილობები. ბელადებს ეჭირათ ჯოხები, რომლებზეც ჩამოცმული იყო დამარცხებულთა გულები, მათი პიროგები დატენილი იყო თევზით—გაძარცული თევზით, იმით, რის გულისათვისაც მათ დაიწყეს ომი.

ნაპირზე ისევ ახმაურდა ბაზარი. კუკი, იმის შიშით, რომ მისთვის არ შემოეპარებინათ ლვარგისი თევზი, თვით ესწრებოდა ყოველთვის ყიდვის დროს.

ამავ დროს კი „სითამამეზე“ ახალი რამ აღმოჩენილიყო, რომელიც ადასტურებდა, რომ ახალ ზელანდიელებს ზოგიერთი ადათი და ჩვეულება ფრიად ცუდი ჰქონდათ. აი როგორ მოხდა ეს.

მამა და შვილი ფორესტიერი და რამდენიმე უმცროსი ოფიცერი ისხდნენ ერდოზე და მშვიდად ბაასობდნენ ედიდესთან. უცებ მოახლოვდა ნავი და ერდოზე ამოვიდა მეზღვაური ორი ბებერი. მკვიდრი მცხოვრების თანხლებით. ხელში რაღაც შეხვეული ეკავა.

— შეხეთ, რა ვიყიდე ამ ნაჟებატონებისაგან, — უთხრა მან ფორესტიერებს. და უწო ღიმილით დაუმატა: — იაფად ვიყიდე, სულ სამ ლურსმნად.

მან ზიზღნარევი გრძნობით გახსნა შენახვევი და უჩვენა მეცნიერებს კაცის მოჭრილი თავი, მაგრამ ეს კაცის უბრალო თავი კი არ იყო, ის მოხარშული იყო.

სანამ ფორესტიერები გონს მოვიდნენ განცვიფრებისაგან, ერთმა ზელანდიელთაგანმა გასწია ხელი, მოჰგლიჯა თავიდან ხორცის ნაჭერი და გაუმძღვრად გადაყლაპა.

ფორესტიერ—მამას გული წაუვიდა. ბევრ თეთრს წააღებინა ამის ნახვავზე. ვერავის ვერ ამოეღო ხმა. მეზღვაურები გაეცალენ ზელანდიელებს, როგორც კეთროვნებს, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა საზიზღარმა სანახაობამ ედიდეზე. გულკეთილი ტაიტელი ჯერ გაშეშდა თავზარდაცემული, მერე ცრემლები დაბალუბით გადმოსცვივდა.

— საზიზღრები! საზიზღრები! — ქვითინით ყვიროდა იგი. — მე კი ვუმეგობრდებოდრი მათ! არ გაბედოთ, ჩემთან მოსვლა!

რამდენიმე წუთის შემდეგ გემზე დაბრუნდა კუკი. დაინახა თუ არა თავისი ამხანაგების ამრეზილი და არეული სახეები, მან მოინდომა ამბის გაგება. ფორესტიერ — შევიღმა უამბო, რაც მოხდა.

— არა მჯერა, — სთქვა კუკმა და ისე გაფითრდა, რომ სახე მთლად ნაკრისფერი გაუხდა.

— თვით დარწმუნდით, — სთქვა ფორესტიერმა, მივიდა, მკვდარ თავს მოაჭრა ჯიბის დანით ლოყის ნაწილი და გაუწოდა ველურს. მან სიამოვნებით შექაშა იგი, გაკვირვებით დააშტერდა თეთრებს და ვერ მიმხვდარიყო, თუ რათ არიან ისინი განცვიფრებულნი.

კუკი წატორტმანდა და კინალამ დაეცა.

— გაეთრიე! გაეთრიე! — დაიღრიალა უჩვეულო ხმით. მას უნდოდა კიდევ რალაცის თქმა, მაგრამ ღებინება მოაწვა ყელს და არ დაანება სიტყვის წარმოთქმა.

მეზღვაურებმა გააგდეს განცვიფრებული. კაციჭამიები გემიდან, კუკი კი ჩაეშვა თავის საკანში და არ გამოსულა იქიდან მთელი დღის განმავლობაში.

მსახურმა, რომელსაც მოჰქონდა მასთან სადილი, გაიგონა, თუ როგორ ელაპარაკებოდა თავის თავს კაპიტანი.

— ეს შიმშილისაგან არის, შიმშილისაგან, — ბურტყუნებდა იგი. — მხოლოდ შიმშილს შეუძლია აიძულოს კაცი შესჭამოს ადამიანი. მათ ხომ არც თხები, არც ღორები, არც ძროხები, არც პური, არც ხეხილი არა აქვთ — მარტო თევზი და გარეული ბალახ-ბუღლახი.

დილით ადრე მან მოიხმო ხუთი მეზღვაური, მისცა ნიჩბები და ბარები და გაგზავნა ნაპირზე, უბრძანა გადაეთხარათ მიწა ბოსტნისთვის, მერე წავიდა მზარეულთან, წაართვა მას ორი უკანასკნელი ტომარა ინგლისიდან წამოღებული კართოფილისა.

— აი, რით შევებრძოლები კაციჭამიობას, — ამბობდა იგი, როცა სთესდა კართოფილს მიწაში. — ზარბაზნებით კი არა, და ტუქსვით კი არა, კართოფილით. როს ისწავლიან კართოფილის თესვას, ისინი თავს დაანებებენ კაციჭამიობას და გარდიქცევიან ჩვეულებრივ მშვიდობიან გლეხკაცებად. ბატონო ლეიტენანტო, თავი მოუყარეთ მათ ბელადებს, მე მინდა მივცე მათ პირველი გაკვეთილი მიწათმოქმედებისა.

ნოემბერი უკვე იწურებოდა და გაზაფხულის შუაგული იყო (ნოემბერი სამხრეთ ნახევარსფეროში ჩვენს აპრილს უდრის). ტყე უფრო გაუვალი გახდა, უფრო მჭიდრო, ბალახი ადამიანის სიმაღლე იყო, „გულადობა“ კი არსად ჩანდა.

კუკი სასოწარკვეთილებას მიეცა. მეტი არ შეიძლებოდა არც ერთი დღის გაცდენა. ოდნავი დაგვიანება — და ამ ზაფხულს იგი ვეღარ გადასწყვეტდა საკითხს სამხრეთ მატერიკის შესახებ და მაშინ ხელცარიელი უნდა დაბრუნებულიყო ევროპაში.

თუმცა ნანობდა კუკი ახალი ზელანდიის მიტოვებას ისე, რომ არ გაეგო, თუ რა დაემართათ კაპიტან ფიურნოს და მის ხელქვეითებს, მაგრამ მაინც ბრძანა დაეჭიმათ იალქნები და მოხსნილიყვნენ ლუზიდან

ყოველი შემთხვევისათვის კუკმა ჩაფლა განაპირა ხის ქვეშ ბოთლი წერილით კაპიტანი ფიურნოსათვის. „სითამამემ“ ორჯერ გაიარა მთელი სრუტე ყველა ზარბაზნის სროლით და ბოლოს, 26 ნოემბერს, გავიდა ოკეანეში. კუკმა პირდაპირ ჩრდილოეთით მიმართა გემი.



### თავი მეთოთხმეტი.

#### „გულადობა“ ახალზელანდიის ნაპირებთან.

რა დაემართა „გულადობას“? რატომ კაპიტანი ფიურნო არ მოვიდა დანიშნულ დროს დანიშნულ ადგილს — კუკის სრუტეში, სადაც იგი უნდა შეჰხვედროდა თავის უფროსს? რატომ გაანება თავი ექსპედიციას ნახევარ გზაზე და მიანდო მართა „სითამამეს“ სვლა პოლიარული წრისაკენ, უნახავი საზღვრეთ მატერიკის აღმოჩენისათვის.

მაგრამ, დღე, კაპიტანმა ფიურნომ თვით გვიამბოს ამის შესახებ.

აი მოხსენებიანი წერილი, მირამეული მის მიერ ბრიტანეთის სამირბაროში 1775 წელს.

„1773 წლის პირველ ნოემბერს, — სწერდა იგი, — ძლიერმა ღელვამ, წვიმამ და ბურუსმა გაგვიტაცა შორს, აღმოსავლეთით. ჩვენ ჩავწვეით ღრეიფში და მალე დავკარგეთ „სითამამეცა“ და ნაპირიც. ოთხი-ღღელდამე გვეფლეთდა აბობოქრებული ზღვა. იალქნები ყოველ წუთს იხეოდენ, ერდოს გასდიოდა, და მეზღვაურები, რომლებიც ცხოვრობდენ განუწყვეტელ სინესტეში, გაცივდენ, ახველებდენ და თავი ტკიოდათ.

მე ვიცოდი, რომ „სითამამე“ კუკის სრუტეში გვიცდიდა, მაგრამ, როცა ღელვა დაწყნარდა, ჩვენი გემი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი გამოსავალი გვქონდა: დაუყოვნებლივ უნდა წავსულიყავით ახალი ზელანდიის უახლოესი ნაპირისკენ.

ცხრა ნოემბერს ჩვენ ჩავძირეთ ღუზა რომელიდაც ყურეში. ახალზელანდიური პიროგები გარს შემოგვესია ტყეთ ყოველი მხრით. ველურებს კეთილგანწყობილად ეკავათ თავი და გვთავაზობდენ სხვადასხვა საქონელს. მაგრამ ჩვენ გვაშინებდა მათი საომარი შესახედაობა, მათი გრძელი შუბები და უმთავრესად ქალის მოჭრილი თმაგაშლილი თავები, რომლებიც ამშვენებდენ მათი პიროგების ცხვირებს. მე გადავწყვიტე მომეძარაგე-

ბინა წყალი, მეწარმოებინა ყველაზე აუცილებელი რემონტი და რაც შეიძლება მალე შევერთებოდი „სითამამეს“, კუკის სრუტეში, ნაცნობ ადგილებში.

მაგრამ, საუბედუროდ, იმედები გამიცრუვდა. გემსართვილობის რემონტმა შეგვაჩერა უფრო დიდი ხნით, ვიდრე ჩვენ გვეგონა, და ბოლოს ჩვენ მხოლოდ თორმეტს მოკვეცა საშუალება მოვხსნილიყავით ღუზიდან.

მოწინააღმდეგე ქარი ჰქროდა. ჩვენ იძულებული გახდით გვევლო მოკლე-მოკლე გალსებით. დღეები მისდევდნ დღეებს და ჩვენ თითქმის არ ვიძროდით ადგილიდან მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შევძელით შესვულიყავით სრუტეში და ა ჩაგვეძირა ღუზა.

„სითამამემ“, რასაკვირველია, ჩვენ აღარ დაგვიცადა. გადმოვედით რა ნაპირზე, მე დავინახე ხე, რომლის ქერქზე ამოქრილი იყო წარწერა: „გათხარე მიწა“. მე დაუყოვნებლივ ვუბრძანე ამოეთხარათ წარწერის ქვეშ ორჯო და რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩემი მეზღვაურების ბარები მოხვდა დაბეჭდილ ბოთლს, რომელშიც აღმოჩნდა კაპიტან კუკის წერილი.

ამ წერილში კაპიტანი კუკი მაცნობებდა, რომ მიცადეს სამი კვირა და გაეშურენ სამხრეთ მატერიკის საძებრად. იგი მიწვევდა მას გამოეყოლოდით, მაგრამ ჩვენ ამაზე ფიქრიც კი არ შეგვეძლო. საჭირო იყო ნახევრად მინგრეული გემის შეკეთება, საწვავი მასალის მომარაგება და დაქანცული, ავადმყოფი მეზღვაურების დასვენება.

მარტოდ და უსუსურად ვკრძნობდით თავს ამ ველურ ტყის მხარეში, რომელიც ქვეყნის განაპირას მდებარეობდა. მკვიდრი მცხოვრებნი თითქოს დაიხოცნ — ერთ კაცს მაინც შევხვდროდით. კუკის სრუტის ნაპირზე ამასწინათ იყო სოფლები მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, ახლა კი ირგვლივ მყუდროება და სიცარიელე იყო. მხოლოდ ტყიდან დროგამოშვებით მოისმოდა რაღაც უცნაური ფაჩუნნი და ხმები, თითქოს უხილავი მტრები გვითვალთვალებდნ მისი ჯურღმული-

დან და არჩევდენ დროს, რომ თავს დაგვესხმოდენ და დავეხოცეთ. ჩვენც ვცდილობდით რაც შეიძლება იშვიათად ჩამოვსულიყავით ნაპირზე.

მაგრამ დრო მიდიოდა, არაფერი არ მომხდარა, და ჩვენი შიშიც გაქრა თანდათან. ჩვენ შევეჩვიეთ განაპირა კლდეების ველურ შეხედულებას, და როს ტყეში გაისმოდა ხოლმე ხმები, ჩვენ ვამბობდით, რომ ეს ჩატები ხმაურობდენ. ბოლოს გემი შევაკეთეთ და საჭირო იყო გამგზავრებისათვის მომზადება. გამომშვიდობებისას მე მინდოდა მომეგროვებია ხილი და მწვანეულობა, რომ გზაში რითმე გაეტკბო პირი გემის შემადგენლობას, რომელსაც შესძულდა დამარილებული ხორცი და ზღვის გამხმარი პური.

და, აი, უბედურ დღეს, 17 დეკემბერს, მე ვავგზავნე ნავით სრუტის შუაგულს პატარა გუნდი და ვუბრძანე, რომ ეცურნათ ნაპირის გასწვრივ, მოეგროვებიათ ყველა მცენარე, რომლებიც საკვებად გამოსადეგი მოეჩვენებოდათ. ყველა მობარული იყო, ასეთი გასეირნება სასიამოვნო იყო. ნავში იმ წამსვე ჩაჯდა ათი მეზღვაური. გუნდის მეთაურებად დავნიშნე ორი ბოცმანი (უნტეროფიცერი ზღვის ჯარისა), რომლებიც აგრეთვე ძალიან ნასიამოვნები იყვნენ. ერთ მათგანს ერქვა ფელიქს რაუ, მეორეს — ტომას გილი.

— სალამოს დაბრუნდით, ხვალ ჩვენ მოვიხსნებით ლუზიდანს, -- ვუთხარი მათ გამომშვიდობებისას. -- და ფრთხილათ იყავით. ძალიან შორს ნუ შეხვალთ ტყეში, განსაკუთრებით თქვენ, გილ. თქვენ ყოველთვის ყველაფერი გიტაცებთ ხოლმე. ეცადეთ თქვენი ძებნა არ დაგვჭირდეს.

— ჩემი მოძებნა ძნელი არ არის, — სიცილით მიპასუხა გილმა. — მე ნიშანდადებული ვარ.

და სახელურის წაკაპიწებით გვიჩვენა თავისი ხელი, რომელზედაც ეწერა „ტ. გ.“ — პირველი ასოები მისი სახელისა და გვარისა.

სალამოს ისინი აღარ დაბრუნდენ. მე ძალიან ავლელვდი და ვინანე, რომ გავუშვი ასე შორს გემიდან. დილით კი გავვზავნე საძებრად შეიარაღებული ნავი ათი ჯარისკაცით ზღვის ქვეითი ჯარის ლეიტენანტი ბერნის მეთაურობით.

ამ ნავს უნდა მოევლო მოგრძო კუნძული, შესულიყო აღმოსავლეთის ყურეში და იქიდან წასულიყო მცენარეთა ყურისაკენ. ეს ყურე განთქმული იყო იმით, რომ მის ხშირი ტყით დაფარულ ნაპირებზე უგემრიელესი ნიახური იზრდებოდა. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი დაკარგული მეგობრები წინა ღამით მცენარეთა ყურეს ეწვიენ.

აღმოსავლეთით ყურეში ვერავინ ვერა ნახეს. ლეიტენანტმა ბრძანა გზის განგრძობა. შუადღის ორ საათზე ჯარისკაცებმა ახალზელანდიური დიდი სოფელი დაინახეს. ველურები გამოაცვივდნენ ნაპირზე და ხელების ქნევით ეხვეწებოდნენ, რომ ნავი მოშორებოდა მათ. მაგრამ ლეიტენანტმა გადმოსხა ხუთი ჯარისკაცი და მათი თანხლებით, მომარჯვებული თოფებით მოიარა ყველა ქოხი. ვერაფერი საეჭვო ვერ აღმოაჩინეს. მართო იმან გააკვირვა ლეიტენანტი, რომ ამ სოფელში სულ არ იყვნენ ახალგაზრდა, ჯანსაღი ვაჟკაცები. ყოველ ქოხში მათ ხვდებოდნენ მარტო ქალები, მოხუცებულნი და ბავშვები.

სამ საათზე გაეშურენ, უფრო შორს. აი, ბოლოს მიაღწიეს მცენარეთა ყურესაც. ნაპირთან დგას გრძელი პიროგა. მას უდარაჯებს ორი აჭრელებული მეომარი. დაინახეს თუ არა ნავი, ისინი თავპირის მტვრევით გაიქცენ ტყისაკენ.

— მივადგეთ? — იკითხა მესაქემ.

— მივადგეთ, — სთქვა ლეიტენანტმა და ერთი წუთის შემდეგ ნავის ცხვირი შეიჭრა განაპირა ქვიშაში.

— შეხეთ, ფეხსაცმელები! — უცებ დაიყვირა ჯარისკაცმა, რომელიც პირველი გადმოხტა ნაპირზე.

— სადაა ფეხსაცმელები? რომელი ფეხსაცმელები?

ჯარისკაცი დაიღუნა და აიღო მიწიდან ორი ფეხსაცმელი მეზღვაურისა.

— მე ვიცი, ვისია ეს ფეხსაცმელები, — მოლუშვით სთქვა მეორე ჯარისკაცმა. — ეს ფეხსაცმელები მეზღვაურ უდგაუზისაა. მარტო მას შეუძლია ასე ირიბად მოცვეთა ფეხსაცმელებისა.

— ეძებეთ, ეძებეთ! — დაიღრიალა ლეიტენანტმა. — ჩვენ კარგად უნდა დავათვალიეროთ მთელი ეს ნაპირი.

და მაშინვე თვითონ იპოვნა რაღაც. მალალ ბალახში იდგა ოცი დიდი დაწნული კალათი, ხორციით ავსებული.

— დამარილებული ხორცია! — დაიყვირა ერთმა ჯარისკაცმა.

— არა, ხორცი ახალია, — შენიშნა მეორემ.

— ძაღლის ხორცია, ამ წყეულ მხარეში არ არის არც ხარი, არც ღორი და არც ცხვარი.

და გაჰკრა ჩექმის წვერი კალათს. კალათი გადაბრუნდა და ხორცის ხროვა გამოგორდა ასისხლიანებულ ბალახზე. ამ წვრილად დაჭრილი ხორცის ზევით იდგა მოჭრილი კაცის ხელი. მის მოლუნულ იდაყვთან ნათლად მოჩანდა ორი დიდი იისფერი ასო: „ტ. გ.“

— უკან, ნავისაკენ! — ბრძანა ლეიტენანტმა და გუნდი მოლუშული გაეშურა ნაპირისაკენ.

მალალ ტიტველ ბორცვზე, რომელიც მთელ მიდამოს თავს დაჰყურებდა, იდგენ ახალზელანდიელი მეომრები და ემუქრებოდნენ შუბებით მალალ ბალახებს შორის ნელა მიმავალ ინგლისელებს.

— ნება გვიბოძეთ გადავუხადოთ ამ ძაღლებს, სერ! — მიმართეს ლეიტენანტს ყვირილით ჯარისკაცებმა. და სანამ იგი მოასწრებდა პასუხს, იგრიალა თოჯმა, მერე მეორემ, მესამემ. ტიტველი ბორცი მკვდრებითაივსო.

ლეიტენანტმა ბერნმა, რომელიც დაბრუნდა თავისი გუნდით მხოლოდ ლამის თერთმეტ საათზე, მიამბო ყოველივე ეს. მე უარი განვაცხადე გამხეცებული კაციჭამიებისათვის უსარგებლოდ სამაგიეროს გადახდაზე და გადავწყვიტე — რაც შეი-

ძღვება მალე დამეტოვებია ეს საშინელი მხარე. მეორე დღეს ჩვენ მოვიხსენით ლუჩიდან“.

ასე თავდება მოხსენებითი წერილი კაპიტანი ფიურნოსი.

ნახევარი წლის შემდეგ „გულადობამ“ მოფლეთილი იალქნებით, მომტვრეული ვემსართვილობით, შიმშილისა და სურავანდისაგან ცოცხალმკვდარი შემადგენლობით მრალწია ჰოლანდიელთ ნავსადგურს კაპშტადტს კეთილი იმედის კონცხზე.

### თავი მეთხუთმეტი.

#### ისევ ყინულებს შორის

— ჩვენ ახლა გავდივართ ლონდონის ხიდის შუა თაღის ქვეშ, — სთქვა კუკმა.


— რაა? — იკითხა ფორესტიერ-უმცროსმა.

— ჩვენს ქვეშ მღვრიე წყალია ტემზისა, რომელშიაც ანარეკლია სანაპიროსა და სახლებისა.

ფორესტიერს ააცახცახა. ხუმრობა ხომ არ არის, მიჰქრიან სამხრეთ პოლიუსისაკენ უცნობიზღვევით გემზე, რომელსაც მეთაურობს შეშლილი კაპიტანი! მარტოსულითავადმყოფს შეუძლია სამხრეთის ყინულოვან ოკეანეში წარმოდგენა, რომ იგი მიცურავს ტემზით და გადის ლონდონის ხიდის შუა თაღქვეშ.

— და მიუხედავად ამისა, არასდროს არ ყოფილა ლონდონი ასე შორს ჩვენგან, როგორც ახლა, — ამბობდა კუკი. — იგი მდებარეობს მეორე მხარეს დედამიწის ზედაპირისა, სწორედ ჩვენს ქვეშ.

ფორესტიერმა გადინახარა. აი, თურმე რა ყოფილა! კაპიტანი კუკი მართალია. „სითამამე“ იქნებ მართლაც იმყოფება ლონდონის ხიდ ქვეშ. ჰაგრამ ლონდონი ძვეს მიწის დიამეტრის ერთ ბოლოში და „სითამამე“ კი მეორეში. თუ ლონდონში დაიწყებდენ მიწის თხრას და გამობურღავდენ მას, მი-



ველურები იჭერენ თევზს.

წისმთხრელნი უსათუოდ ამოძვრებოდენ უფსკრულიდან სწორედ გემ „სიზამამის“ ქვეშ.

მათ მიაღწიეს უკვე გაცილებით უფრო შორს სამხრეთით, ვიდრე წარსულ ზაფხულს და ჯერ კიდევ არ შეხვედრიათ ყინულები. ამინდი ცივი და ღრუბლიანი იდგა, მაგრამ ზღვა წყნარი იყო. ზვირთების სიგრძის მეოხებით და იმით, რომ ფრინველები არსად ჩანდნენ, კუკმა იცოდა, რომ არ შეხვედება არც მატერიკი და არც კუნძულები. მაგრამ იმედი სამხრეთ პოლიუსამდე მიღწევისა იზიდავდა მას სულ წინ და წინ. აი, მათ გადაჭრეს სამხრეთის პოლიარული წრე, მზემაც შესწყვიტა ჩასვლა—დღე-და-ღამ ტრიალებს ცაზე,—ისინი კი ჯერ კიდევ მიჰქრიან უფრო შორს, სამხრეთისაკენ.

მაგრამ 1774 წლის 30 იანვარს შემჩნეულ იქნა, რომ ღრუბლები ცის კიდურზე უცნაურად ელავენ, ეს კი ყოველთვის ყინულების მოახლოვების მომასწავებელი იყო. ნახევარი საათის შემდეგ ანძებიდან შემჩნეულ იყო უზარმაზარი ბორცვიანი ყინულოვანი მინდორი, რომელიც უღობავდა მათ გზას.

დაჰბერა ცივმა ქარმა, წამოვიდა წვიმანარევი თოვლი. დასველებული გემსართავები გადაიფარენ ყინულის ქერქით, ქანდარიდან ჩამოკიდულიყვნენ. ყინულის გიგანტური ლოლუები. კაიუტებში ისე ციოდა, რომ ტანგაუხდელად ეძინათ. მუშაობა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა და გემის შემადგენლობა ცუდ გუნებაზე დადგა.

ელიდეი, რომელსაც არასოდეს არ ენახა არც ყინული და არც თოვლი, შეძრწუნებული იყო. მან ჯერ ყინულოვანი მინდორი მიწად ჩასთვალა და განცვიფრებული იყო მისი სითეთრითა და ბრჭყვიალით. მაგრამ როცა უჩვენეს, რომ ყინულს დნობა შეუძლია და წყლად გარდაქცევა, მის გაკვირვებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ჩამოვარდნილ თოვლს იგი ცას კენჭებს უძახოდა. აგროვებდა მას და აწყობდა განსაკუთრებულ ყუთში, რადგან უნდოდა თან წაეღო ეს საოცარი ნივთიერე-



ბა ტაიტზე, რომ ეჩვენებია თავისი მეგობრებისათვის. მას ძალიან ეწყინა, როცა უთხრეს, რომ ამისი შესრულება შეუძლებელი იყო.

შუალამის მზეს იგი კრძალვით და ჟრჟოლით შესცქეროდა. ყოველლამ ელოდა იგი სიბნელის ჩამოწოლას და დაინახავდა თუ არა, რომ მზე ისევ ცაზე რჩებოდა, შეშინებული მირბოდა თავის სენაკში.

ეს ახალგაზრდა, გონებამახვილი ველური ამხიარულებდა გემზე მყოფთ. რომელთაც მოსწყინდათ ერთფეროვანი, გრძელი გზა. მან მოაგროვა ახალზელანდიაში სხვადასხვა წკეპლები და ახლა კონად შეჰკრა, ამასთანავე ერთად ყოველი წკეპლა ატარებდა სახელს რომელიმე ქვეყნისა, რომელსაც მგზავრობის დროს ისინი ეწვეოდნენ ხოლმე. ჰქონდა მას წკეპლა ტონგატაბუ, წკეპლა ზელანდია და „ვსენუა ტიტას“ წკეპლაც კი, რაც ტაიტურად „თეთრ მიწას“ ნიშნავს.

— ეს წკეპლები შემეშველებიან, რომ არ დამავიწყდეს ის ქვეყნები, საცა მე ვიყავი, — უხსნიდა ედიდეი მეზღვაურებს. — თორემ ისე ხომ ყველას ვერ დაიმახსოვნებ.

თუმცა, დაინახავდა თუ არა რაიმე ახალ საკვირველებას, იგი კი არ ჭარობდა, უფრო ნაღვლიანდებოდა.

— რა განაღვლიანებს, ედიდეი? — ჰკითხავდნენ ხოლმე მას. — შენ ხომ თითქმის ნახევარი დედამიწა მოიარე. შენ დასაკვები ყოველთვის გექნება სამშობლოში

— არავინ მე იქ არ დამიჯერებს, — წყენით უპასუხებდა ხოლმე ედიდეი.

## თავი მეთექვსმეტი.

### დაღუპული ქვეყანა

11 მარტს მათ დაინახეს ყვითელი მთები აღდგომის კუნძულისა. ისინი ბაზალტი ტიტველი ციცაბო ფერდობებით აღიმართებოდენ წყლიდან და ამის გამო კუნძული მიუვალ კოშკს ჰგავდა. რა კუშტი, უჟმური მხარეა! და არსად არცერთი ხე—მხოლოდ ნაცრისფერი ბუჩქები და მაგარი, ხმელი ბალახი.

მაგრამ არცერთმა მიწამ არ გაახარა მეზღვაურები ისე ძლიერ, როგორც ოკეანედან ამოჩრილმა ამ უზარმაზარმა ქვამ. სამთვენახევარი დაძრწოდენ ისინი პოლიარულ ზღვებში. ცუდი წყლისა და დაძველებული საქმელებისაგან გემზე მყოფთა ნახევარს სურავენდი დაემართა. თვით კუკი გაცივდა, მოიქანცა და ისე ოცნებობდა გაეტარებია რამოდენიმე საათი ნაპირზე, როგორც მიუწვდენელ სამოთხეზე. გასაკვირვიც არ არის, რომ ეს უნაყოფო კუნძული სამოთხედ მოეჩვენათ.

და როცა კონცხიდან გამოცურდა მწირი ნავი, რომელშიაც მეთევზე — კუნძულელი იჯდა და გაფაციცებით უტკერდა გემს, ედიდემ ველარ მოითმინა, გადახტა წყალში და გაცურდა მის შესახვედრად. იგი აცოცდა ნავზე, გადაეხვია შიშისაგან დაბნეულ და გაკვირვებულ მეთევზეს, უცებ მიაჩეჩა ხელში ორი ლურსმანი და თვითონ მიუჯდა ნიჩბებს. ერთი წუთის შემდეგ მან ამოიყვანა ერდოზე მეთევზე და ბედნიერი სიცილით წარუდგინა იგი კუკს.

მას გარს შემოეხვიენ. კუნძულელი შესახედაობით ტატიელს წაგავდა და ამის გამო ამედი. ჰქონდათ, რომ მასთან დალაპარაკება შესაძლებელი იყო.

— ჰკითხე, ედიდე, აქვთ თუ არა მათ ბანანი?—ყვიროდენ ოფიცრები.

— დასაღვევი წყალი თუ აქვთ აქ კარგი?

— ბევრი ღორი ჰყავთ?

— უთხარი მას, რომ კარგად დავასაჩუქრებთ.

— ჩვენ ყველაფერს მივცემთ, რასაც კი მოითხოვენ.

მაგრამ საწყალ მეთევზეს შიშისაგან სიტყვა ვერ ეთქვა, და იძულებული გახდნენ იგი უშედგოდ გაეშვათ. ვადაწყვიტეს—დაუყოვნებლივ ჩასულიყვენ ნაპირზე.

აღდგომის კუნძულზე სულ ცხოვრობდა ექვსას-შვიდასი კაცი. ეს იყო ღარიბი, ველური, მშვიერი ტომი. მათ არ ებადათ არა თუ ღორები, ძაღლებიც კი, რომელთაც ახალზელანდიელებთანაც კი შეხვდებოდით. იკვებებოდნენ ისინი თევზითა და ვირთაგვებით, რაც ბლომად იყო მათ კუნძულზე და იმ იშვიათ ადგილებზე, სადაც მოიპოვებდა ცოტაოდენი შავი მიწა, კართოფილი მოჰყავდათ. დასალევი წყალი ცოტა ჰქონდათ და მის მაგივრად გარეული შაქრის ლერწმის გულისამრევ ტკბილ წვეს სვამდნენ.

მათი ენა თითქმის არ განსხვავდებოდა ტაიტელთა ენისაგან, ასე რომ ადვილად მოლაპარაკდნენ. მაგრამ მათგან ვერაფერს იყიდდა კაცი. კუკმა შეიძინა რამოდენიმე ტომარა კართოფილი, რამოდენიმე კალათი ცოცხალი თევზი, საშუალება მისცა მეზღვაურებს ეხეტიალათ ნაპირზე და გადასწყვიტა, რაც შეიძლება მალე მოშორებოდა აქაურობას.

ზღვაოსნებმა ნაღვლიანად ჩაქინდრეს თავები.

სამაგიეროდ მეცნიერებს ჰქონდათ სასიხარულო: მათ ძალიან ბევრი რამ გაიგეს, რის გულისთვისაც ღირდა იმ ტანჯვის ატანა, რაც მათ ხვდა წილად. ისინი დაინტერესა უზარმაზარმა მთელი ქვის ქანდაკებებმა: ამგვარი ქანდაკებანი მთელ კუნძულზე იყო. მათი სიმაღლე 2½ ფუტს უდრიდა. იდგნენ ისინი ქვისგანვე გამოკვეთილ გიგანტურ ბაქანებზე.

ფორესტიერ—შვილი ეკითხებოდა მკვიდრ მცხოვრებთ, თუ საიდანა აქვთ მათ ეს ქანდაკებანი, ვინ გააკეთა ისინი, ანდა რას ნიშნავენ. მაგრამ მცხოვრებთ არ შეეძლოთ ამაზე პასუხის გაცემა და ცრუმორწმუნე შიშით შეჰყურებდნენ გიგანტურ ქვის ლოდებს.

ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს ბოძები კაცის თავებით არ იყო შექმნილი უსუსურ ველურთა მიერ, რომლებიც ახლა ბინადრობდნენ აღდგომის კუნძულზე. ერთი რომ ველურები აქ ძალიან ცოტანი იყვნენ — მათ არ შესწევდათ ძალღონე, რომ ასეთი ლოდები გადაებრუნებიათ და მეორეც — ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასეთი რთული სამუშაო გაკეთებულიყო ქვისა და ნიჟარის უბრალო, საცოდავი ცულებით.

უნდა ვიფიქროთ, რომ აღდგომის კუნძულზე ოდესღაც ბინადრობდა მრავალრიცხოვანი, ძლიერი, კულტუროსანი ხალხი, რომელმაც კარგად იცოდა ქვების ჩარხვა. მაგრამ ეს უფრო დაუჯერებელი ხდებოდა: ძალზე პატარა იყო აღდგომის კუნძული, ძალიან დაშორებული იყო სხვა ნაპირებს და, რაც უმთავრესია, ძალიან უნაყოფო იყო.

და ფორესტიერს მოუვიდა თავისი სითამამით განსაცვიფრებელი აზრი: იქნებ რამოდენიმე ასეული წლის წინათ აღდგომის კუნძული არ იყო ასეთი, როგორც ახლა? იქნებ იგი გაცილებით დიდი და ჭირნახულიანი იყო? იქნებ ეს შეადგენდა მხოლოდ პაწია ნაგლეჯს რომელიღაც მატერიკისა, მიწისძვრის გამო ოკეანეს ფსკერზე რომ ჩაეშვა? რამდენია აქ ბაზალტი და გაციებული წიაღვარი! ეს ყოველივე კი იმას მოგვიანბრობს, რომ აქ ოდესღაც ვულკანი მოქმედებდა. ამ მატერიკზე შესაძლებელია იყო ქალაქები, ტაძრები, გზები, ჯეჯილი, საძოვრები და რამდენიმე მილიონი მდიდარი, განათლებული, მეცნიერებისა და ხელოვნების მკოდნე ხალხი, ახლანდელი მცხოვრებნი კი — ეს, ალბათ, გაღარიბებული, გავლურებული ნაშთია. იმ დიადი ხალხისა, ესენი შეერივნენ ახლობელი კუნძულების მკვიდრ მცხოვრებლებს, გადაიდეს მათი ენა და დაივიწყეს თავისი საამაყო შთამომავლობა... და მარტო ქანდაკებებს, ყოფილ დროების მოწმეებს, ახსოვთ თავისი დიადი წარსული...

ფორესტიერმა უამბო ყოველივე ეს კუკს.

— ჩვენ არაფერი ვიცით, — სთქვა კუკმა. — მაგრამ საჭიროა მუშაობა და თავის დროზე აღმოჩნდება ისეთი საიდუმლოებანი, რომლებიც თქვენ ჩაძირულ ქვეყანაზე უფრო მშვენიერი გამოადგება.

და დაუმატა:

— თუკი, რასაკვირველია, თვით ჩვენი ქვეყანა უფრო ადრე არ გადაყირავდება, არ დაიღუბება. ჰეი, ასწიეთ ლუხები!

### თავი მჩვიდმეტე.

#### ტაიტელების სამხედრო ფლოტი.

21 აპრილს „სითამამე“ ტაიტს მიადგა. ედიდეი ატირდა სიხარულისაგან. კუკს შეხვდენ, როგორც ძველ მეგობარს. მეფე ოტუმ გადაჰკოცნა იგი. გემზე მყოფებმა, დამშეულებმა, დაუყოვნებლივ მოიმარაგეს ყოველივე, რაც აუცილებელი იყო. ჭირნახულის მოკრეფის დრო იყო, და კუკს არასოდეს არ უნახავს ჯერ ტაიტი ასე უხვი და აყვავებული. მეზღვაურები ისვენებდენ და მშვენივრად ცხოვრობდენ. ისენი შეეჩვიენ ამ კუნძულზე დასვენებას, კარგ ჭამა-სმას და მეგობრულ შეხვედრას და უყვარდათ იგი, როგორც თავისი სამშობლო.

ტაიტელებს აღეღვებდა საგულისხმიერო პოლიტიკური შემთხვევა. მცხოვრებნი კუნძულ ეომეოსი (ათი მილის მანძილის დაშორებით მდებარეობს ტაიტიდან) აჯანყდენ და არ სცნობდენ მეფე ოტუს ხელისუფლებას. ტაიტელები ამზადებდენ დამსჯელ ექსპედიციას ურჩთა წინააღმდეგ. ნაპირ-ნაპირ დაეხეტებოდენ შეიარაღებული ბრბოები, შორეული სოფლებიდან ჩამოსულები, ღამეობით ანთებდენ კოცონებს და თავის საომარ ჟინს კავითა და ცეკვით ახელებდენ.

ყოველივე მზად იყო სალაშქროდ, უცდიდენ მარტო ფლოტის მოსვლას, რომელიც ტაიტის მეორე ნაპირას დაცურავდა. კუკს იმდენი რამ უამბეს ამ ფლოტის სილამაზეზე და სიძლიერეზე, რომ მოუთმენლად ელოდა მის მოსვლას.

ბოლოს დადგა ეს საზეიმო ღღე. კუკი იდგა ნაპირზე ო-ტუსა და ფორესტიერთან ერთად, როცა კალიათა ღრუბელსავეთ ყურეში შემოფრინდენ ტაიტელთა პიროგები. აი, როგორ აღწერს კუკი ამას თავის გემის ჟურნალში.

„ფლოტი 160 სამხედრო და 150 სანოვაგის მისაწოდებელი ხომალდისაგან შესდგებოდა. სამხედრო ხომალდები 40 და 50 ფუტის სიგრძისა იყო. წინა ნაწილზე მოწყობილი იყო ბაქანები, სადაც იდგნენ შეიარაღებული მეომრები. მენიხბეები ისხდნენ მათ ქვევით, ბოძებს შუა, რომლებზედაც მიმაგრებული იყო ბაქანი; თითო ბოძზე თითო მენიხბე მოდიოდა. ამრიგად ეს ბაქანები მართო საომრად იყო გამოსადეგი. სანოვაგის მისაწოდებელი ხომალდები გაცილებით პატარები და უბაქანოა. დიდ ხომალდებზე იჯდა ორმოც-ორმოცი კაცი, პატარებზე კი რვა-რვა. მე გამოვიანგარიშე, რომ ერთად ტაიტის მთელ ფლოტზე 7700 კაცია, მაგრამ ოფიცრების აზრით უფრო მეტი უნდა იყოს.

„ყველა ხომალდი მორთული იყო მრავალფეროვანი ბარაღებით და მშვენიერ შესახედაობას წარმოადგენდნენ, რის ნახვასაც ჩვენ სრულიად არ მოველოდით ამ ზღვებში. წინ მოდიოდა ადმირალის გემი, შემდგარი ორი ერთად გადაპმული დიდი სამხედრო ხომალდისაგან; მასზე მოცურავდა ფლოტის მეთაური ადმირალი ტოვგა—სქელი, ხნიერი კაცი, ლამაზი ვაჟკაცური სახით.

— გაუმარჯოს ო-ტუს! — ყვიროდნენ ზღვით მომავალნი და გადმოხტებოდნენ ხოლმე ნაპირზე პირდაპირ თავისი მეფის წინ.

— გაუმარჯოს ტოვგას! — ყვიროდა ხმელეთის ჯარი მათკენ მიმავალი ადმირალის შეხვედრის დროს.

ჩაცმულობა ჯარისა ძვირფასი და მრავალფეროვანია. ის შესდგება ფართლის სამი ნაჭერისგან: ქვედა — თეთრი, შუა — წითელი, ზედა — წაბლისფერი. თავზე ეხურათ მალალი მუზარადები, წკნელებისაგან დაწნული და მორთული ცისფერი, მწვა-

ნე და თეთრი ბუმბულით და ნათელთევზას კბილებით. ტოვ-  
გა მუზარადის მაგივრად ჩაღმას ატარებდა, რომელიც მას ძა-  
ლიან უხდებოდა. მიესალმა რა ო-ტუს, იგი მოვიდა ჩემთან  
და ხელი გადამხვია“.

კუკი არ იყო წინააღმდეგი დასწრებოდა ტაიტელთა და  
ღიმეოელების ომს, მაგრამ, საუბედუროდ, მას უნდა ეჩქარა,  
ვინაიდან უნდოდა წასვლა უნახავ კუნძულზე ესპირიტუ სან-  
ტო, რომელიც აღნიშნული იყო რუკაზე ერთი ესპანელი მე-  
ზღვაურის მიერ. გამომშვიდობებისას მან დაჰპატიჟა ტოვგა  
თავის გემზე. ტოვგას თავი ეჭირა ნამდვილ ზღვაოსანსავით.  
ყველაზე უფრო დაინტერესდა გემის მოწყობილობით. იგი  
აძლევედა შეკითხვებს ყოველი იალქნის, ყოველი თოკის და  
ნიშნულების შესახებ, უცბად ხვდებოდა. ყველაფერს და ისეთ  
რთულ და აზრიან კითხვებს აძლედა, რომ კუკს აკვირებდა  
მისი ჭკუა და მიხვედრილობა. ტოვგა აღტაცებაში მოჰყავდა  
თეთრების მიერ გაკეთებულ ნივთებს.

— ჩვენ რომ გვექონოდა პატარა იალქნიანი გემი მა-  
ინც, — ამბობდა ის, — ჩვენ უძლეველი ვიქნებოდით ზღვებში,  
ვერავინ გვაჯობებდა.

და კუკს აზრად მოუვიდა ეჩუქებია ტაიტელებისათვის პა-  
ტარა, იალქნიანი ჭვილითი თავისი საკანით და ერდოთი,  
რომელიც დაშლილი ელაგა „სითამამის“ გემძირედში. „ჩვენ  
დიდად დავალებული ვართ ამ ხალხისაგან, — ფიქრობდა კუ-  
კი, — სირცხვილია ისე წასვლა, რომ არაფერი არ დავუტოვოთ  
საჩუქრად“.

როცა ჭვილითი წყალში ჩაუშვეს, ტოვგა აღტაცებაში  
მოვიდა. მაგრამ როცა უთხრეს, რომ ჭვილითი ამიერიდან ტაი-  
ტელთა ფლოტს ეკუთვნოდა, ის კინალამ ატირდა ბედნიერე-  
ბისაგან. მან გასცურა მასზე მთელი ნაპირის გასწვრივ! ხალხი  
აღტაცებული ყვიროდა; ტოვგა მშვენიერად მართავდა საჭეს  
და იალქნებს. რამოდენიმე ოცნიჩბიანმა პიროვამ სცადა შე-  
ჯიბრება მასთან, მაგრამ ძალიან ჩქარა ჩამორჩა.

ორი საათის შემდეგ ო-ტუ და ტოვგა მოვიდნენ „სითამამეზე“ ოფიციალურად მადლობის გადახდისათვის. რა არ მოიტანეს მათ თან! რანაირი ღორები, რანაირი კოკოსები, რანაირი ბანანები! მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, კუკმა ბრძანა ყოველივე ეს უკანვე დაებრუნებიათ, რადგან ყველა საკუქნაო „სითამამეზე“ უკვე გატენილი იყო. ამას სრულიადაც არ დაურღვევია ზეიმი. კარგი სადილის შემდეგ წარმოთქმულ იქნა რამოდენიმე სიტყვა. ო-ტუ ლაპარაკობდა ტაიტელების სიყვარულის შესახებ კუკისადმი და ტიროდა. ტოვგა ლაპარაკობდა ტაიტელების კუკისადმი სიყვარულის შესახებ და ტიროდა. კუკი ლაპარაკობდა თავისი სიყვარულის შესახებ ტაიტელებისადმი და ცხვირს იხოცავდა (ფორესტიერი ირწმუნებოდა შემდეგ, რომ კუკიც სტიროდა, მაგრამ კუკი მზად იყო დაეფიცა, რომ იგი მხოლოდ ცხვირს იხოცავდა).

ელდეი ყველაზე გამოჩენილი კაცი გახდა ტაიტზე. იგი დადიოდა ქობიდან ქობში და, გადაარჩევდა რა თავის წკნელებს, უამბობდა ყველა ქვეყანაზე, რომლებშიაც მას წილად ზედა ყოფილიყო. მაგრამ მას არ უჯერებდნენ. ერთხელ გემზე მოვიდა რამოდენიმე ტაიტელი; გამოიხმეს კუკი და სთხოვეს ელდეი ტყუილში დაეჭირა; ელდეი ამტკიცებდა, რომ მან ნახა თეთრი ქვები, რომლებსაც წყლად გადაქცევა შეეძლო. და კუკს ბევრი ლაპარაკი დასჭირდა დაერწმუნებია ისინი, რომ ელდეი მართალი იყო.

სწორედ გამგზავრების წინ ელდეიმ განაცხადა, რომ იგი ინგლისში არ წავიდოდა.

— რატომ? — ჰკითხა მას კუკმა.

— მე დავქორწილდი, — უპასუხა ელდეიმ.

— მე შემძლია შენი ცოლიც წამოვიყვანო.

— არა, მე უკვე სახლი ავიშენე აქ.

კუკმა აჩუქა რამდენიმე ცული, მთელი ყუთი მძივებისა, გადაჰკოცნა და გაისტუმრა ნაპირზე.



## თავი მეთვრამეტე

ახალი ჰიბრიდები და ახალი კალედონია.

ათვალიერებდა რა კუკი ესპანიის ძველ რუკებს, ერთ მათგანზე გამონახა ესპერიტუ სანტოს კუნძული, რომელიც ახალი ზელანდიიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. მაგრამ არც ამ კუნძულისა და არც ოკეანეს იმ ნაწილის შესახებ, რომელიც მას გა-ს ერტყა, არავითარი ცნობა არ არსებობდა. კუკმა გადასწყვიტა, რომ სანამ დაბრუნდებოდა სამშობლოში, უეჭველად უნდა გაეგო ამ კუნძულის ამბავი და სათანადო ქარის მეოხებით იგი გაეშურა იქითკენ.

15 ივლისს მის წინ გადიშალა დიდი მთიანი კუნძულების მთელი რიგი. ძნელი იყო გარდაწყვეტა, თუ რომელი მათგანი ნახა ესპანელმა ზღვაოსანმა. რომ არ ეწყენინებინა თავისი წინამორბედისთვის, კუკმა ესპერიტუ-სანტოს სახელი მიაკუთნა ყველაზე დიდ კუნძულს, მთელ არქიპელაგს კი — ახალი ჰიბრიდები უწოდა.

პირველ კუნძულს, რომელსაც ისინი მიაღწენ, მალიკოლა ერქვა. ეს იყო მთაგორიანი, ტყიანი მხარე, სიგრძით ასი კილომეტრი. მათი მცხოვრებნი სრულიად არ წააგავდნენ არც ტაიტელებს და არც ახალზელანდიელებს — მათ ჰქონდათ ხუჭუჭი თმა და შავი, როგორც ზანგებს, კანი. მთელი მათი ტანსაცმელი შესდგებოდა ქაჩისაგან, რომელზედაც წინა მხარეს ჩამოკიდებული ჰქონდათ ჩაღის კონა. იმათ თეთრებს შუბები სეტყვასავით დაუშინეს და მხოლოდ ზარბაზნების სროლამ აიძულა ისინი დაცალათ ნაპირი.

ტყეები მალიკოლაზე სრულიად გაუვლელია: ხეებს ღონანები ეხვეოდა, ტყეში გავლა მხოლოდ ცულის საშუალებით თუ მოხერხდებოდა. კუკს უნდოდა კუნძულის შუაგულს წასვლა, მაგრამ ერთი საათის განმავლობაში მან მხოლოდ მთ საყენზე წაიწია წინ. სამაგიეროდ მკვიდრი მცხოვრებნი ამ ტყეებში ისე გრძნობდნენ თავს, როგორც თევზი წყალში. მათ

თითქოს უფრო ეადვილებოდათ ხეებზე ცოცვა, ვიდრე მიწაზე სიარული. მხოლოდ შუბებისა და კოცონების გამო არ სთვლიდა კუკი მათ მიიმუნებად.

ფორესტაერ—უმცროსმა აკრიფა ნაპირზე რამდენიმე გადმოგდებული შუბი და განცვიფრებით აღნიშნა, რომ მათ წვერებზე რაღაც წებოვანი სითხე ჰქონდათ წასმული.

— ეს საწამლაია, — უთხრა მან კუკს. — აქაური მცხოვრებნი ახალზელანდიელებზე უფრო საშიში არიან — კუნძულის შუაგულს წასვლა სიგიჟეა, ნაპირზე კი საქმე არ გვაქვს. ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა გავცილდეთ აქაურობას.

„სითამამე“ დიდხანა მიდიოდა სამხრეთით, უხვევდა კუნძულებს შორის. ყველა ისინი ჰგავდენ მალიკოლას. ყველგან ნაპირებზე დაეხეტებოდნენ ტიტველი ხალხის ბრბოები, რომლებიც ველური ღმუილით ისროდნენ წყალში შუბებსა და ქვებს.

მაგრამ 6 აგვისტოს ისინი მოულოდნელად მიადგნენ კუნძულს, რომელიც თავისი შესახედაობით გაცილებით განსხვავდებოდა დანარჩენთაგან. მის შუაგულს აღმართულიყო დიდი კონუსისმაგვარი მთა, რომლის მწვერვალიდან სქელი, შავი ბოლო ამოდიოდა. მიახლოვებისას კუკმა შეამჩნია, რომ აღგილ-აღგილ ტყე გამოჩენილი იყო და მის ალაგას იზრდებოდა ბანანის ხეები, რომლებიც სწორ რიგებად დაეთესათ. ამის გამო იმედი მიეცათ, რომ აქაური მცხოვრებნი უფრო კულტუროსნები იყვნენ, ვიდრე მეზობელ კუნძულთა მცხოვრებლები და საშუალებას მისცემდნენ ექსპედიციას წყალი მოემარაგებია და სანოვავე ეყიდა.

ჰაერში დამწვრის სუნი იდგა. ბოლი, რომელიც მთიდან ამოდიოდა, ილეკებოდა და „სითამამის“ იალქნები მთლად გაიმურა ქვარტლისაგან. გემზე ყველაფერი ქვარტლით დაიფარა. ახლად გარეცხილი საცვლები რამდენიმე საათის შემდეგ ისევ გასარეცხი იყო.

ღამე მეზღვაურები არაჩვეულებრივი სანახაობის მოწმენი იყვნენ—ბოლი, ქვევიდან კრატერით განათებული, აღისფერი

იყო და უზარმაზარ სისხლოვან ენად გაშხლართულიყო ვარსკვლავიან ცაზე.

დილას მათ ჩაძირეს ღუზა, მაშინვე გარს შემოგრტყენ მათ ველურთა პიროგები. შესახედამობით ველურები იმგვარის ვენი იყვნენ, როგორც მეზობელ კუნძულებზე, მაგრამ თეთრებს ისე მტრულად არ ხვდებოდნენ, როგორც იქ. ისინი აგდებდნენ იარაღს მაწაზე, აქნევდნენ პალმის შტოებს და ევატიყებოდნენ ახლადმოსულთ ნაპირზე.

კუკმა სცადა ტაიტურ ენაზე დალაპარაკება მათთან, მაგრამ ამაოდ. მათ ენას საერთო არაფერი ჰქონდა ტაიტელთა ენასთან. ნიშნებსაც ისინი ცუდად ხვდებოდნენ—მათი მიუხევედრელობა ხანდახან პირდაპირ ანცვიფრებდა მოგზაურებს.

ამ კუნძულს ტანა ერქვა. აქაური მცხოვრებნი ყველაზე უფრო კულტურული იყვნენ ჰიბრიდის კუნძულების სხვა მცხოვრებლებთან შედარებით, მაგრამ მაინც რამდენად უმწეო და რეგვენნი იყვნენ, ვიდრე ტაიტელები! მათი მიწათმოქმედება ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა და მხოლოდ ახლა იწყებდა განვითარებას. მათ სჭირდებოდათ ნიადაგის გაწმენდა ტყის მცენარეულობისაგან, მაგრამ მათი ქვის ცულები ჯერ კიდევ იმდენად პრიმიტიული იყო, რომ ერთ კაცს შეეძლო დღეში მხოლოდ ორი-სამი ხის მოჭრა. კუკმა უბრძანა მეზღვაურებს გამოეჩეხათ ველურთათვის ტყის ნაწილი, რასაც ველურები მთელ წელიწადს მოუნდებოდნენ, და სამი საათის შემდეგ ეს სამუშაო შესრულებული იყო.

კუკი ახალზელანდიელებსაც კი უფრო კულტუროსან ხალხად სთვლიდა, რომლებმაც არ იცოდნენ მიწათმოქმედება, ახალგებრიდელებთან შედარებით. ზელანდიელებმა იციან ქილოფების დაწვნა, მათი ცულები საკმაოდ მახვილია, მათ მაგარი და დიდრონი ნავები ჰქონდათ და არა ტანას მცხოვრებთა პიროგები, წამდაუწუმ რომ გადაყირავდებოდნენ ხოლმე და რომლებშიაც ძლიერ ეტეოდა ორი კაცი.

სამაგიეროდ ტანელებს სასიკვდილო იარაღი ჰქონდათ, რომელიც არ იცოდა წყნარი ოკეანეს არცერთმა ხალხმა — მოწამლული შუბები და ისრები. ისინი სიამოვნებით მიჰყიდდნენ ხოლმე მათ თეთრებს და, როცა უკანასკნელნი შეეხებოდნენ წებოვან ნივთიერებას, ხელს დაუჭერდნენ და მომაკვდავად იკატუნებდნენ თავს, რომ თეთრები მიმხვდარიყვნენ — ეს სასიკვდილო შხაძიაო.

კუკს გული მოსდიოდა, რომ ისინი ყოველგვარ მუშაობას ცოლებს აკისრებდნენ და თვით კი სრულიად არაფერს არ აკეთებდნენ. ქალები სთოხნიდნენ ხის თოხებით მიწას, ქალები იჭერდნენ თევზს, ქალები აძოვებდნენ ღორებს, ამზადებდნენ სადილს, აშენებდნენ ქოხებს; კაცებს კი მხოლოდ ეძინათ, ჭამდნენ და სიმღერებს მღეროდნენ. მხოლოდ ორი რამ მიაჩნდათ თავის შესაფერ საქმედ — ფრინველების ხოცვა და ხეების ჩეხვა. მაგრამ მოსჩხებდნენ თუ არა ხეს, აძულებდნენ ქალებს განზე გაეხოხებიათ. საზოგადოდ, ქალებს ყოველთვის დაჰქონდათ რამე ზურგით და ამიტომ ტანდაბალი და კუზიანები იყვნენ.

ტანა ვულკანური კუნძულია, ის ვულკანისგან ამოხეთქილი ფერფლისგან შესდგება. მისი შავი, ფხვიერი ნიადაგი მეტისმეტად მსუქანია და ამიტომ ტყე აქ უფრო გაუვალია, ვიდრე მალიკოლაზე. მაგრამ ფურცლებსა და ბალახს მონაცრისფრო ფერი აქვს, ვინაიდან განუწყვეტლივ დაფარულია ჭვარტლით. კუკი ხშირად შეხვედრია ტყეში ხეტიალის დროს სრულიად მოტიტვლებულ ადგილებს, სადაც ბალახიც კი არ ამოდის. ერთხელ იგი გამოვიდა ამგვარ. მოედანზე, მაგრამ ქვეშ ისე ცხელოდა, რომ მას ეგონა, თითქოს იგი გავარვარებულ ფილაქანზე მიდიოდა. მისი ჩექმების ლანჩები იმწამსვე დაიწვა. ბევრი იყო იქ ცხელი წყაროც, რომლებიც მიწიდან შადრევანივით ამოჰქუხდნენ. მათთან მიახლოება ძნელი იყო ცხელი ორთქლის გამო. კუკმა ჩააგდო ერთ-ერთ ამგვარ წყაროში კუ და ორი წუთის შემდეგ იგი იმდენად მოიხარშა, რომ შეიძლებოდა მისი ჭამა.

ტანას მცხოვრებნი ძალიან ღარიბნი იყვნენ და არ შეეძლოთ მიეცათ გემისთვის მარაგი, ამიტომ კუკი ვერ დარჩებოდა დიდხანს მათთან. მან მომართა იალქნები და გაეშურა სამხრეთით, იმ მოსახრებით, რომ ახალ ზელანდიაში ისინი უკვე ველარ შეხვდებოდენ მიწას.

მაგრამ სამი დღის შემდეგ, 5 სექტემბერს, მათ შორიდან დაინახეს მთების გრძელი ჯაჭვი. ეს იყო ახალი კალედონია, ჯერ კიდევ უცნობი ევროპელებისთვის. კუკი რამოდენიმე დღის განმავლობაში მიცურავდა კლდოვანი, თითქმის უტყეო ნაპირების გასწვრივ და მას ეგონა, რომ მან აღმოაჩინა განსაცვიფრებლად დიდი კუნძული. მაგრამ ავიდა თუ არა ახალი კალედონიის მთების ერთ-ერთ მწვერვალზე, მან მაშინვე დაინახა მოპირდაპირე მხარეზე ზღვა. ახალი კალედონია გრძელია, მაგრამ ვიწრო: მისი განი არსად არ აღემატება ათ მილს.

ახალ კალედონიაში ცოტაა მცხოვრები და მისი მოზინადრეები ტანას მკვიდრ მცხოვრებლებს ჰგვანან, მაგრამ რამოდენიმედ უფრო მალეები და კუნთოვანი არიან. ისინი რგავენ ბანანისა და კოკოსის ხეებს, მაგრამ არა ჰყავთ არავითარი შინაური ცხოველი. ველური ცხოველები კუნძულზე აგრეთვე არ არის, ამიტომ ნადირობაც შეუძლებელია.

ერთხელ ნაპირზე ახალკალედონიელებმა დაინახეს მეზღვაურები, რომლებიც დამარილებულ ხორცს შეექცეოდენ. ერთი მეზღვაურთაგანი ღრღნიდა ღორის ძვალს და იგი ახალკალედონიელებმა კაციჭამიად მიიღეს. ამან გამოიწვია მათში საშინელი ზიზღი, ისინი ერთხმად აყაყანდენ, იფურთხებოდენ და იმანჭებოდენ. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი მეზღვაურები ცდილობდენ დაერწმუნებიათ ისინი, რომ ღორის ხორცს სჭამდენ და არა კაცისას. ველურები კვლავ ზიზღით უყურებდენ მათ.

თეთრები მკვიდრ მცხოვრებლებს სრულიად არ აინტერესებდათ: ისინი არასოდეს პირველი არ გამოელაპარაკებოდენ ხოლმე მათ, არ ეპატიჟებოდენ თავისთჳნ, არ უახლოვდებოდენ

გემს და არც ცდილობდნენ რაიმე გაეცვალათ ან მოეპარათ, როცა მოგზაურები დაეხეტებოდნენ კუნძულზე, მათ თან მისდევდნენ მხოლოდ ბავშვები. ბავშვების მთელი გუნდი დაჰყვებოდა ფორესტიერს, რადგან ფორესტიერი თოფს ესროდა თუთიყუშებს. თოფის სროლა მათ სრულებით არ აშინებდა. როცა იგი ააცდენდა ხოლმე, ნალვლობდნენ; და როცა მოარტყამდა — ხარობდნენ და გარბოდნენ მოკლული ფრინველის ასაღებად.

კუკმა გადაიტანა რუკაზე მთელი აღმოსავლეთი ნაპირი ახალი კალედონიისა, სახელები დაარქვა ყურეს და კონცხებს და გავიდა ზღვაში.

### თავი მეცხრამეტი

#### შინისკენ!

1774 წლის 18 ოქტომბერს „სითამამემ“ ისევ ჩაუშვა ლუზა კუკის სრუტეში. კუკი ახალ ზელანდიაში იყო თითქმის ერთი წლის წინათ. როგორ გამოიცვალა ყოველივე მას შემდეგ, რაც იგი აქ არ იყო: სრუტის ნაპირები დაცარიელდა. იქ, სადაც უწინ სოფლები იყო, დარჩა მხოლოდ ქუჩუიანი ნაფერფლი, გარეული ბალახით დაფარული. და ის რამდენიმე ოჯახი, რომელიც ჯერ კიდევ ბინადრობდა ამ დაცარიელებულ მხარეში, ძალიან ცდილობდა არ შეხვედროდნენ თეთრებს. ვერ ასწრებდნენ ინგლისელები ნაპირზე გადმოსვლას, რომ ისინი მაშინვე იმალებოდნენ ტყეში.

კუკს, რომელმაც არ იცოდა, თუ რა დაემართა „გულადობას“, უკვირდა ველურთა ასეთ უცნაური უნდობლობა. ისინი ხომ კარგ განწყობილებაში იყვნენ მათთან უკანასკნელად მისვლის დროს. მან დაიჭირა ორი ახალგაზრდა მეომარი, ძალით მოიყვანა გემზე და დაუწყო გამოკითხვა, თუ რა მოხდა მის აქ არყოფნაში. მაგრამ ზელანდიელები არ ლაპარაკობდნენ, რაღაცას გაუგებრად ბუტბუტებდნენ, ირწმუნებოდნენ,

რომ ისინი არ არიან დამნაშავენი, და კუკი იძულებული შეიქნა ამბის გაუგებრად გაეშვა ისინი.

სხვათა შორის, მას დროც არ ჰქონდა გამოერკვია ყველა ეს საიდუმლო. ახალი სანოვაგე „სითამამის“ გემძირედში საკმაოდ იყო და ახლ ზელანდიასთან შეყოვნება ზედმეტი იყო. მისი ამ მოგზაურობის მთავარი ამოცანა უკვე გადაწყვეტილი იყო: მან საბოლოოდ გამოარკვია, რომ არავითარი სამხრეთ მატერიკი არ არსებობდა. ახლა კი შეიძლებოდა შინ დაბრუნება.

„შინისკენ“ — ოხრავდნენ მეზღვაურები, რომლებიც მოიქანცენ ორი წლისკანმავლობაში ცურვის გამო. „შინისკენ“ — ჭრიჭინობდნენ საბელები, ხანგრძლივი სამსახურით ილაჯგაწყვეტილნი, „შინისკენ, შინისკენ“ — ხმაურობდნენ ქუჩიანი და დაკე-რებული იალქნები.

კუკიც მოიქანცა და მოხუცდა ამ მოგზაურობის დროს. მან ითათბირა ოფიცრებთან, ერთი კვირის შემდეგ დასტოვა ახალი ზელანდია და მიაშურა ინგლისს, გზად არჩია გორნის კონცხის გასწვრივ წასვლა. 1775 წლის 22 მარტს „სითამამე“ მივიდა თავის სამშობლოში.

კუკს მეორე მოგზაურობამ უფრო მეტი სახელი მოუხვეჭა, ვიდრე პირველმა. გარდა განსაცვიფრებელი აღმოჩენებისა გეოგრაფიის დარგში, რაც მას წილად ხვდა, მან ბევრი სხვა რამეც გააკეთა, რქნებ უფრო მნიშვნელოვანიც.

კუკის დამოკიდებულებას ველურებისადმი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი კაცობრიობისათვის. ეს იყო პირველი მეზღვაური, რომელიც ეპყრობოდა ველურებს როგორც ადამიანებს, როგორც თანასწორებს. ის არასოდეს არავის არ ძარცვავდა, არ ჰკლავდა, ყველგან მეგობრულად მიდიოდა, იყო აღერსიანი სისხლისმსმელ კაციქამიებთანაც კი და დაამტკიცა, რომ მეგობრობით გაცილებით უფრო მეტის მიღწევა შეიძლებოდა, ვიდრე ძალდატანებით.

# უკანასკნელი ცურვა.

თ ა ვ ი მ ე ო ც ე

## ცხვრები


მეორედ მოგზაურობის შემდეგ კუკმა დასვენება გადასწყვიტა. ის უკვე ორმოცდაცხრა წლის სრულდებოდა და საკმარისად იხეტიალა დედამიწის ზღვრებზე და, აი, შესწირა რა თითქმის მთელი თავისი ფული, რომელიც მიიღო საამირბაროდან მოხუც მებღაურთათვის საერთო საცხოვრებლის ასაშენებლად, დასახლდა პატარა ქალაქ გრინვიჩში და შეუდგა ასტრონომიას. მაგრამ ის დიდხანს არ დაუტოვებიათ ამ მდგომარეობაში. 1776 წლის გაზაფხულზე იგი გამოიძახა გრაფ სენდვიჩმა, საამირბაროს პირველმა ლორდმა.

— ყური მიგდეთ, კუკ, — სთქვა მან. — თქვენ კიდევ მოგიხდებათ დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა. თქვენს მეტი არავინ არის გასაგზავნი. თქვენ უნდა შეეცადოთ გამოსძებნოთ ჩრდილო-დასავლეთის სრუტე წყნარი ოკეანეს მხრით.

მაშინ ფიქრობდენ, რომ ჩრდილოეთ ამერიკას შუაზე ჰყოფდა ფართე სრუტე, რომელიც ვითომდა ზერთებდა ატლანტის ოკეანესა და წყნარ ოკეანეს. ეს ნაგულისხმევი სრუტე იწოდებოდა ჩრდილო-დასავლეთ სრუტედ, ვინაიდან იმისათვის, რომ იქ მისულიყავით ევროპიდან, აუცილებელი იყო ჩრდილო-დასავლეთით ცურვა. თუკი ასეთი სრუტე მართლა იქნებოდა აღმოჩენილი, მთელი ევროპის ვაჭრობა აღმოსავლეთთან გაცილებით გაადვილდებოდა.

მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელ ვაჭრებს იმისათვის, რომ ინდოეთში ან ჩინეთში მომხვდარიყვნენ, გარშემო უნდა მოეწოდებოდათ გორჩის კონცხისთვის, ან კეთილი იმედის კონცხისთვის, ეს კი ძალიან აგრძელებდა გზას და აძვირებდა მგზავრობას.





ახალგაზრდობის სოფელი

ჩრდილო-დასავლეთის სრუტის აღმოჩენა კი მისცემდა გემებს საშუალებას, რომ უფრო მოკლე გზით მისულიყვნენ ევროპიდან შორეულ აღმოსავლეთის ყველა მხარეში.

— ჩვენ ვცადეთ სრუტე გვეპოვნა ატლანტიკის მხრივ, მაგრამ ამაოდ, — განაგრძობდა გრაფ სენდვიჩი. — ახლა წყნარი ოკეანეს მხრიდან უნდა სძებნოთ. თქვენ იძულებული იქნებით იცუროთ მთელ ჩრდილო-ამერიკის ნაპირ-ნაპირ. ეს სრულიად გამოუკვლეველი მხარეა. იქ ჯერ არცერთი თეთრკანიანი არ ყოფილა. პლიმუტის ნავსადგურში თქვენ უკვე გელოდებათ ორი გემი. რას იტყვით, თანახმა ხართ?

— თანახმა ვარ, — უპასუხა კუკა. — მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს საამირბაროსადმი.

— სახელდობრ? — იკითხა გრაფ სენდვიჩმა. — თქვენ უკვე საკმაოდ დასაჩუქრებული ხართ, კაპიტანო. არავინ არის დამნაშავე, რომ თქვენ მთელი თქვენი ფული გადარეულ მეზღვაურებს შესწირეთ. როცა დაბრუნდებით, მოგცემენ გასამრჯელოს თქვენი შრომისათვის!..

— არა, მე ფულს კი არა გთხოვთ...

— ვიკით, თქვენ გინდათ აზნაურობის წოდება მიიღოთ. მაგრამ ეს შეუძლებელია: აზნაურად უნდა დაბადებულიყავით.

— არა, მე არ მინდა თქვენი აზნაურობა. მე გთხოვთ მხოლოდ ცხვრის ფარას.

— ცხვრის ფარას?

— მე მინდა ცხვრები ვაჩუქო ტაიტელებს და ახალზელანდიელებს. ამ საწყალ ხალხს მესაქონლეობა უნდა შეეასწავლოთ. თუკი ცხვარი გამრავლდება ამ კუნძულებზე, მკვიდრნი მცხოვრებნი გამდიდრდებიან.

— არაფრის გულისათვის! — წამოიძახა გრაფ სენდვიჩმა. — ჩემთვის გასაგები იქნებოდა, რომ თქვენ გელაპარაკათ მარტო ტაიტელებზე. მაგრამ ახალზელანდიელთა დასაჩუქრება კი სისულელეა. გაიხსენეთ, რომ მათ შესჭამეს ათი მეზღვაური კაპიტანი ფიურნოსი. და თქვენ გინდათ ქველმოქმედება გაუ-

წიოთ ამ სისხლისმსმელებს! და კიდევ სახაზინო ხარჯზე? გრცხვენოღესთ, კაპიტანო!

— სასირცხვო არაფერი მაქვს, გრაფო, — უპასუხა კუკმა. — მესაქონლეობა საუკეთესო საშუალებაა კაციკამიობის წინააღმდეგ. ახალზელანდიელებს არა ჰყავთ არცერთი შინაური ცხოველი, გარდა ძაღლებისა: მიწა კი უნოყიერესი აქვთ, მაგრამ მათ არ იციან არც ხენა და არც ხესვა. მუდმივი შიმშილია მათ ქვეყანაში და შიმშილი მიუსევს ხოლმე მათ ერთიმეორეს, შიმშილი აიძულებს შესჯამონ მოკლული მტრები. ჩვენ რომ მიგვეყვანა მათთვის ცხვრები...

— თქვენ ემსახურებით მის უმაღლესობას, მეფეს, კაპიტანო, მეფეს კი არ შეუძლია დაინტერესდეს ვიღაცა ფეხშიშველა ველურების ცხოვრებით.

— ამ შემთხვევაში მე ვიყიდი ცხვრებს საკუთარი ფულით, — სთქვა კუკმა.

— კეთილ ინებეთ, — ცივად უპასუხა გრაფ სენდვიჩმა. — ეს თქვენი საქმეა. ყოველივე ინსტრუქციებს თქვენ ხვალ მიიღებთ, — დაუმატა მან ადგომისას.

12 ივნისს კუკი გავიდა ზღვაში პლიმუტის ნავსადგურიდან თავის საყვარელ გემ „სითამამეზე“. მეორე გემს, რომელიც მოცემული იყო უვარგისად ცნობილი „გულადობის“ მაგიერ, „აღმოჩენა“ ერქვა. მას მეთაურობდა კაპიტანი კლარკი. მაგრამ „აღმოჩენა“ დროზე ვერ მოემზადა საგზაოდ და „სითამამემ“ მარტოდ გასცურა. კუკი დაპირდა კლარკს, რომ დაუცდიდა მას კეთილი იმედის კონცხთან.

გრაფი სენდვიჩი ზღვის ნაპირას იდგა, მას გარს შემოხვეოდნენ ნავსადგურის სამმართველოს მოხელენი და ადიუტანტები. ქარი აცლიდა პუდრს ახუჭუჭებული პარიკებიდან და ამის გამო ისინი თითქოს მოცული იყვნენ მოთეთრო ბურუსით. გრაფ სენდვიჩი ქოგრით უყურებდა მიმავალ გემს. იქ ყველაფერი წესრიგზე იყო. სუფთად გარეცხილი ერდო ბზინავდა მზეზე და პირველი ლორდი საადმირალოსი კმაყოფილი იყო. რატომაც არა, რატომაც არ უნდა ყოფილიყო კმაყოფი-

ფილი! მან ხომ გამომშვიდობებისას უბრძანა კუკს, რომ მას ამ ცურვის დროს პირველი აღმოჩენილი მიწისთვის მისი კეთილშობილი სახელი ეწოდებია.

— ეს გლახუკა ჩვენთვის ძალიან გამოსადევია, — ეუბნებოდა იგი ნავსადგურის უფროსს. — თამამად შემოძლია ვიამაყო კაცთა შერჩევის უნარიანობით.

ოღნავ მიიმალა თუ არა ნაპირი, „სითამამის“ ერდოზე აშენებულ იქნა ხის გადანაღობი. თვით კუკი უთვალყურებდა შენებას. გომურის მსგავსი გამოვიდა, და ამ გომურში შეუშვეს მეზღვაურებმა თერთჰეტი ცხვარი საუკეთესო ინგლისური ჯიშისა და ოთხი რგვალრქა ყოჩი.

ოკეანემ არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა ცხვრებზე. ისინი მას ვერც კი ამჩნევდნ და მშვიდად დაიარებოდნ აქით-იქით გომურში, ჰკრეფდნ დაყრილ თივას და აბნევდნ შავ მუხუდოს გარეცხილი ერდოს ფიცრებზე. ყოჩები კი მელანქოლიით შეპყრობილი აღმოჩნდნ. ისინი მთელი საათების განმავლობაში უძრავად იდგნ ერთ ადგილას და ზღვას გაჰყურებდნ სევდიანი თვალებით.

კუკი ირგვლივ დადიოდა და ხარობდა.

— ლექეთ, ლექეთ, — ეუბნებოდა იგი ცხვრებსა და ყოჩებს, — თქვენ დიადი მომავალი გაქვთ. თქვენ იცხოვრებთ ქვეყნიერების უმშვენიერეს მხარეებში. თქვენს მომავალ თაობას წილად ხვდება ხალხთა გაბედნიერება. ასი წლის შემდეგ ახალზელანდიელები, ტაიტელები, გამლიდრებულნი და განათლებულნი, დაგიდგამენ ძეგლებს საფლავზე.

დღეები დღეებს მისდევდნ, და „სითამამე“ სწრაფად მიდიოდა სამხრეთისაკენ. პორტუგალიის ნაპირები უკან დარჩა და კარგ ამინდში მარცხენა ქიმიდან შესაძლებელი ხდებოდა აფრიკის ნაპირების ლურჯი ზოლის დანახვა. კუკი კეთილი იმედის კონცხისკენ მიიჩქაროდა.

გზაში მხოლოდ ერთხელ გაჩერდა — კულძულ ტენგროფთან. კუნძულზე მობინადრე ესპანიელები განცვიფრებული

იყვნენ: მათ პირველად იხილეს გემი, რომელიც შემოვიდა მათთან თივისათვის.

დასტოვეს რა ტენერიფი, კუკმა ისარგებლა ზურგის ქართით და ყველა იალქნით გაქროლა კეთილი იმედის კონცხისკენ. გემის შემადგენლობა მხიარული და ჯანმრთელი იყო, ცხვრები სუქდებოდნენ. „სითამამემ“ 18 ოქტომბერს ჩაუშვა ღუზა სასადილო ნავსადგურში, ქალაქი კაპშტადტის პირდაპირ. აქ მათ ხანგრძლივად უნდა დაესვენათ. მათ უნდა მოეცადნათ „აღმოჩენისათვის“, რომელიც 1 აგვისტოს გამოვიდა ინგლისიდან. საჭირო იყო ამ გაჩერების რაც შეიძლება უფრო სასიამოვნოდ და სასარგებლოდ ჩატარება.

როს ღუზა ჩაუშვეს, კუკი გადავიდა ნაპირზე და გუბერნატორთან გაეშურა.

გუბერნატორმა მისცა მეტად საგულისხმიერო ქალაქი, მრავალფეროვანი ბექდებით აქრელებული, რომელშიაც ეწერა, რომ ინგლისელ კაპიტან ჯემს კუკს ნება ეძლევა აძოვოს თავისი ცხვრები გენერალური შტატების საძოვრებზე.

კუკი აღტაცებაში მოვიდა. იგი დიდი ხანია ოცნებობდა თავისი ჯოგისათვის ეშოვნა ბალახი: თივა ცუდად მოქმედობდა საქონლის ჯანმრთელობაზე.

იმ დროს მთელი სამხრეთი აფრიკა დათარული იყო უღამნო ველებით, რომელიც არავის არ ეკუთვნოდა. ამ ველებს ერქვა გენერალური შტატების საძოვრები. ისინი იწყებოდნენ ქალაქ გარეთ და გაჭიმული იყვნენ რამოდენიმე ათასი ვერსის მანძილზე სამხრეთით. იქ არავინ არაფერს არ აძოვებდა, ვინაიდან თეთრკანიანები კოლონიებში ნაკლებად იყვნენ, კატრები კი, მონობით დაშინებულნი, ეკვატორიალურ ტყეებში იმალებოდნენ.

მხოლოდ ბუშმენები, შავი დიდთავა ჯუჯები დათარეშობდნენ ორპეტრიან ბალახებში, ძარცვავდნენ ჩიტის ბუდეებს, მაღიანად შეექცეოდნენ ბაყაყებს და თხიპნიდნენ ისრების წვერებს პატარა შავი ველების შხამით. თეთრების დანახვისთანავე ისინი გარბოდნენ და იმალებოდნენ მიწის ღრმა ხვრელებში.

და, აი, ამ ველებზე გამოდენა კუკმა თავისი ფარა საძოვრად და ჩააბარა ზღვის ქვეითი ჯარის ორ ჯარისკაცს. ცხვრები სუქდებოდენ, დუმა უმძიმდებოდათ, მატყლი ეხუკუქებოდათ და უსქელდებოდათ. ზღაზნით გადადიოდენ ისინი ბორცვიდან ბორცვზე და იმალებოდენ მაღალ ბალახში.

კუკმა მოიმარაგა სურსათი, ათვალიერებდა ძველ რუკებს და აუჩქარებლად ემზადებოდა მომავალი მგზავრობისათვის. მუზღვაურებმა მიიღეს ორი თვის ჯამაგირი და ქალაქში გაეშურნენ. ოფიცრებს სადილად ეძლეოდათ ზედმეტი ბოთლი ღვინო. ბუნებისმეტყველი, დოქტორი ანდერსონი, სწმენდდა ფიტულების დასამზადებელ ხელსაწყოებს და ქუდით შეიარაღებული იქერდა ერდოზე აფრიკულ პებლებს. ასე გავიდა თვე, და უცბად უბედურება დაატყდათ მათ თავს. ალიონზე კაპიტანის საკანში შემოვარდა ლეიტენანტი კინგი და დაიყვირა:

— სერ, ცხვრები დაიკარგა.

კუკმა თავში იტაცა ხელი. მთელი მისი ოცნებანი, რის გულისათვისაც იგი დასთანხმდა ამ მოგზაურობაზე, იფუშებოდენ. იგი მაშინვე გაღავიდა ნაპირზე და მხოლოდ იქ გაიგო, თუ რა მომხდარიყო.

წინა ღამეს ჯარისკაცები, რომლებიც უღარაჯებდენ ფარას, მშვიდად უსხდენ კოკონს და ჩიბუხს წევდენ. ტროპიკის ვარსკვლავები და გასაოცრად მაღალი ბალახი არ აინტერესებდა მათ. მათ არა მარტო ამგვარი საოცრება უნახავთ კაპიტან კუკთან მოგზაურობის დროს.

არა, ისინი ბაასობდენ შორეულ ინგლისზე, სადაც ცოლშვილი ეგულებოდათ, რომლებსაც ისინი ასე იშვიათად ხედავდენ. იქვე ეძინათ ცხვრებს, რომელთაც წინა ფეხები შეკრული ჰქონდათ.

შუალამისას ჯარისკაცებს ძილი მოერიათ. ისინი უკვე აპირებდენ ბალახზე წამოწოლას, რომ უცებ მოესმათ ცხენების შორეული თქარათქური. მზის ამოსვლამ გააწითლა. ცის ნახევარი და მეზობელი ბორცვის მწვერვალზე მათ დაინახეს ოთხი

ცხენოსანი, რომლებიც მოაქანებდნენ ცხენებს პირდაპირ კო-  
ლონისაკენ. მათ გრძელი თოფები ჰქონდათ გადაკიდებული.

„ავაზაკები“—გაიფიქრეს ჯარისკაცებმა და შიშისაგან გუ-  
ლი აუძგერდათ. ინგლისელები, ჩამოვიდოდნენ რა ნაპირზე, ვალ-  
დებული იყვნენ იარაღი გემზე დაეტოვებიათ. და როგორ-  
უნდა დაეცვათ თავი უიარაღოდ ოთხი შეიარაღებული ცხენოს-  
ნისაგან?

თქარათქური ახლოვდებოდა.

— შესდექ, ვინ მოდის?— შეჰყვირა ერთმა ჯარისკაცთაგანმა.

ლასოს გრძელი მარყუჟი შემოესალტა ორივე მწყემსს.  
და შეახალა ისინი ერთიმეორეს. ცხენოსნები გადმოხტნენ და  
ჩუმად, განთქმული ჰოლანდიური სიმშვიდით შეჰკოკეს ინგ-  
ლისელები ერთად, შემდეგ შეუხსნეს ფეხები ცხვრებს, შესხდნენ  
ცხენებზე, გარეკეს ფარა და გაუდგენ გზას.

მხოლოდ გათენებისას განთავისუფლდნენ საწყალი, ჯარის-  
კაცები. ისინი გაეშურნენ ნავსადგურისაკენ და ყოველივე მოახ-  
სენეს თავის უფროსს. შეშინებული და შეძრწუნებული კუკი  
კვლავ წავიდა გუბერნატორთან. გუბერნატორი, უზომოდ სქე-  
ლი ჰოლანდიელი, მას ოფიციალურად შეხვდა და არა კეთილ-  
განწყობილად, მას არ უყვარდა ინგლისელები, მან იცოდა,  
რომ ისინი დიდი ხანია ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ჰოლან-  
დიური კოლონიები სამხრეთ აფრიკაში.

— ეს მე არ შემეხება, — სთქვა მან, — მიმართეთ პოლიცი-  
ის უფროსს.

პოლიციის უფროსი მეორე პირი იყო კოლონიაში გუ-  
ბერნატორის შემდეგ და მომავალში მისი თანამდებობის დაჭე-  
რასაც აპირებდა. ალბათ მხოლოდ ამიტომ ის ოდნავ ჩამოუვარ-  
დებოდა სიმსხოთი გუბერნატორს. მოისმანა თუ არა თხოვნა  
უცნაური კაპიტნისაგან, მან ცივად აღნიშნა, რომ კაპრის კო-  
ლონიის პოლიცია იმიტომ კი არ არსებობს, რომ ავაზაკებს  
ებრძოლოს, არამედ იმიტომ, რომ გაქცეული მონები დაიჭი-  
როს. ის მაინც დაჰპირდა კუკს დახმარებას. მაგრამ კუკი მი-  
ხვდა, რომ არ შეიძლებოდა მათზე იმედების დამყარება.

იგი ძალიან შეწუხდა. მისი აზრით, მგზავრობას ამის შემდეგ ეკარგებოდა მიზანი და შინაარსი. იგი, დაღლილი და მშვიდობიანი ცხოვრების მონატრული, დასთანხმდა სენდვიჩს მხოლოდ იმისათვის, რომ ესწავლებია ველურებისათვის მესაქონლეობა. მისი ნება რომ ყოჯილიყო, ახლავე დაბრუნდებოდა ინგლისში. და სწორედ ამ დროს მოვიდა „აღმოჩენაც“, სულ მთლად დაზიანებული ატლანტის ოკეანეზე ამოვარდნილი ქარიშხალისგან, და კუკი იძულებული შეიქნა დროებით გადაედო მოპარული ფარის ძებნა—მას უნდა მიეღო ზომები გემის შეკეთებისათვის.

კაპიტანი კლარკი, რომელიც იყო ამ ადგილებში (იგი მსახურობდა ლეიტენანტად კაპიტანი ფიურნოს დროს „გულადობაზე“), ამტკიცებდა, რომ მძარცველები თვით გუბერნატორის მფარველობით სარგებლობენ.

— თქვენ გაგცარცვეს აქაურმა მდიდარმა მონათმფლობელებმა, — ამბობდა იგი. — მათ არ ჰყოფნით თავისი საქონელი და გადასწყვიტეს ესარგებლათ თქვენი ფარით, ამგვარი თავდასხმა აქ წესიერ მოვლენად ითვლება. მათ წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია: ყველა მათ მხარეზეა, თუმცა ერთი საშუალება მაინც მოიპოვება...

— რა? — იკითხა კუკმა.

— უნდა გამოიძებნონ ქურდები, რომლებიც სათანადო ჯილდოს გულისთვის მოჰპარავენ მძარცველებს თქვენ ცხვრებს.

მართლაც ეს-ლა იყო ერთადერთი სწორი გზა, და კუკს არც კი დასკირდა ამ საქმის შესრულების მსურველთა გამონახვა: ისინი თვით გამოცხადდნენ.

ყოველივე ეს მოხდა ასე: სალამოს, ამავე დღეს, მზის ჩასვლის წინ კუკმა დაიქირავა ფიაკრი და გაეშურა ერთ ჰოლანდიელ ვაჭართან, რომელმაც უშოვნა ნახევარი ტონა გამხმარი პური. კუკი გაუსწორდა ვაჭარს, გამოვიდა ქუჩაში და უკვე ფიაკრში ჩაჯდომას აპირებდა, რომ უცებ მეზობელი სახლის კიშკარში დაინახა ბებრუხუნა ზანგის ქალი, რომელიც მას რა-



ლაცას ანიშნებდა. დედაბერი საზიზლარი იყო. აქრელებული ქუჩყიანი ჩვრები ჰფარავდნ მის მაიმუნის მსგავს სხეულს. გაოფლიანებული მელოტი თავი უბრწყინავდა. ერთი თვალი დაფარული ჰქონდა ლიბრით, მაგრამ მეორე თვალს ისე უბაქუნებდა კუკს, რომ ის, მიუხედავად იმისა, რომ დედაბერი ეზიზღებოდა, გაჰყვამას. დედაბერმა შეიყვანა იგი ეზოში, გაჩერდა, ილლიიდან გამოიღო ქუჩყიანი გაქონილი ქალაღდის ნაგლეჯი, რომელზედაც ტყვიის ფანქრით დაჩხაპნილი იყო რაღაცა, და გაუწოდა კუკს.

კუკმა მოიკრიბა მთელი თავისი ყურადღება და რამოდენიმე წუთის შემდეგ შესძლო ნაჩხაპნის წაკითხვა:

„სერ! ჩვენ ვიცით, სად არის თქვენი ცხვრები. მზადა ვართ ყველაფერზე იაფად.

სამი კეთილისმსურველი,

ბედისაგან ჩაგრული.

იცით ვერანი ადგილი ყაზარმებს უკან? მოღით დღეს 11. საათზე“.

კუკმა ასწია თავი, მაგრამ ბებრუხუნა აღარ იყო.

დანიშნულ დროს იგი მიდიოდა სიბნელეში ქალაქის განაპირა მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით. ქალაქს ეძინა, მხოლოდ ღვინის სარდაფებში, რომლებიც განათებული იყო ქონის სანთლებით, ხმაურობდნ მეზღვაურები. აი, ბოლოს, აგურის შენობა ქუში ყაზარმისა. გუშაგს, გრძელ თოფზე დაყრდნობილს, სძინავს. კუკმა შემოუარა ყაზარმებს და გავიდა ვერან ადგილზე. აქ მოჰქონდათ ნავავი ქალაქის ყოველი მხრიდან და სწვაოდნ განსაკუთრებულ ამოთხრილ ორმოებში. კუკი მივიდა ერთ აყროლებულ კოცონთან და შეჩერდა. ცდა დიდხანს არ დასჭირდა. უზარმაზარი თავცეცხლებით მოფენილი ადგილიდან გამოძვრა სამი ადამიანი, რომლებიც აქეთ-იქით იყურებოდნ. პირველ შეხედვისთანავე კუკი მიხვდა, რომ სწორედ ესენი იყვნენ მისი „კეთილისმსურველნი“.

კეთილისმსურველნი სხვადასხვა ფერისა იყვნენ: თეთრი, ზანგი, მულატი. თეთრკანიანს ეცვა დაფხრეწილი ინგლისური შარვალი, დაკრებული ლურჯი ყილეტი, ფართოარხანი ქეჩის ქუდი; მულატი სანთელივით ყვითელი იყო და მხიარულად იგრეხდა თავის მოკეკლუცო უღოვშებს. მას მხოლოდ ქუქციანი ტილოს შარვალი ეცვა. ზანგი განზე იდგა, აბრიალებდა თვალებს და წვივებს იფხანდა; მას შარვალიც კი არა ჰქონდა. ექვსი სხვადასხვა ფერის შიშველი ფეხი უშიშრად დაჰყრდნობოდა ცხელს მტვერს, რომელიც სავსე იყო თავცეცხლის ეკლებით.

— ჩვენ გავიგეთ თქვენი უბედურების შესახებ, სერ. — დაიწყო თეთრმა, მიუბრუნდა რა კუკს. — ჩვენ მთელი სულით და გულით მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების. ჩვენ თითქმის მზადაც ვართ გაგიწიოთ დახმარება, რასაკვირველია, "თუკი თქვენ... პირდაპირ გეტყვი, სერ, ჩემის აზრით, ნამდვილი ჯენტლმენები, როგორც ჩვენა ვართ, აუცილებლად უნდა ლაპარაკობდნენ პირდაპირ. ჩვენ დღესვე ვკისრულობთ მოგიყვანოთ თქვენი ცხვრები. მაგრამ უნდა დაგვასაჩუქროთ, როგორც შეწუხებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ ერთგვარი ხიფათი მოგველის: იქნება კაპიტადტის ციხეში ამოვიყვანოთ თავი.

— როგორ უნდა მომგვაროთ ჩემი ცხვრები? — იკითხა კუკმა.

— ნუ, სწუხართ, სერ, არ არის ისეთი ციხე, რომლის გატეხაც არ შეგვეძლოს, არ არის ისეთი ღობე, რომელზედაც გადახტომა გაგვიძნელდეს, არ არსებობს ისეთი მოდარაჯე ძაღლი, რომ მისი მოწამლა ვერ შევძლოთ. მართალს ვამბობ, ბიჭებო?

მულატმა თავი დააქნია. ზანგმა პირი გააღო, ააკრიალა თეთრი კბილები და უცებ ნაწყენ ხბოსავით წვრილად დაიყმუღლა.

— მას ენა აქვს მოჭრილი, სერ, — განმარტა გაქცეულმა ჯარისკაცმა. — პოლიციის უფროსი ზანგების ენების კოლექციას აგროვებს.

— რამდენი გინდათ ჩემი ცხვრების მოყვანაში? — იკითხა კუკმა.

ქურდმა გაჩაჩხა ფეხები, ჩამოიფხატა ქუდი შუბლზე და კეფა მოიფხანა.

— თითოს სამ.სამი გულდენი, — ბოლოს წაიბურტყუნა მან. — მარტო თქვენთვის, სხვებისაგან სამჯერ მეტს მოვითხოვდით.

— თანახმა ვარ, — სთქვა კუკმა.

— ბე გვერგება თქვენგან.

— არა, ბეს არ მოგცემთ, — უპასუხა კუკმა. — მოიყვანეთ ცხვრები და ფულსაც მიიღებთ.

— კარგი, სამი საათის შემდეგ ვიქნებით ნავსადგურში თქვენი ფართი. მოიტათ ხელი.

და სამი სხვადასხვა ფერის ხელი გაუწოდეს კუკს.

კუკი ყოყმანობდა: მას არასოდეს არ ჩამოურთმევია ხელი ყაჩაღებისათვის. მაგრამ აქ გაახსენდა სისხლისმსმელი ახალზელანდიელები, რომლებიც ადამიანის ძვლებს ხრავდენ, გაახსენდა თავისი ოცნება, რომ ამ ხალხისათვის მეცხვარეობა შეესწავლებია, და მაგრად ჩამოართვა გამოწვდილი ხელები.

მეორე დღეს, ვმ ნოემბერს, „სითამამე“ და „აღმოჩენა“ ყველა იალქნით მიჰქროდენ ინდოეთის ოკეანეში.

„სითამამის, ერდოზე, გარშემორტყმული ხის შენალობით, მშვიდად დაეხეტებოდენ ცხვრები და ყოჩები.

კუკი კი გაჰყურებდა სამხრეთ აფრიკის ნაპირებს, რომლებიც თანდათან თვალს ეფარებოდენ, და ჰფიქრობდა:

„ბოლოს და ბოლოს ამ მხარეში ერთადერთი პატიოსანი ხალხი მხოლოდ და მხოლოდ ქურდები არიან“.

## თავი ოცდაპირველი

### ტახმანია.

ომაი, — თვით ის ტაიტელი ომაი, რომელიც კაპიტანმა ფიურნომ წაიყვანა ინგლისში, — ახლა კუკთან ერთად ბრუნდე-

ბა თავის საშობლოში. ინგლისის სასახლეში მან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. თვით ხელმწიფემ აჩუქა მას რამდენიმე წითელი ტილო.

— უჰ, რა გულუბრყვილოა! რა მშვენიერია!—გაიძახოდნენ მანდილოსნები, როცა უყურებდნენ, თუ როგორ ჰყოფდა ხელს საერთო ლანგარზე და, გაივსებდა რა პირს, გულმოდგინედ ილოკავდა თითებს.

ომაი კბილებს კრეკდა, ხტოდა სკამებზე და წამდაუწუმ აბიჯებდა შლექებზე. ის ყველაფერს აღტაცებაში მოჰყავდა: დილიჟანსებს, ღვინოებს, ქვაფენილებს, ძროხებს, ტაძრებს, გენერლის მუნდირებს და ჭრიჭინა ჩექმებს, იგი განსაცვიფრებელი სიმარდით ითვისებდა ცივილიზაციის ყოველგვარ სიკარგეს და მთელ დიდბრიტანეთში ყველაზე ბედნიერი ადამიანი იყო.

მაგრამ იგი უფრო გაბედნიერდა, როს ისევ ამოჰყო თავი გემზე და მიხვდა, რომ შინ, ტაიტზე მიჰყავდათ.

როდესაც „სითამამე“ მიუახლოვდა კუნძულ ტენერიფს და ომაი გადმოსხეს ნაპირზე, იგი სრულ აღტაცებაში მოვიდა.

— რა მაღალი პალმებია!—გაიძახოდა იგი—რა ლამაზი ხალხია!

კუკმა შეხედა ნაპირზე ზანტად მოსიარულე ქუქციან, მზისაგან დამწვარ ესპანელებს და იკითხა:

— რით მოგეწონა ისინი?

— ისინი ისევე შავები არიან, როგორც მე,—დაუფიქრებლად უპასუხა ომაიმ.

კუკისადმი იგი ნაზ სიყვარულს გრძნობდა და ძალღსავით უკან დასდევდა. როცა კეთილი იმედის კონცხზე ცხვრები დაიკარგენ, ისიც ძალიან შეაწუხა კაპიტნის დასევდიანებამ და ლანძღავდა მცარცველებს ტაიტური ყველაზე საძაგელი სიტყვებით.

— მე ძარღვებს გადავუჭრი მათ!—ყვიროდა იგი და არყევდა, თავის გრძელ კაჟის თოფს. — მე ვიცეკვებ მათ გვამებზე!

და დაეხეტებოდა რა კაპშტადტში, ომაი იცქირებოდა ყველა ეზოში და საკუქნაოში, რომ იქნებ ეპოვნა მოპარული ცხვრე-

ბი. ბოლოს და ბოლოს კუკს შეეშინდა მისი ნაპირზე გაშვება, რომ რაიმე აყალმაყალი არ აეტეხა მას.

მაგრამ კეთილი იმედის კონცხი უკან დარჩა, „სითამამე“ და „აღმოჩენა“, ეწვია მთელ რიგს პატარა და უდაბურ კუნძულებს, აღმოჩენილს ფრანგი ზღვაოსნების მიერ, და გაეშურა პირდაპირ ტასმანიისაკენ, ანდა, როგორც მაშინ უძახოდენ, ვან-დიმენის მიწისაკენ.

ტასმანია დიდი კუნძულია, რომელიც მდებარეობს ავსტრალიის, სამხრეთით. იგი აღმოჩენილ იყო მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიელი მოგზაურის ტასმანის მიერ, მაგრამ მას შემდეგ არცერთ ევროპულ გემს არ უნახავს იგი, გარდა „გულადობისა“, რომელმაც გაიარა მის ნაპირების ახლო ახალი ზელანდიიდან კეთილი იმედის კონცხისკენ ცურვის დროს.

გემები ნელ-ნელა მიცურავდენ ამ უდაბური მხარის გაუვალი ტყით მოცული ბორცვების გასწვრივ. კუკს გადაჰქონდა რუკაზე ნაპირის მიხვეულ-მოხვეული ადგილები, იგი ეძებდა ყურეს, რომ შეჩერებულყო, შეშა დაეჩეხათ, თივა მოეთიბათ, წყალი მოემარაგებიათ. ხეების წვეროებთან აქა-იქ მოჩანდა კვამლი, მაშასადამე, აქ ხალხი ცხოვრობდა, იქნებ სისხლისმსმელი კაციჭამიები, რომლებიც ელოდენ დაუპატიჟებელ სტუმრებს, რომ მოეკლათ და შეეჭამათ ისინი.

აი, ბოლოს ნაპირმა უცებ მოუხვია ჩრდილოეთით. რა მშვენიერი ნავსადგურია! კუკმა აღნიშნა იგი რუკაზე და უბრძანა ლუზის ჩაშვება.

ნაპირზე გაღმოვიდა მთელი ექსპედიცია — შეშისმჭრელები ცულებით და ხერხებით, მთიბავეები ცელებით, მესანოვაგენი კასრებით დასალევი წყლისათვის და შეიარაღებულ ჯარისკაცთა რაზმი. კუკიც მათ წაჰყვა, თან წაიყოლა ომაი და დოქტორი ანდერსონი.

ბალახი მშვენიერი აღმოჩნდა, წყალი უგემრიელესი, ხეები ისე მაღალი, რომ ანძებადაც კი გამოდგებოდენ. კუკი

ვერ დამტკბარიყო ამ შევნიერი მხარით. მალე ამ მხრის მობინადრეებიც გამოჩნდნენ. როგორ არა ჰგავდნენ ისინი სისხლისმსმელ კაციჭამიებს! ესენი საცოდავი ხალხი იყო, ტიტველნი, გაძვალტყავებულნი, გაშავებულნი, ნეკნებამოჩრილნი, ჩამოკიდებული მუცლებით. არავითარი ტანისამოსი არ იცოდნენ, ჩერებიც კი არ ეკიდათ თქოვებზე, როგორც საზოგადოდ ყველაველურს. დაბალტანიან, მოუხეშავ ქალებს ტიტველ ზურგზე ეკიდათ კენგურუს ტყავის დიდი ტომრები, რომლებშიაც ისხდნენ თვალემაჯვეტილი ხუჭუჭა ბავშვები, რომელნიც თითს იწოვდნენ.

ყველა ესენი შეგროვდნენ მთიბაგების ირგვლივ და თვალს ადევნებდნენ მუშაობას, მაგრამ მათ უაზრო გამოხედვაში ვერ შეაჩნევდი ვერავითარ გაკვირვებას ან ცნობისმოყვარეობას. კუკმა მისცა მათ რამოდენიმე აცმა შიფები, რომელთაც აღტაცვებაში მოჰყავდა ტაიტელები და ახალზელანდიელები, მაგრამ არა ტასმანიელები, რომლებიც უგულოდ ართმევდნენ მას, არ იცოდნენ რაში მოეხმარათ და მიწაზე ჰყრიდნენ.

ჩქარა შეშისმჭრელები წააწყდნენ ამ ხალხის საცხოვრებლებსაც. აღმოჩნდა, რომ უბრალო კარვების ან უბრალო მიწურების აშენებაც კი არ იცოდნენ და ცხოვრობდნენ დიდ ფულურობში, რომლებსაც გამოსწვავდნენ ხოლმე ცეცხლით გიგანტურ ევკალიპტებში.

ომაი შეაწუხა ასეთ მშვენიერ მხარეში ხალხის უვიცობამ და სილატაკემ.

— საწყლები, საწყლები! — ამბობდა იგი თავის ქნევით. — მათ არა აქვთ არც შუბები და შეილდ-ისრები. ისინი ალბათ მარტო ლოკოკინებითა და ჭიალუებით იკვებებიან. ტყუილად კი არ არიან ასე გამხდარნი.

— არა, სცდები, — სთქვა კუკმა. — შეხე აი იმ გაძეძილს, მას შუბი უჭირავს.

მართლაც, ერთ ველურს ხელში წვეტიანი ჯოხი ეჭირა. იგი ძალიან არყევდა მას და, ეტყობოდა, შიშის ზარს სცემდა თანამოძმეებს. კუკი მივიდა ამ ტასმანიელთან და ნიშნებით აუ-

ხსნა მას, რომ უნდოდა მისი ნახვა, თუ როგორ ისროდა იგი. იგი თითქმის მაშინვე მიხვდა, დუ რას მოითხოვდენ მისგან და გაუთითა რა კუკს წყალთან მდებარე ბუჩქზე, ისროლა თავისი ჯოხი. მაგრამ ჯოხი სამჯერ შეტრიალდა ჰაერში და ბუჩქიდან ათ ნაბიჯზე დაეცა ქვიშაზე.

— ხა-ხა-ხა! — გაღიხარხარა ომაიმ. — როგორ გამაცინა! ხა-ხა-ხა! შენ მეომარი კი არა, ბებრუხანა დედაკაცი ხარ! ჩვენთან ორი წლის ბავშვიც კი, უკეთ გაისვრის შუბს, ვიდრე შენ. გინდა განახო, რა არის ნამდვილი იარაღი?

და სანამ კუკი მოასწრებდა სიტყვის თქმას, მკვებარა და ფიცხმა ომაიმ გატენა თოფი და დამაყრუებლად გაისროლა ჰაერში.

— ტრახ-ტრახ-ტრახ-ტრახ! — იგრილა თოფმა.

— ტრახ-ტრახ-ტრახ-ტრახ! — უპასუხა ტყის უბუმ.

ტასმანიელები, როგორც ერთი კაცი, გაინართხენ მიწაზე. ზურგი შიშისაგან უცახცახებდათ. მერე ერთად წამოხტენ ზეზე და დაშინებული ღოჯების ჯოგვივით ჭყვივლით გაიქცენ.

ომაი რამდენიმე წამს უძრავად იდგა, იმდენად გააკვირვა თავისი უვნებელი საქციელის შედეგმა. შემდეგ მთელი პირით გაიღიმა, დაირტყა ხელისგული ბარძაყზე და ოთხჯერ ვადაყირვდა ჰაერში თავით.

## თახი ოცდამეორე.

### კავურა.

დასტოვეს რა ტასმანია, ჩვენი მოგზაურები გაცურდენ სამხრეთით და 1777 წლის 10 თებერვალს დაინახეს ახალი ზელანდიის ნაპირი. ორი დღის შემდეგ გემები დადგენ ლუზაზე კუკის სრუტეში. მეოთხეჯერ ეწვია კუკი ამ ადგილებს და კარგად იცნობდა ყოველ მეჩხს, ყოველ ქვას და ბრავს.

ნაპირები ისევე მჭიდროდ იყო დასახლებული. სადაც კი გაიხედავდა ადამიანი, მოჩანდა წვრილთავე სახურავები ახალზელანდიელთა კარვებისა. განაპირა ქვიშაზე რამდენიმე პიროგა ეწყო.

ველურებს ძალიან შეეშინდათ, როცა დაინახეს გემები. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ თეთრები სამაგიეროს გადაუხდიდნენ მათი თანამოძმეების შეჭრისათვის. განსაკუთრებით ისინი დააშინა ომაიმ, რომელიც „გულადობაზე“ კაპიტან ფიურანოსთან ერთად ენახათ. მათი აზრით, ის უსათუოდ ურჩევდა და დაიყოლიებდა კუკს, რომ ამოეწყვიტათ ნაპირების მცხოვრებლები.

ამაში არ შემცდარან. ომაიმ უცებ იცნო ისინი და მოაჯდა რა „სითამამის“ მოაჯირს, უყვიროდა მათ და ემუქრებოდა მუშტებით:


— ვაი თქვენ, ვაი თქვენ, ბოროტნო! აცახცახდით შიშისაგან! მოვიდა თქვენი უკანასკნელი საათი! ჩვენ არავის დავინდობთ!

იგი ურჩევდა კუკს ჯერ გაენადგურებია სოფლები ზარბაზნის ყუმბარებით, მერე განაპირა ტყეებისათვის ცეცხლი წაეკიდათ. ოფიცრების უმრავლესობა და კაპიტანი კლარკიც კი ამ აზრის იყვნენ და ელოდნენ კუკისაგან, რომ ის მოსთხოვდა ველურებს მკვლელების გაცემას.

მაგრამ კუკს სულ სხვა გეგმები ჰქონდა. „რას მივალწევ! — ჰფიქრობდა იგი, — თუ დავხრეტ რამდენიმე ველურს? უნდა დავუმტკიცო მათ, რომ ცეცხლისმფრქვეველი იარაღი სჯობია შვილდებსა და შუბებს? მე ამით აღფურავ სიძულვილს თეთრებისადმი და ევროპის განათლება ველარ გარდაქმნის ამ ხალხს. განა ამგვარად გასწორების შემდეგ მე შემეძლება მეცხვარეობას მივაჩვიო ისინი? არა, ისინი ასე სამუდამოდ დარჩებიან კაციჭამიებად!“

კუკმა საბოლოოდ გადასწყვიტა გაეყო თავისი ცხვრები ახალზელანდიელთ ბელადთ შორის და ამიტომ მაშინვე განუცხადა თავის ხელქვეითებს, რომ უარს ამბობს სამაგიეროს გადახდაზე. ნაპირზე, გემების პირდაპირ, მან დააწყო ველურებისათვის ყველაზე მიმზიდველი საქონელი: მძივები, წითელი ფართალი, ცულები და დანები და მალალი ჯირკიდან მდგომ-





ველურები ცეკვავენ თავისი კერპების გარშემო.

მა შესთავაზა მკვიდრ მცხოვრებლებს გაცვლა-გამოცვლის წარმოება.

პირველ ორ დღეს ველურები ნახევარი მილის მანძილზე ახლო არ მოდიოდნენ, მაგრამ მშვიდობიანად განწყობილ ინგლისელთა შეხედულებით გამხნეებულებმა თანდათან დარწყეს ტყეებიდან გამოძრომა და თან მოჰქონდათ ზაფებით კალათები თევზებით. ოც ნაბიჯზე რომ მივიდოდნენ საქონლის საკუჭნაოსთან, ისინი ჩერდებოდნენ და ერთხმად იწყებდნენ რაღაცის ყვირილს, თან ხელებს აქნევდნენ. მერე უახლოვდებოდნენ და წყნარად ცვლიდნენ თევზს ფართალზე და ცულებზე.

კუკი, ომაის დახმარებით, ბოლოს მიხვდა, თუ რას ყვიროდნენ ველურები.

— ჩვენ არ დაგვიხოცია შენი ძმები, — ცდილობდნენ ისინი დაერწმუნებრათ კუკი, — ისინი მოჰკლა კაგურამ, სისხლისმსმელმა კაგურამ, უძლეველმა კაგურამ! მოჰკალ კაგურა და შენი ძმების სამაგიერო გადახდილი იქნება.

კუკმა სთხოვა ომაის გაეგო ახალხელანდიელებისაგან, თუ ვინ იყო კაგურა. მეორე დღეს ომაიმ უამბო მას, რომ კაგურა — ძლიერი, უშიშარი, ზარდამცემი ბელადია და მთელ ამ მხარეში ბატონობს, მკვიდრ მცხოვრებთ უსაზღვროდ ეშინიათ მისი, მაგრამ ეჯავრებათ კი უფრო ძლიერ.

ისინი კიდევაც საიდუმლოდ ეჩურჩულებოდნენ ომაის, რომ კუკი ძალიან გაახარებდა მათ, თუკი მოჰკლავდა კაგურას. ომაიმ ჰკითხა ამ მოჩურჩულებებს, თუ რატომ ისინი თვით არ მოჰკლავდნენ თავის მეფეს, რომელიც ასე ეჯავრებოდათ, მაგრამ ისინი უიშით უამბობდნენ მას, რომ უკვე თხუთმეტი ზამთარი იყო, რაც კაგურა — განაგებდა მთელ ამ მხარეს და აქამდე იგი ვერ იხელთეს მოსაკლავად.

— მოჰკალი კაგურა, — ურჩევდა კუკს ომაი. — გინდა მე გიშველი, რომ ნახო იგი.

— მიპოვე, ომაი, უსათუოდ მიპოვე, — უპასუხებდა კუკი. — მე ძალიან მჭირდება ეგ კაგურა.

მაგრამ კაგურა კუკს იმიტომ კი არა სჭირდებოდა, რომ იგი მოეკლა, პირიქით, კუკს მასთან დამეგობრება სურდა.

„თუკი მე მივცემ ჩემ ცხოვრებას ამ საცოდავ მეთევზეებს, — ჰფიქრობდა იგი, — მათ მაშინვე მოჰპარავენ და დახოცავენ. და ძლიერი ბელადი კი, როგორც არის კაგურა, მიიღებს თუ არა ცხვრებს, შესძლებს მათ მოვლასა და შენარჩუნებას“.

როგორღაც დილით კუკს გადასცეს, რომ ეს საშინელი კაგურა სდგას ნაპირზე და უნდა მისი ნახვა. კუკი მაშინვე ჩაჯდა ნაფში და წავიდა თავისი უეცარი სტუმრის შესახვედრად.

კაგურა იყო მაღალი, მხარბეჭიანი, კუნთებმაგარი. მთელი მისი ტანი დაფარული იყო ჭრელი, როგორც ფარშავანგის ფრთა, ტატურობით. წითელი, იისფერი და ოქროსფერი ხვეულები იხლორთებოდნენ მის ზურგზე, სახეზე, მხრებზე, მუცელზე, თეძოებზე. ხელში ეჭირა გრძელი შუბი, რომელზედაც ჩამოცმული იყო ინგლისში გაკეთებული ფოლადის ცული.

დაინახა თუ არა კუკი, კაგურამ გადასდგა რამოდენიმე ნაბიჯი შესახვედრად.

— გამარჯობა, დიდო ბელადო, — სთქვა კუკმა.

— გამარჯობადიდო ბელადო, — სთქვა კაგურამ, — უყურე, რა საჩუქარი მოგიმზადე!

თვრამეტმა მტვირთაემა დასდო კუკის წინ ცხრა კალათი, სულ თევზით ავსებული.

— წამოდი ჩემთან, კაგურა, — უთხრა კუკმა. — მე მინდა გაგიმასპინძლდე ჩემ მცურავ სახლში. იქ მოგცემ ყოველგვარ განძს, ასე რომ ყველაზე მდიდარი შეიქნები მთელ ქვეყანაში.

კუკი დარწმუნებული იყო, რომ კაგურა უარს იტყოდა და არ წაჰყვებოდა. ხომ იცოდა მან, რომ თეთრებს იქ შეეძლოთ ისე მოპყრობოდნენ მას, როგორც მოისურვებდნენ. და როცა კაგურა ხმაამოუღებლივ ჩაჯდა ნაფში, კუკი განცვიფრებული იყო მისი გულადობით.

— კაგურა, შენ მოგკლავენ! — მოშორდა თუ არა. ნაპირს ნავი, დაუყვირა ერთმა ახლობელმა ბელადს.

— კაგურას არაფრის ეშინია,—მიიღო მშვიდი პასუხი.

კაპიტნის საკანში იდგა ბოთლი ღვინით და ლანგარი დამარილებული ხორცი. კაგურა სჭამდა და სვამდა და თავიანად ყველაფერზე ჰკვირობდა. კუკმა, რომელსაც ცუდად ესმოდა ახალზელანდიელთა ენა, სთხოვა ომაის თარჯიმანობა და დაუწყო კაგურას გამოკითხვა იმის შესახებ, თუ როგორ ამოჟლიტეს კაპიტან ფიურნოს მეზღვაურები.

კაგურა თავისუფლად და უბრალოდ უამბობდა. ეტყობოდა, ის არაფერს მალავდა.

როგორც აღმოჩნდა, რაზმი, რომელიც გაგზავნილი იყო ხილისა და მწვანილისათვის, გაჩერდა დასასვენებლად მცენარეთა ყურეში, მეზღვაურებმა კოცონი გააჩაღეს, და თევზს წვა დაუწყეს. დაინახა თუ არა კოცონის კვამლი კაგურამ, მთელი თავისი ამალით მიუახლოვდა თეთრებს და მიესალმა. მაგრამ თეთრები ვერ მიუხვდნენ მას, არ უპასუხეს, განაგრძობდნენ ჭამას და თან არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ზელანდიელებს. კაგურას ერთი მეომართაგანი ძალიან დამშეული იყო და წაართვა რომელიღაც მეზღვაურს თევზის კუდი. მეზღვაურმა გარტყა ქურღს, უკანასკნელმა თავი დაიცვა. თეთრები წამოეჭომაგენ თავისიანებს, ველურები თავისიანებს—და დაიწყო ჩხუბი. მეზღვაურებმა ჰაერში გაისროლეს თოფები, მაგრამ ახალზელანდიელნი არ შეშინდნენ და თეთრები აკუწ-დაკუწეს, ხანამ ისინი მოასწრებდნენ ხელახლა თოფის გატენას.

როცა კაგურამ გაათავა თავისი ამბავი, ომაიმ გაუწოდა კუკს თავისი თოფი და უთხრა:

— შენ მეუბნებოდი, რომ ინგლისში მკვლევებს ჰკლავენ, აი მკვლელი. მოჰკალი იგი.

მაგრამ კუკმა თოფი მოიშორა.

— საბედნიეროდ, აქ ინგლისი არ არის, —სთქვა მან.— ვს მკვლელი ერთადერთი ადამიანია, მთელს ამ მხარეში, რომელსაც შეუძლია შეინახოს ჩემი ცხვრები. მე საჩუქრად ვაძლევ მას ჩემი ფარის ნახევარს.

ომაიმ მხრები ასწია და შეძრწუნებული გამოვიდა საკანიდან.

## თავი ოცდამესამე

### ქირანხულის დღესასწაული

კუკმა გადასცა კაგურას ცხვრები და აუხსნა, თუ როგორ უნდოდა მათ მოვლა და კვება. კაგურა ბედნიერი იყო და გამოგზავნა გემზე მთელი ხროვა ცოცხალი თევზისა. მაგრამ კუკი იჭვიანობდა. იგი არ იყო დარწმუნებული, რომ მისი ცხვრები გამრავლდებოდნენ ახალ ზელანდიაში. კაგურა, როგორც მას ეგონა, ცუდად მიუხვდა მესაქონლეობის სარგებლიანობას და ცხვრების შეძენა უფრო იმისათვის უხაროდა, რომ ცხვარი საოცარ საგანს წარმოადგენდა, რომელიც დაამშვენებდა მის სასახლეს.

ნაპირზე სეირნობის დროს კუკი წააწყდა ველს, რომელზედაც მან თავის უკანასკნელ მგზავრობაში კართოფილი მოთესა. კართოფილით ძლიერ დაფარულიყო იქაურობა. მაგრამ, ეტყობოდა, ადამიანის მზრუნველ ხელს მისთვის მიწა არ დაურბილებია და სარეველა მცენარეები არ მოუშორებია. სხვათა შორის, კართოფილი ახალზელანდიელებს მოსწონდათ და ისინი სიამოვნებით სჭამდნენ მას როგორც უმს, ისე შემწვარს. კუკმა იფიქრა, რომ მისი საქციელი წინდაუხედავი იყო და რომ იქნებ არც კი ღირდა ძვირფასი ცხვრების მიცემა ამ უფიცი ხალხისათვის.

ერთი რამ-ღა ამშვიდებდა მას — წინ იყვნენ მშვიდობიანი ტაიტელები, რომლებმაც იცოდნენ ბანანებისა და კოკოსების მოვლა, რომლებიც თავის ღორებს აბალახებდნენ თავის მწვანე ველებზე. ისინი კი ყოველ შემთხვევაში გაიკებდნენ ცხვრების სარგებლიანობას და შესძლებდნენ მათ მოვლას. და კუკმა დაიწყო ცურვისათვის მზადება.

როდესაც უკვე დაიწყეს იალქნების აპართვა, „სითამამეზე“ გამოცხადდა ომადი ორი თხუთმეტი წლის ბიჭით და განაცხადა, რომ ისინი თან მიჰყავდა ტაიტზე. კუკი შეშინდა, ხომ არ მოატყუა ომადი ეს ორი ბიჭი, და უთხრა მათ, რომ ისინი

ვერასოდეს ველარ დაბრუნდებოდენ თავის სამშობლოში, ველარ ნახავდენ თავის მშობლებსა და მეგობრებს. მაგრამ ბიჭებმა მოუსმინეს მას სრული გულგრილობით და არ უნდოდათ გემიდან ჩამოსვლა. მაშინ კუკი გაემართა ნაპირზე, მონახა ომანის დახმარებით მათი მშობლები და ჰკითხა, თანახმა იყვნენ თუ არა გაეშვათ თავისი შვილები. მაგრამ მშობლებიც გულგრილად მოეპყრენ ბავშვების ბედს. ორი ახალგაზრდა კაციჭამია წაჰყვა კუკს.

პირველ ხანებში ისინი მხიარული და კმაყოფილი იყვნენ და ერთხელაც კი არ მოუხედნიათ ახალი ზელანდიის ნაპირებისკენ, რომელიც თანდათან უკან რჩებოდა. ისინი კვალდაკვალ დასდევდნენ ომანს, აღმერთებდნენ მის ჭკუასა და ცხოვრების აღლოს აღების უნარიანობას. ვერავეითარ გრძნობას, სამშობლოს დაშორებით გამოწვეულს, ვერ ჰპოვებდით მათში.

მაკრამ მათი ქცევა სრულიად შეიცვალა, როცა ცურვის მეორე დღეს ზღვამ ოდნავი დღევა დაიწყო და ისინი გაწვალდნენ ზღვის ავადმყოფობით. აქ კი მათ გაიხსენეს სამშობლო, წვრილთავა კარვები, გაუვალი ტყეები, მშობლები, დები და ძმები. ისინი დაუშუბუნებული იყვნენ, რომ კვდებოდნენ და მწარედ სტიროდნენ და სწყევლიდნენ იმ საათს, როდესაც დასთანხმდნენ გემზე დაჯდომას და უცხო ქვეყნებში წასვლას. თუმცა მათი ტანჯვა დიდხანს არ გაგრძელებულა: საღამოყამს დღევა დაწყნარდა, ზღვის ავადმყოფობამ გაიარა, და ისინიც ჩქარა დაწყნარდნენ.

უკვე მარტის ბოლო იყო, და ჩრდილო ნახევარსფეროში გაზაფხული იწყებოდა. კუკი მიხვდა, რომ ამ წელს ის ველარ შესძლებდა ჩრდილო-დასავლეთის გზის პოვნას. ამ შემთხვევაში იგი მივიდოდა ამერიკაში არა უადრეს აგვისტოსა, და სექტემბერში კი უკვე სიცივეები იწყებოდა და ექსპედიცია იძულებული გახდებოდა სამხრეთში დაბრუნებულიყო. მან გადასწყვიტა 1777 წლის დანარჩენი დრო სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე კუნძულების კვლევა-ძიებისათვის გამოეყენებია.

უკვე აპრილის დასაწყისში მათ შეხვდათ ორი კუნძული: მანჯეია და ვატეია, რომელზედაც დასახლებული იყო ტაიტელების მონათესავე ხალხი.

აქ ომაიმ უშველა კუკს საგულისხმიერო აღმოჩენაში. იგი შეხვდა ვატეიაზე საქ თავის თანამემამულეს, ტაიტელს. კუკმა პირველად არ დაიჯერა: წარმოუდგენელი იყო, რომ ტაიტელებს თავისი საცოდავი ნაგებობით გადაეცურათ უზარმაზარი სივრცე ზღვაზე, რომელიც ჰყოფდა ტაიტსა და ვატეიას. მაგრამ ომაიმ მოიყვანა ისინი გემზე და მათ უამბეს კუკს თავისი თავგადასავალი.

ოცი წლის წინათ ისინი სამივენი და კიდევ ერთი ამხანაგი ჩასხდნენ ნავში და გაეშურნენ ტაიტის მახლობლად მდებარე კუნძულისაკენ—ულიეტისაკენ. ეს ადვილი მგზავრობა არის. მკვიდრი მცხოვრებნი საზოგადოდ ამას ანდომებენ ორსამ საათს. მაგრამ შუა გზაზე დაიწყო ზღვამ ღელვა, გაიტაცა ისინი ოკეანეში და სამი კვირის განმავლობაში დააქროლებდა აქაფებულ ტალღებს შორის. მათი ამხანაგი შიმშილისაგან გარდაიცვალა. რაღაც საოცრების გამო ნავი არ ჩაიძირა და ბოლოს ისინი გამოაგდო ნახევრად ცოცხალ-მკვდარნი ვატეიის ნაპირზე, რომელიც ორასი მილით არის დაშორებული ტაიტიდან.

ამ სამმა ტაიტელმა თავისი თავგადასავალით გადასწყვიტა საგულისხმიერო მეცნიერული ამოცანა, რომელიც დიდი ხანია აწუხებდა ევროპელ მეცნიერებს—როგორ შეეძლოთ დასახლება წყნარ ოკეანეზე მობინადრე კუნძულებს, ასე ღრდი მანძილით დაშორებულთ ერთიმეორესაგან: გემები ხომ ვეღურებს არა ჰქონდათ, ნაგებობები კი პირველი შეხედვით მარტო ნაპირის გასწვრივ სეირნობისათვის იყო გამოსადეგარი. და, აი, კუკს აზრად მოუვიდა, რომ ზღვას შეეძლო ხალხთა გადაყვან-გადმოყვანა ერთი კუნძულიდან მეორეზე სრულიად შემთხვევით, ისე, როგორც ქარს ბალახისა და ხის თესლის.

კუკმა შესთავაზა მათ სამშობლოში წაყვანა, მაგრამ უარი უთხრეს. ვატეიაზე მათ უკვე ცოლები და შვილები ჰყავდათ და არ უნდოდათ მათი მიტოვება.

ომი ძალიან გახარებული იყო თავისი თანამემამულეების შეხვედრის გამო. მას ისინი დაჰყავდა გემზე და სხვათა შორის ცხვრებიც უჩვენა. თეთრკანიანების გასაკვირვად, ცხვრები მათ გიგანტურ ფრინველებად მიიღეს და კითხულობდნენ, თუ რატომ დააჭრეს მათ ფრთები.

მერე ომი წაიყვანეს ნაპირზე. მათთან ერთად წავიდა ლეიტენანტი გორი, რომელსაც კუნძულის დათვალიერება სურდა. ვატეიელები გარს შემოეხვიენ მას და თან სდევდნენ უზარმაზარ ბრბოდ, სადაც კი წავიდოდა. ომიმ დაინახა ორმო, რომელშიც კოკონი ენთო, გარშემოფარგლული, ავარვარებული ქვებით, და ძალიან შეშინდა. მან გადასწყვიტა, რომ კაციჭამიებს ჩაუვარდა ხელში და რომ მას ახლა შესწვავდნენ ამ ქვებზე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვატეიელებს კეთილი და თავაზიანი განზრახვა ჰქონდათ: მათ შეწვეს ქვებზე თევზები და აქამეს თავის სტუმრებს.

საღაშოყამს ლეიტენანტმა გორმა და ომიმ გადასწყვიტეს გემზე დაბრუნება, მაგრამ ველურებს არ უნდოდათ მათი გაშვება.

— იცხოვრეთ ჩვენთან, — ამბობდნენ ისინი. — თქვენ აქ ძალიან კარგად მოეწყობით.

გორმა სცადა ნავთან მიახლოვება, მაგრამ უკანიდან ტანისამოსში სტაცეს ხელი და ნაბიჯიც არ გადაადგმევინეს. მაშინ ომიმ მიუთითა ველურებს ზარბაზნებზე, რომლებიც გამოჩრილიყვნენ გემებიდან და სთქვა, რომ ყოველ ამ ზარბაზანს შეუძლია სულ მთლად მოსპოს ერთი გასროლით მთელი მათი კუნძული.

— თუკი ჩვენ ახლავე არ დაგბრუნდებით გემზე, დიადი ბელადი კუკი დაიწყებს სროლას.

ვატეიელებმა ხმამაღლა გადიხარხარეს: მათ გადასწყვიტეს, რომ ომი მათ შესაშინებლად სტყუოდა. მაშინ ომიმ ამოიღო



თავისი ორი ვაზნა, გამოყარა იქიდან პატარა ორმოში თოფის წამალი, მოაყარა ზევიდან ქვიშა, დაწნა ხმელი ბალახიდან პატრუქი და ცეცხლი მოუკიდა. ის აფეთქდა. ვატეიელები შიშისაგან გაყვითლდნენ.

— ეს მე მარტო ვიხუმრე, — სიცილით განაცხადა ომაიმ: — მაგრამ თუკი თქვენ არ გაგვიშვებთ...

იმ წამსვე გაუშვეს.

როცა დასტოვა ვატეია და აღმოაჩინა კიდევ რამდენიმე პატარა კუნძული, კუკმა მოუხვია დასავლეთით და გასცურა მეგობრობის კუნძულებისკენ. ტაიტზე წასვლა დროებით, ორი სამი თვიზე, გადადებულ იქნა.

მეგობრობის კუნძულების მცხოვრებლები დიდის აღტაცებით შეხვდნენ მათ. შემოდგომის მიწურული იყო (მაისი სამხრეთ ნახევარსფეროში ჩვენს ნოემბერს უდრის). კუნძულის მცხოვრებლებმა ის იყო მოჰკრიფეს ჭირნახული და ამიტომ ზეიმობდნენ. ყოველ კუნძულზე იყო ხმაური სიმღერებისა და დოლის დაკრისაგან. ამაზე უკეთესი დრო სავაჭროდ არ შეიძლებოდა. მკვიდრი მცხოვრებნი აძლევდნენ სანოვაგის დიდ გროვას ცულში ან უბრალო ფართალში. მეზღვაურებს ყველგან საზეიმოდ ეპატიყებოდნენ. და ისინიც, მოქანცულები ზღვაზე ერთფეროვანი ცხოვრებით, სიამოვნებით მხიარულობდნენ ველურებთან ერთად.

აი როგორ აღწერს კუკი კუნძულ გაპაიზე ზეიმობას:

„კუნძულელნი ფართე წრედ ჩამოსხდნენ ბალახზე. დაუკრეს დოლი, რომელიც გაკეთებული იყო ამოფუღრული ჯირკიდან, და შუაში გამოვიდა ახალგაზრდა მეომარი, შუბით შეიარაღებული. ხმამაღლა და თავმომწონედ დაიწყო მან საფარიკაოდ გამოძახება მსურველებისა. მსურველი იმ წამსვე აღმოჩნდა და დაიწყო ცხარე ბრძოლა. ისინი თავს ესხმოდნენ ერთიმეორეს მამლებსავით, სცემდნენ და იგერიებდნენ, ბრბო კი აქეზებდა მათ დაუსრულებელი ღპუილით. მაგრამ ჩვენ მაშინვე შევამჩნიეთ, რომ ეს მარტო თამაში იყო, უვნებელი ფარი-

კაობა, რომ ყოველი მათგანი ცდილობდა უეცრად არ დაეჭრა თავისი მოწინააღმდეგე. ბოლოს ერთმა ოდნავ შეახო თავისი შუბის წვერი მეორის გულს და იგი გამარჯვებულად სცნეს.

ისევ დაუკრეს დოღები და გაიმართა მუშტი-კრივი, რომელიც ძალიან წააგავს თავისი ხერხებით ინგლისურ ბოქსს. ერთი წყვილი შესცვალა მეორემ და, ბოლოს, ჩვენდა საკვირველად, წრეში შევიდა ორი სქელი დედაკაცი, რომლებიც განსაკვიფრებელი სიმარჯვითა და სიბრაზით ურტყამდნენ ერთმანეთს.

როდესაც ყველა შეჯიბრება მოთავდა, ველურებმა მთხოვეს მეჩვენებია თეთრების სიმარჯვე. მე გამოვიყვანე ნაპირზე ზღვის ქვეითი რაზმი და მთელი აღლუმი მოვაწყე, — სასულე ორკესტრითა, მარშირობითა და მიზანში სროლით. მკვიდრი მცხოვრებნი აღტაცებაში მოვიდნენ. განსაკუთრებით მოეწონათ ბრწყინავი სპილენძის საკრელოების შესახედაობა, თუმცა თვით მუსიკამ არავითარი შობეჭდილება არ დასტოვა მათზე და მხოლოდ აღტაცებაში მოჰყავდა უზარმაზარ დოღს.

ჩვენი აღლუმის შემდეგ მათ მაშინვე მოინდომეს ეჩვენებინათ ჩვენთვის თავისი უპირატესობა. ას ხუთი აჭრელებული მეომარი ჩადვა რიგში და დაიწყო სამხედრო სიარული, შორდებოდნენ ერთიერთმანეთს ხან წყვილ-წყვილად, ხან სამ-სამად და ისევ იყრიდნენ თავს ერთად. სიზუსტითა, სისწორითა და ერთნაირი მოძრაობებით სჯობდნენ ჩვენს ჯარისკაცებს. მათი ნაბიჯები სულ უფროდაუფრო ჩქარი ხდებოდა, ხელების ქნევის არეს აუართობდნენ და ბოლოს სამხედრო სიარული გეჟურ ცეკვად გარდაიქცა. ისინი ხელისგულებს ტიტველ ტანზე ირტყამდნენ, რაც ტაქტს იძლეოდა, და მთელი ბრბო, აღცაცებით ავისილი, ღმუოდა ერთფეროვანი ხმით. ეს საოცარი წარმოდგენა გაგრძელდა მანამ, სანამ ყველანი დაღლილ-დაქანცული არ დაეყარნენ მიწაზე.

მე გადავწყვიტე მესარგებლნა სიბნელით და გამერთო ველურები ფეიერვერკით. გემზე გაგზავნილმა კაცმა მოიტანა შუშხუნები და ღამის წყვლიადში აიტყორცნა სხვადასხვა ფერის ვარსკვლავები. ხეების კენწეროებზე ნელის რხევით გატურდენ ბრწყინავი ბირთვები და განაპირას აციალდენ ხმაურით ცეცხლოვანი ვარსკვლავები. ველურები განცვიფრებულნი, აღტაცებულნი და შეშინებულნი იყვნენ ამ საოცარი სანახაობით. ისინი უსიტყვოდ, სუნთქვის შეკავებით აღდევდნენ თვალს ყოველ შუშხუნას და მის შემდეგ ჩვენ ჩავთვალეს სასწაულმოქმედებად და ქაჯებად.

მშვენიერი ვახშმის შემდეგ, რომელიც ბანანებისა და პურის ხის ნაყოფებისაგან შესდგებოდა, ზეიმი გრძელდებოდა, უმთავრესად ცეკვავდნენ და მღეროდნენ. პირველ ყოვლისა ცეკვავდნენ ახალგაზრდა ქალები, რომლებსაც შავ თმებში თეთრი ყვავილები ჰქონდათ, შემდეგ დარბაისელი დედები ოჯახებისა, შემდეგ ყმაწვილკაცები, მოზრდილი მეომრები და მოხუცი ბელადები. ყველანი თანაბრად მკვირცხლები, მარჯვეები და დაულალავნი იყვნენ.

ღამე თბილი და ვარსკვლავიანი იყო. ჩვენ თავებზე ირხეოდნენ პალმების ფურცლები. წყნარი ოკეანე შხუოდა განაპირა ქვებით. დიდი ხანია, რაც ჩვენ ასე კარგად დრო არ გავგეიტარებია.

ზეიმი ვარიჟრაჟამდე გაგრძელდა და უკვე საკმაოდ გათენებული იყო, როცა ჩვენ მოქანცულები დავბრუნდით გემზე.

მეზღვაურები გადადიოდნენ კუნძულიდან კუნძულზე და ყველგან კარგად ხვდებოდნენ მათ. თეთრებს შეეძლოთ სიარული, სადაც კი მოესურვებოდათ, ყოველივეს გაკეთება, რაც კი მოუნდებოდათ.

კუნძულის მცხოვრებნი განსაკუთრებით შეეჩვიენ ომის, მთხოვდნენ, რომ იგი დარჩენილიყო სამუდამოდ მათ კუნძულებზე და დაჰპირდნენ, რომ მას ბელადად გამოაცხადებდნენ. მაგრამ ომაი სამშობლოსაკენ ისწრაფოდა.

კუკმა შეისყიდა მრავალი სამარაგო სანოვაგე, მაგრამ, საუბედუროდ, ვერსად ჰპოვა კარგი ხარისხის დასალევი წყალი: მეგობრობის კუნძულების ყველა მდინარეში წყალი მღვრიე და მლაშე იყო. ამიტომ მან ტაიტის ანკარა ნაკადულებს მიაშურა.

## თავი ოცდამეოთხე

### ომის დაბრუნება

ტაიტზე ომის განსაკუთრებული გულგრილობით შეხედენ. არავინ არ აქცევდა მას ყურადღებას. ო-ტუ მოვიდა თუ არა გემზე, ოდნავ მიესალმა. მარტო ომის დას, საწყალ ქალს, რომელიც დატვირთული იყო უამრავი ბავშვით, ცრემლი მოადგა თვალზე, როდესაც დაინახა თავისი ძმა, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიარა.

და ოსაიცი სულით დაეცა. იგი სულ სხვა შეხვედრას მოელოდა.

— ნუ გეწყინება, — ეუბნებოდა მას კუკი. — ჩვენ მათ ვაიძულებთ, რომ შენ პატივი გცენ, მათ ხომ ჯერ არ იციან, თუ რარიგ მდიდარი ხარ.

მეორე დღეს ისინი ორივე წავიდნენ ო-ტუსთან. ომაიმ დაუწყო მეფეს წინ თორმეტი ცული, რამდენიმე ბუმბულიანი ქუდი, რამდენიმე წითელი ახალუხი და ერთი ყუთი ლურსმნებით. ო-ტუ განცვიფრდა ასეთი გულუხვი საჩუქრის გამო, რომელიც მან თავისი ქვეშევრდომისაგან მიიღო.

— ეს მისთვის არაფერია, — სთქვა კუკმა. — ის ახლა ისე მდიდარია, რომ შეუძლია იყიდოს მთელი თქვენი ქვეყანა და მაინც არ გაღარიბდება.

და განწყობილებაც ომისადმი გამოიცვალა. მას თან დასდევნ მთელი ბრბოები და ლაქუცი თვალეში შესცქეროდნენ. მოწინავე დიდებულები თავს ხრიდნენ და, რაც ყველაზე უფრო არასასურველი იყო, მას უეცრად გაუჩნდა მთელი ჯგუ-

ფი მეგობრებისა, ვილაც ჭუჭყიანი ლაზღანდარებისაგან შემდგარი, რომლებიც კავათი ათრობდენ მას და გამოსთხოვდენ ცულებს, ფართლეულობას და სხვადასხვა სკოცრებას.

ომი მართლაც ძალიან მდიდარი იყო ინგლისში ყველა მას რაიმე უმნიშვნელო საგნით ასაჩუქრებდა ხოლმე. კუკმა მას მისცა მეურნეობაში გამოსადეგი აუარებელი ნივთი იმ იმედით, რომ იგი შეასწავლიდა ტაიტელებს, თუ როგორ მოეხმარათ ყოველივე ეს. მაგრამ ომი ფუქსავატი და გულჯბრყვილო ადამიანი იყო. მას სჯეროდა ლაქუცების და არაფერს იშურებდა მათთვის, ყოველ მათგანს იგი გულწრფელ მეგობრად სთვლიდა და მისი განძეულობა ელვის სისწრაფით დნებოდა.

კუკმა გადასწყვიტა გადაერჩინა ომი გაკოტრებისაგან. მან მოიხმო იგი საკანში და დიდხანს უმტკიცებდა, მაგრამ როცა იგრძნო, რომ იმისაგან არაფერი გამოვიდოდა, მან შესთავაზა მას, რომ იგი დასახლებულიყო პატარა კუნძულ გიუაგეინზე, რომელიც რამდენიმე მილის დაშორებით მდებარეობდა.

„იქ ცოტა ხალხია, — ჰფიქრობდა კუკი, — ველარავინ გასცარცვავს. ხალხიც იქ წყნარია, პროვინციალურია და არა ისეთი ქვემძრომი ეშმაკები, როგორც აქ“.

ომი დასთანხმდა. იგი სთვლიდა კუკს ყველაზე უბრძნეს ადამიანად ქვეყანაზე და შეეჩვია მის პატივისცემით მოსმენას და მისი სიტყვის შესრულებას.

ტაიტიდან წასვლის წინა ხანებში კუკი დასეირნობდა ნაპირზე ო-ტუსთან ერთად და უცებ შეეჯახა ისეთ რამეს, რამაც ყველა სასწაულზე უფრო გააკვირვა, ყველა იმათზეც კი, რომლებიც მას წყნარ ოკეანეზე თავისი მგზავრობის დროს არა ერთხელ შეხვედრია ხოლმე.

ეს იყო სახლი. ბამბუკის ტაიტური ქოხი კი არა, ფიცრული ევროპული სახლი შუშებჩასმული ოთხი ფანჯრით, კარებით, რომელიც რკინის მარყუჟებზე ეკიდა, კრამიტის სახურავი ჰქონდა და სუფთა, ახალთ-ახალი, ქვით ნაფენი დერეფა-

ნი. ის იმდენად ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, თითქოს ველურების კუნძულზე კი არ აშენებულყო, არამედ დიდი ევროპული ქალაქის განაპირად.

კუკმა შეაღო კარები და შიგ შევიდა.

არაგინ. სიცარიელეა. ხის ტახტი უღებოდ, მასზე ძველი ქუდი, სპილენძის ჩაიდანი, კუთხეში კი დიდი ჯვარი.

კუკი მივიდა ჯვართან. ჰორიზონტალურ ფიცარზე ეწერა ლათინურად:

„Christus vincit“ — ქრისტე იმარჯვებს.

ვერტიკალურზე კი, ზევიდან ქვევით:

„Carolus III Imperat, 1774“ — კარლოს მე-III განაგებს, 1774.

— ესპანიელები! — წამოიძახა კუკმა. — იეზუიტები! თქვენ დაიღუპეთ! ისინი დაგწყვეტენ კურდღლის ბაჭიებსავით! ანდა, რაც კიდევ უარესია, გაგყიდიან მონებად პერუს სპილენძის მალაროებში.

გამოჰკითხა თუ არა ო-ტუს, კუკმა გამოარკვია, რომ ესპანიური გემი ეწვია ტაიტს რამდენიმე თვის შემდეგ კუკის უკანასკნელად აქ ყოფნის დროს. უფროსობდა ამ გემზე კაპიტანი ორადა. ტაიტელებმა ესპანიელები ალერსიანად მიიღეს, რადგან კუკმა გადააჩვია ისინი ევროპელთადმი შიშს. ტყის მასალა სახლისათვის მათ თან გჳიტანეს. ამ სახლში დასახლებულა თავიდან ფეხებამდე შავებით მოსილი მელოტი ადამიანი, რომელიც რაღაცას ეუბნებოდა ტაიტელებს. ხელში ჯვარს აქნევდა, მაგრამ მას ვერას მიუხვდენ. გემიც ჩქარა წავიდა და თან წაიყვანა შავებით მოსილი კაციც.

— ისინი, მგონა, კეთილი ხალხი იყო, — შენიშნა ო-ტუმ. — მათ მე მაჩუქეს დიდი ნაქერი ლურჯი ფართლისა.

კუკმა არ დაუწყო მას წინააღმდეგის მტკიცება. მან იცოდა, რომ თუკი ტაიტელები წინააღმდეგობადენ ესპანიელებს, უკანასკნელნი არ დაინდობდენ არც ქალებსა და არც ბავშვებს. დე, ამ კეთილმა ხალხმა უმჯობესია ჩასთვალოს ესპანიელები

თავის მეგობრებად. მაგრამ ჯვრის მეორე მხარეს მან ბრძანა ამოეჭრათ:

„კაპიტანი კუკი, 1769, 73, 74, 77“.

გამოსაღმებისას კუკმა აჩუქა ო-ტუს ერთი ყოჩი და სამი ცხვარი. ო-ტუს ძალიან გაუხარდა, ბრძანა. აეშენებიათ მათთვის განსაკუთრებული ბინა, თავისი ხელით აქმევდა თივას და თვითონვე სწველიდა. კუკი გრძნობდა, რომ მისი ცხვრები აქ აღარ დაიღუპებოდნენ.

1777 წლის 29 სექტემბერს „გულადობა“ და „აღმოჩენა“ მოიხსნა ლუზიდან და გასცურა კუნძულ გიუაგეინესაკენ. ამ კუნძულის მეფე იყო ო-ტუს ვასალი და კაპიტანი კუკი ძალიან აღერსიანად მიიღო, ომამი მიართვა მას ძვირფასი საჩუქარი და მას იმდენად გაუხარდა, რომ გადაჰკოცნა კიდევაც მდიდარი ტაიტელი. კუკმა განუცხადა, რომ ომამის სამუდამოდ გიუაგეინზე დარჩენა უნდოდა და სთხოვა ცალკე მიწა გამოეყო მისთვის. ომამის მთელი მაჰული მიართვეს, და კუკმა უბრძანა თავის მეზღვაურებს აეშენებიათ მისთვის დიდი სახლი სამი ოთახით. სახლის გვერდზე აღმართეს გომური, რადგან კუკმა გადასწყვიტა ეჩუქებია ომამისათვის ყველა დანარჩენი ცხვარი— მან იცოდა, რომ ომამი ბუნებით კარგი იყო და ცხვრები მის ხელში გამრავლდებოდნენ, თუკი იგი არ გაასაჩუქრებდა მათ. ზღვის გაღმორ განძეულთა შესანახად მან მისცა ომამის სამი მუხის სკივრი კლიტეებით. ომამის ჰქონდა თოფი, მაგრამ ისე შეეხვეწა კუკს, რომ კიდევ ეჩუქებია მისთვის რაიმე იარაღი, რომ კუკმა მისცა ორი დამბაჩა და ერთი ხმალი. მასთან ერთად უნდა დარჩენილიყო ორი ახალგაზრდა ზელანდიელი ბიჭი, რომლებსაც იგი მამობრივი სიყვარულით ეპყრობოდა. ომამი ძალიან კმაყოფილი იყო და დასეირნობდა თავის ადგილებში, ვით ოსმალოს სულთანნი.

მაგრამ, აი, ბოლოს დადგა განშორების დღე, და ომამი პატარა ბავშვით ატირდა. ძალით მოაშორეს იგი კაპიტანს, არაფრის გულისთვის არ უნდოდა თეთრი მეგობრის მიტოვე-

ბა. ახალშელანდიელებიც ქვიანებდენ, გემებს უფრო გულ-  
შეწუხებულად შორდებოდენ, ვიდრე თავის სამშობლოს.

კუკმა მოიხმო გიუაგენეს მეფე.

— შე ჩქარა დავბრუნდები, — უთხრა მან მას. — და თუკი  
გავიგებ, რომ ომაის რაიმე ცუდი შეემთხვა, თქვენ კუნძულზე  
ქვას ქვაზე არ დავტოვებ, სულ ნაცარტუტად ვაქცევ.

## თავი ოცდამესამე

### გავაი

გავიდა უკვე ჩვიდმეტი თვე, რაც კუკმა დასტოვა ინგ-  
ლისა, და მის ექსპედიციას მთავარი მიზნისათვის ჯერჯერო-  
ბით ხელიც კი არ უხლია, ჩრდილო-დასავლეთის გზის აღმო-  
ჩენა არც კი დაუწყია. უნდა ეჩქარათ. გემები მოიხსნენ ლუ-  
ზიდან და წავიდენ პირდაპირ ჩრდილოეთით. 22 დეკემბერს  
გადაჭრეს ექვატორი.

კუკი ჯერ არასდროს არ ყოფილა წყნარი ოკეანეს  
ჩრდილოეთ მხარეს. მან იცოდა, რომ ეს სრულიად გამოუკვლე-  
ვი მხარე იყო. იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ მიდიოდა  
იქით რომელიმე ავაზაკთა ესპანიური გემი სახელდახელო იო-  
ლი საქმისათვის, მაგრამ ხელცარიელი ბრუნდებოდა ხოლმე  
და ვერაფერს ჰპოულობდა იქ, გარდა უზარმაზარი ზღვისა.

ამიტომ კუკი განცვიფრებული იყო, როდესაც დაინახა  
მთელი ჯაჭვი დიდი მთიანი კუნძულებისა, რომლებიც არც  
ერთ რუკაზე არ იყო აღნიშნული. თითქმის ყოველი კუნძული  
ორჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე ტაიტი. მთებაც უფრო  
მაღლები და კლდოვანები ჩანდენ, მაგრამ ყველაფრით გარდა  
ამისა, ეს არქიპელაგი ძალიან წააგავდა ტაიტის იმგვარივე  
ფერადთა სიკრულე, იმგვარივე ხუჭუჭა, ჩრდილით აღსავსე  
ტყეები, იმგვარივე ნესტიანი მდელოები უხვად ამოსული მსუ-  
ქანი ბალახით, ისეთივე სიმრავლე ჩიტებისა, ყვავილებისა და  
პეპელებისა. და როცა კი კუკმა ბრძანა ლუზის ჩაშვება და ნა-



პირზე გადმოსვლა, მან დაინახა, რომ ხალხიც აქ თითქმის იმ-  
გვარივე იყო.

ისინი ლაპარაკობდნენ იმავე ენაზე, ისეთივე ყავისფერი  
ტანი ჰქონდათ, ისეთივე საცხოვრებლები, ისევე იცვამდნენ,  
მაგრამ კუკმა უცებ შეამჩნია, რომ ისინი უფრო კულტუროს-  
ნები, მდიდარი და განვითარებულნი იყვნენ, ვიდრე ტაიტე-  
ლები.

ისინი გაცილებით უფრო განცვიფრდნენ გემების მოსვლის  
გამო, ვიდრე ტაიტელები. და განცვიფრების ნიჭი კი ნამდვი-  
ლად მოწმობს მაღალ განვითარებას. რაც უფრო ველურია  
ადამიანი, რაც უფრო სუსტია ბუნების წინააღმდეგ ბრძოლაში,  
მით ნაკლებად ცვიფრდება იგი. ავსტრალიელებს და ტასმა-  
ნიელებს არაფერი არ უკვირთ. და ამ კუნძულების მცხოვრებ-  
ლები კი გამოიქცნენ ნაპირზე და ხელების ქნევით ხმამაღლა  
ბჭობდნენ უცხოელთა მოსვლის შესახებ. როცა გემზე მოხვდნენ,  
ისინი ცნობისმოყვარეობით იძლეოდნენ შეკითხვებს ყოველი  
საგნის დანიშნულების შესახებ.

როცა ვაჭრობას მიჰყვეს ხელი, ტაიტელებზე უკეთ იცო-  
დნენ გაყიდული ყოველი ნივთის ფასი. რკინას ისინი კარგად  
იცნობდნენ, ესმოდათ მისი სარგებლობა და ძალიან ძვირადაც  
ყიდულობდნენ. ერთი ცულში შეიძლებოდა მთელი ნავი ბანა-  
ნების ყიდვა. მაგრამ შუშის მძივებს არაფრად ავლებდნენ და  
არც უნდოდათ მათი აღება.

ლორები უფრო ბევრი ჰყავდათ, ვიდრე ტაიტელებს,  
და თვით ლორებიც დიდი და კარგი ნაჭმევი იყო. ბანანები  
და კოკოსები იზრდებოდნენ უზარმაზარ, კარგად დამუშავებულ  
პლანტაციებზე და უმდიდრეს ჭირნახულს იძლეოდნენ.

სახელმწიფოებრივი წესწყობილება, როგორც კი შეეძლო  
კუკს შეეჩნევა, აქ უფრო რთული იყო, ვიდრე ტაიტზე. მას  
მაშინვე გარს შემოეხვიენ მაღალი წოდების ბელადები, ხალხი  
კი შორიახლო იდგა, ვერ ბედავდა თავის მეფესთან მიახლო-  
ვებას.

მკვიდრი მცხოვრებლები კუკს ძალიან კარგად შეხვდნენ, და მას შეეძლო თავისუფლად ხეტიალი, სადაც კი მოესურვებოდა. სეირნობის დროს ის წააწყდა მშვენიერ დასალევ ტბას, იმდენად დიდს, რომ მეორე ნაპირი არ ჩანდა.

ერთი რამ არ მოსწონდა კაპიტანს: ამ კუნძულის მცხოვრებნი ქურდები იყვნენ და უსინდისოდ ჰპარავდნენ ინგლისელებს ყველაფერს, რასაც კი მოახელებდნენ. მაგრამ მას არ უნდოდა ამპირველ ხანებშივე დამდურებოდა კუნძულებს, და ამიტომ თითქოს ვერ ამჩნევდა მათ სასირცხვილო ქცევას.

მოგზაურებს ესმოდათ, რომ ეს ერთადერთი ყველაზე დიდი და ღირსშესანიშნავი აღმოჩენა იყო. აქ იყო ფართე ასპარეზი ყოველგვარი კვლევა-ძიებისათვის. მაგრამ ისინი იჩქაროდნენ ამერიკის ნაპირებისაკენ, მათ უნდა მოენახათ ჩრდილოდასავლეთის სრუტე. ზაფხული მოკლეა და არ შეიძლება არც ერთი დღის გაცდენა.

1778 წლის 3 თებერვალს ისინი გავიდნენ ზღვაში და გადასწყვიტეს კიდევ ამ მხარეში დაბრუნება, თუკი საშუალება მიეცემოდათ. წასვლის ხანს კუკმა გაიხსენა, რასაც დაჰპირდა გრაფ სენდვიჩს, და ამ არქიპელაგს სედვიჩის კუნძულები დაარქვა.

„დღე, ასე უწოდონ, — ჰფიქრობდა იგი. — ამისაგან არავის არც დასცხება და არც შესცივდება“.

მაგრამ თავმომწონე გრაფს არ ხვდა წილად მარადი სახელის მოხვეჭა. მკვიდრი მცხოვრებლები უძველესი დროიდან უძახდნენ კუნძულებს გავაის, და ეს სახელი სამუდამოდ შერჩათ მათ.

### თავი ოცდამეექვსე ამერიკა

ამერიკის ნაპირები მარტის დასაწყისში დაინახეს, ჩრ. განედის 44°. აქ გაზაფხული მხოლოდ ახლა დაწყებულიყო, და ფიქვნარ ტყეებში, სადაც არ აღწევდნენ მზის სხივები, ჯერ

კიდევ თოვლი იდვა. მეზღვაურები, რომლებიც სიცხეს შეჩვეული იყვნენ დიდხანს ტროპიკებში ყოფნით, ძალიან იტანჯებოდნენ სიცივესა, წვიმასა და გამყინავ, ნესტიან ქარში. კუკს უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა გადმოსულიყო ნაპირზე, მაგრამ ვერსად პოულობდა სათანადო კარგ ადგილს შეჩერებისათვის და მთელი კვირის განმავლობაში მიდიოდა ჩრდილოეთისაკენ. ნაპირს კი მხოლოდ 2 მილზე უახლოვდებოდა.

ერთხელ, დილით ვახტაზე მდგომმა ოფიცერმა დაიყვირა: — სრუტე! სრუტე! მე პირველმა დავინახე იგი!

კუკი გამოვარდა ერდოზე. გული დელვისაგან ჩქარა უცემდა. ნუთუ მათ უცებ ბედად ხვდათ სანატრელი სრუტის პოვნა, რომელიც აერთებდა ორ ოკეანეს? მართლაც, ნაპირი ორდებოდა და ვიწრო ზოლი წყლისა მიემართებოდა ხმელეთში.

ორივე გემი ერთი მეორეს შემდეგ შევიდა ამ სრუტეში და თავი ამოჰყვეს ფართე ნავსადგურში, რომელსაც ყოველმხრივ ხმელეთი ერტყა. შემდეგი გზა გადალობილი იყო სრუტის მაგივრად ყურე იპოვეს.

მაგრამ ესეც კარგი იყო. კუკმა გადასწყვიტა შეჩერებულიყო, დაესვენებიათ და შეშა და წყალი მოემარაგებიათ.

ნაპირზე ხალხი ცხოვრობდა. ტყიდან გამოვიდნენ ადამიანები, რომლებსაც აბურძგენილი ბეწვეულობა ეცვათ. თავზე ქუდების მაგივრად ეხურათ მოჭრილი მგლის თავები, ასე რომ ყოველ მათგანს თითქოს ორი სახე ჰქონდა: ერთი — მგლის, მეორე — ადამიანის. და ძნელი იყო იმის თქმა, თუ რომელიც სახე უფრო ველური იყო.

სპილენძისფერ-წითელი კანის მეოხებით კუკმა მაშინვე იცნო ინდოელები, მაშინდელ დროში უკვე კარგად ცნობილნი თეთრებისთვის. მაგრამ ესენი ჯერ კიდევ სრულიად ველურნი იყვნენ, რომლებსაც სრულებით არ შეჰხებიათ ცივილიზაცია. ზურგზე გადადებული ჰქონდათ გრძელი, ვიწრო შვილდები, მარცხენა მხარეს ჩამოკიდებული ჰქონდათ კაპარტები, რომლებიც შეკერილი იყო ციყვებისა და კურდღლების

ტყავებისაგან. კაპარჭებიდან ამოჩრილიყო ისრები კაჟის წვე-  
როებით. ხელში ეჭირათ ქვის ცულები — ტომბაგავეები, რო-  
მელთა ხის ტარზე გამოჭრილი ჰქონდათ პირდაღებული დათ-  
ვის სახეები.

თეთრების მოსვლამ ინდოელები არ გააკვირვა. მათ უკვე  
გაეგოთ მეზობელი ტომებიდან ამ ყოვლად შემძლე მდიდარი  
ხალხის შესახებ. ერთმა ინდოელთაგანმა უჩვენა კუქს რკინის  
ცული და ნიშნებით აუხსნა, რომ სურვილი ჰქონდა ეყიდნა კი-  
დევე ამგვარი ცულები, ან რკინის სხვაგვარი ნივთები. რად-  
გან ევროპელები ამ ნაპირებთან არასოდეს მანამდე არ ყოფი-  
ლან, ის-ლა უნდა ეფიქრათ, რომ რკინას ველურები იცნობ-  
დენ ალბათ რომელიმე ტომების მეოხებით, რომლებიც აწარ-  
მოებდენ ვაჭრობას კანადასთან ან მექსიკასთან.

რკინის გარდა მათ არაფრის ყიდვა არა სწადდათ, სამაგიე-  
როდ რამდენიმე ლურსმანში აძლევდენ კატისა და მელიის ბეწ-  
ვებს, რომლებიც ძალიან ძვირად ფასობდენ ინგლისში. ლურ-  
სმნები და ცულები გემებზე სულ გამოეღიათ, და კუქმა დაიწ-  
ყო ძველი ვედროებისა და დაჟანგებული ჯაჭვების მიყიდვა  
ველურებისათვის.

დოქტორი ანდერსონი შეუდგა ველურთა ენის შესწავ-  
ლას, მაგრამ ეს უკვე ტყუილად დროს დაკარგვა იყო. უმრავ-  
ლესობა მათი სიტყვებისა თავებოდა უცნაურ მოტყლაშუნე-  
ხმით ცტკლ, რის გამოთქმაც ევროპელთათვის შეუძლებელი  
იყო. მაგალითად, მზეს უძახდენ — ოპულსცტკლს, სიკვდილს —  
კაჩიშცტკლს, ქვას — ტიშშიცტკლ, ქალას — კუომიცტკლ, და  
ასე თითქმის ყოველი სიტყვა. ყურეს, რომელშიაც „სითამა-  
მე“ და „აღმოჩენა“ იდგა, ისინი უძახოდენ ნუტკლს, მაგრამ  
ინგლისელებმა სიადვილისათვის ამ ყურეს ნუტკას ყურე-  
დაარქვეს და ასევე აღნიშნეს რუკაზე.

კუქი დიდხანს არ რჩებოდა ერთ ადგილას, იგი ჩქარობ-  
და უფრო შორით წასვლას ჩრდილოეთით, სრუტის საძებნად.  
პირველ მაისს მოიხსნენ ლუზიდან და გამოვიდენ ნუტკას ყუ-

რედან. ისევ მარჯვენა ნაპირის გასწვრივ გაიჭიმენ ერთფეროვანი ტყიანი ნაპირები. დღით და ღამით თვალს ადევნებდენ მეზღვაურები ხმელეთს, მაგრამ ვერსად ვერ ხედავდენ სრუტის ნატამალსაც კი. კუკი სწუხდა იმიტომ, რომ ნაპირი იმის მაგიერ, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთით მოხრილიყო, იხრებოდა ჩრდილო-დასავლეთით, სულ უფრო და უფრო იხრდებოდა ხმელეთის სივრცე და აშორებდა ატლანტიკურ ოკეანეს, სულ უფრო კლებულობდა იმედი სრუტის არსებობისა.

ზაფხული ახლოვდებოდა. მაგრამ ისინი მიცურავდენ ჩრდილოეთით, გარბოდენ სითბოსაგან, და მათ ყველგან თან სდევდა ცივი წვიმიანი ამინდი ადრეული გაზაფხულისა. მეზღვაურთა შორის გახშირდა გაციება და ციება.

ინისის პირველ რიცხვებში, უკვე ჩრ. განედის 59<sup>0</sup> განაპირა ზოლში შეამჩნიეს ახალი სრუტე. გაისმა ყვირილი, რომ ატლანტიკურ ოკეანეში გასასვლელი აღმოჩნდა. ახლა კი ეს უფრო დასაჯერებელ მოვლენას წარმოადგენდა. სრუტე იმდენად ფართე იყო, რომ შუაში ცურვის დროს კუკი ძლივს-ღა არჩევდა ნაპირებს. მთელი დღე ჯემები მიდიოდენ აღმოსავლეთით და არც ერთ დაბრკოლებას არ შეჰხვებდრიან. კუკი წარბებს იქმუხნიდა, თავს იკატუნებდა, ამბობდა, რომ სიხარული ვითომდა ნაადრევი იყო, მაგრამ თვითონ კი გულში ზეიმობდა და მღეროდა. ნუთუ ეს ის ჩრდილო-დასავლეთის სრუტე იყო, რომელსაც ორასი წლის განმავლობაში ეძებდენ? იგი არ უჯერიდა თავის ბედნიერებას.

მეორე დღის დილაზე ნაპირები შევიწროვდენ. რაც უფრო შორს მიცურავდენ, მით უფრო ვიწროვდებოდა სრუტე. გრძელი ჩრდილები ფიჭვებისა თითქმის გემს აღწევდენ. მეზღვაურები მკაფიოდ ხედავდენ ინდოელებს, რომლებიც დაეხეტებოდენ ტყეებში და ნუტკას ყურეს მცხოვრებლებს წააგავდენ, მხოლოდ უფრო ველური შესახედაობისა იყვნენ.

შუადღეს ერდოს რეცხდენ. მეზღვაურებმა გადაუშვეს ქიმი იქით ვედრო და წყალი ამოიღეს. მისი სიწმინდით განცვიფრებულებმა, შესვეს და გაშეშდენ.

— დასალევი წყალია! — დაიძახეს მათ.

კუკი მივარდა ვედროს, მოსვა და გულს სევდა მოაწვა. იგი ყველაფერს შიხვდა: ისინი დიდი მდინარის შესართავში იმყოფებოდნენ. რაც უფრო სცილდებოდნენ ისინი ოკეანეს, მით უფრო შეუმჩნევლად გარდაიქცა წყალი მდინარედ. სრუტეზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

კუკმა უკან დაბრუნება ბრძანა.

— ოფიცრებმა გადაწყვიტეთ ამ მდინარესათვის დაგვერქმია თქვენი სახელი. ჩვენ ასევე ჩავწერეთ უკვე რუკაზე: „კუკის მდინარე“.

კუკმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია და წავიდა თავის საკანში. ის ღრმად დანალვლიანებული იყო.

მეორე დღეს ისინი გავიდნენ ოკეანეში. იქით ამერიკის ნაპირი უცებ უხვევდა დასავლეთისაკენ. ისინი განაგრძობდნენ ცურვას ტყითა და კლდეებით მოსილი ნაპირების გასწვრივ და უკვე აღარ ჰქონდათ სრუტის პოვნის იმედი.

## თავი ოცდამეფიცი

### მოულოდნელი შეხვედრა.

20 ივნისს „აღმოჩენიდან“ მოცემულ იქნა შტანგი, რომ კაპიტან კლარკს სურს ლაპარაკი კაპიტან კუკთან. კუკი აღელვდა და იმ წამსვე გაგზავნა „აღმოჩენაზე“ ნავი. ნახევარი საათის შემდეგ იგი დაბრუნდა და მოყვანა თვითონ კლარკი.

— რა მოხდა? — იკითხა კუკმა.

— ჩვენ წერილი მივიღეთ.

— რაა?

— წერილი დაწერილია შავი ევროპული მეღვინით, ჩვრე-ბისაგან გაკეთებულ ევროპულ ქალაღვზე.

კუკი შეშინდა. გაგონილა ასეთი რამ? — მიიღო წერილი აღმოუჩენელ ზღვებში, ამერიკასა და აზიას შორის, ველურთა კუნძულებს შორის, რომლებიც არ იყო აღნიშნული არც ერთ

ევროპულ რუკაზე!! უკვე ორმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მათ მიატოვეს ის ადგილები, რომლებშიაც იყო განათლებული ხალხი.

— აი იგი, — სთქვა კაპიტანმა კლარკმა და დაავლო მაგიდაზე ქალაქის სქელი ფურცელი, რომელიც მწერლის მსხვილი ხელით, კუდებითა და ჩუქურთმებით იყო დაწერილი.

— ვინ გადმოგცათ?

— ერთი საათის წინ ჩვენ დავინახეთ ჩვენსკენ მომავალი ნავი. იქ იჯდა ოთხი ადამიანი, თავიდან ფეხებამდე შეხვეული ნადირის ტყავში. ისინი ჩვენ სალამს გვაძლევდნენ, გესმით, სალამს გვაძლევდნენ, გვაძლევდნენ სალამს თავის დაკვრით, როგორც ევროპელები. თქვენ ხომ იცით, რომ ველურები ერთიერთმანეთს შეხვედრისას არასოდეს არ მიესალმებიან ხოლმე. ეს მხოლოდ ევროპელთა ჩვეულებაა.

— კანი რა ფერის ჰქონდათ?

— მართალი გითხრათ, ვერ გავარჩიე. სახეები უხვად მოსილი აქვთ ბალნით.

— მერე რა ჰქენით?

— გადავუგდე თოკი, მათ მიაბეს ზედ პატარა სკივრი და ამ სკივრში აღმოჩნდა წერილი. მათ ისევ თავი დამიკრეს და გამშორდნენ.

— თქვენ იცით რა წერილია ეს?

— არა. იგი ჩემთვის უცხო ენაზეა დაწერილი.

კუკი დააშტერდა წერილს და დაუწყო გულდასმით თვლიერება მის სწორ, მკაფიო ხელნაწერს. ბევრი ასო ნაცნობი და გასაგები მოეჩვენა, მაგრამ დანარჩენები წააგავდნენ რალაც უცნაურ ნაჯღაბნს. კუკმა მარტო ორი თარიღი გაარჩია: — 1776 — წერილის დასაწყისში და 1778 — შუაში.

— წერილი დაწერილია რუსულად, — სთქვა კუკმა. — ეჭვი არ არის...

— თქვენ გინდათ სთქვათ... — ის ის იყო დაიწყო კაპიტანმა კლარკმა.

— დიად, მე მინდა ვთქვა, რომ ამ ადგილებს სწვევიან რუსები. დასავლეთი ნაპირი ჩრდილო ამერიკისა, იმის მაგივრად რომ აღმოსავლეთით უხვევდეს, ატლანტიკური ოკეანესკენ, როგორც ეგონათ გეოგრაფებს, ნამდვილად დასავლეთით უხვევს. აზია და ამერიკა აქ თითქმის ერთდებიან.

ეს საოცარი აღმოჩენა იყო. კუკმა დაიწყო თანდათან იმის მიხვედრა, რომ ჩრდილო-დასავლეთის სრუტე არ არსებობდა. საამირბარომ ტყუილა-უბრალოდ გამოგზავნა ის აქეთკენ. ჩრდილოეთით ამერიკის მატერიკი გაცილებით უფრო ფართე იყო, ვიდრე სადმე სხვაგან. განა შეიძლებოდა იმედის დამყარება იმაზე, რომ ეს უსაზღვრო სიგანე გადაჭრილი ყოფილიყო რაიმე სრუტით?

ამას გარდა სწყდებოდა მეორე საკითხიც, რომელსაც წმინდა მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა, საკითხი, თუ როგორ დასახლდა ამერიკა. მეცნიერთა უმრავლესობა მაშინ ამტკიცებდა, რომ ამერიკელი ინდოელები შექმნილნი იყვნენ ბუნებით სრულიად ცალკე დანარჩენი კაცობრიობისაგან და რომ არასდროს არ ჰქონდათ მათ კავშირი ძველი ქვეყნის მცხოვრებლებთან. „განა შეიძლება იმის წარმოდგენა, — ამბობდენ ისინი, — რომ საცოდავ ველურებს თავისი პიროვნებით ამერიკიდან ატლანტიკური ან წყნარი ოკეანე გადაელახათ?“ ახლა ეს თეორია იმსხვრეოდა. ყველაზე უფრო გარკვევით ის იყო წარმოსადგენი, რომ ინდოელები გადასახლდენ ამერიკაში ასე ახლო მდებარე აზიიდან, ვიდრე იმის წარმოდგენა, რომ ადამიანი თავისთავად შეიქმნა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნახევარსფეროში.

კუკმა თავი ვაანება ამერიკის ნაპირებს, რომლებიც მას ველარაფერს მისცემდენ, და მოტრიალდა პირდაპირ დასავლეთისკენ. მან გადასწყვიტა ზუსტად გაეზომა მანძილი ორ დიად მატერიკს შორის.

სქელი, შავი ბურუსი ჰვარავდა შავ ზღვისქვეშა ქვებს და პატარა კუნძულებს, ხშირად რომ ხვდებოდა მათ. ძნელი იყო



კურვა ამ ჩრდილოეთის საშინელ ზღვაში. სულ ახალ-ახალი ზითათი უღარაჯებდა გემს. ძალაუნებურად უხდებოდათ ლაფირობა, ნამდვილ გზას ასცდებოდენ ხოლმე და ხან ჩრდილოეთისაკენ, ხან სამხრეთისაკენ უხვევდენ, ხანდახან კი ისევ უკან ბრუნდებოდენ.

გემებზე გაციება მძვინვარებდა. კაპიტანი კლარკი სისხლს ახველებდა. ბუნებისმეტყველი ანდერსონი ლოგინად ჩავარდა და მისი მდგომარეობა უიმედო იყო. შ აგვისტოს ის გარდაიცვალა. მისი სიკვდილი დიდი ზიანი იყო ექსპედიციისათვის. ეს მზიარული შემგროვებელი პეპლებისა და მხეტთა ან ფრინველთა ფიტულების დაშშადებელი, რომელიც აცინებდა მეზღვაურებს, როდესაც ალტაცებაში მოდიოდა ევროპელთათვის უკნობი ფურცლის აღმოჩენით, დიადი მცოდნე იყო ზოოლოგიისა და ბოტანიკისა. პირველ აღმოჩენილ კუნძულს მის სიკვდილს შემდეგ კაპიტანმა კუკმა დოქტორ ანდერსონის კუნძული დაარქვა.

გემი აზიისაკენ მიკურავდა. მაგრამ ამერიკის ნაპირმა უფრო მრუდედ შეუხვია დასავლეთით და ჩვენი მეზღვაურები ვერანაირად ვერ გაშორდენ მას. მხოლოდ 9 აგვისტოს აღარ ახლდა ის მათ, უკან ჩამორჩა, გრძელ აკარად შეჭრილი ზღვაში. კუკმა ბრძანა ყველა ზარბაზანი ერთად გაესროლათ: მის მიერ იყო აღმოჩენილი ყველაზე დასავლეთი კიდური ამერიკისა.

მეორე დღეს კი დასავლეთით შეამჩნიეს ახალი მიწა.

— ვაშა! აზია! — დაიყვირეს მეზღვაურებმა.

კუკი ალტაცებაში იყო. აზია აღმოჩნდა სულ მხოლოდ ოცდაათი მილის მანძილზე ამერიკიდან. და მეცნიერები მანამდე კი ამტკიცებდენ, რომ მანძილი ორ მატერიკს შორის ათასი მილი მაინც უნდა ყოფილიყო.

აზიის ნაპირზე მათ შეამჩნიეს თორმეტი კარავი, რომლებიც გაკეთებული იყო სარებისა და ტყავებისაგან. წყლის ახლო იდგა ხალხი და ბრაზმორეულად ისროდა ქვებს გემების-

კენ. ესენი იყვნენ ჩუკჩები. სასაცილო იყვნენ ეს საცოდავი, უსუსური ველურები, რომლებიც ცდილობდნენ საბრძოლველად გამოეწვიათ ორმოცხარბაზნიანი ფრევატები. კუკმა, რომ თავიდან აეცდინა უმიზნო სისხლისღვრა, გადასწყვიტა ნაპირზე არ ჩამოსულიყო და გატრიალდა ჩრდილოეთისკენ. მას უნდოდა რაც შეიძლება შორს წასულიყო ბურუსიან, ცივ ზღვაში, რომელიც ჰყოფდა ორ მატერიკს.

„იქნებ ამ გზით მივალწევ პოლიუსს?“ — ოცნებობდა იგი და ემზადებოდა თამამი ბრძოლისათვის პოლიარული ყინვების წინააღმდეგ.

მაგრამ ჩრ. განედის მე-70<sup>0</sup> მას გზა გადაუღობა დაუბოლოვებელმა ყინულოვანმა უდაბნომ. რამდენჯერმე გადასცურა მან აზიიდან ამერიკაში და უკან, ეძებდა გასავალს ამ აზიდულ ყინულებს შორის, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. მბრწყინავი ყინულები ჰფარავდნენ მთელ ჩრდილო პორიზონტს. მათზე იწვევ უზარმაზარი ლომთევზები, თბებოდნენ მზეზე და ზევით აღერდნენ უღვაშა ეშვებიან დინგებს, რომ უკეთ ეცქირნათ მიჰავალი გემებისათვის.

შემოდგომა ახლოვდებოდა და კუკი უკან, სამხრეთისაკენ გაბრუნდა. ზამთრის გატარება საჭირო იყო თბილ მხარეებში. კუკმა გადასწყვიტა მომავალ წელს ისევ დაბრუნებულიყო აქ, რომ ეცადა რაც შეიძლება უფრო შორს წასულიყო ჩრდილოეთით და საბოლოოდ უარეყო ჩრდილო-დასავლეთის სრუტის არსებობა.

მაღე ისინი წააწყდნენ დიდ კუნძულს მშვენიერი ნავსადგურით. კუნძულის მცხოვრებლები ესკიმოსები აღმოჩნდნენ. მათ სთქვეს, რომ კუნძულს უნალაშკა ერქვა და სიხარულით მიჰყიდდნენ ხოლმე მოგზაურებს ორაგულის ახალ ხორცს.

8 ოქტომბერს „სითამამეზე“ გაჩნდა ხნიერი ესკიმოსი და გადასცა კაპიტან კუკს წერილი, დაწერილი უცხო ენაზე, და შავი პური, რომლის შუაგულში შემწვარი ორაგულის ხორცი იყო.

ამასთანავე იგი თავს დაბლა ხრიდა და რამდენჯერმე გაიმეორა გაუგებარ ენაზე: „PIROG“.

— ვინ გამოგზავნა ჩვენთან? — ჰკითხა კუკმა.

— რუსს, — უპასუხა ესკიმოსმა, როცა მიხვდა, თუ რას ჰკითხავდნ მას.

კუკმა გაგზავნა კაპრალი ლედიარდი. დააბარა მას მოენახა რუსები და განეცხადებია მათთვის, რომ ორივე ფრევატი ეკუთვნოდა ინგლისელებს, მათ მოკავშირეებს.

ორი დღის შემდეგ დაბრუნდა ლედიარდი სამი უცხო კაცის თანხლებით. ესენი იყვნენ რუსები.

ყველაზე უფროსი იყო იაკობ ივანეს ძე საპოჟნიკოვი. იგი იყო კაპიტანი იმ გემისა, რომელიც კუნძულის მეორე ნაპირთან იდგა. ორი დანარჩენი იყვნენ მისი ხელქვეითნი — ოფიცრები გერასიმე გრიგოლის ძე იზმაილოვი და მეზღვაური პეტროვი.

პირველი შეხედვით უბრალო, უვიცნი ჩანდნ, მაგრამ კუკი მაინც საშინლად გახარებული იყო ამ შეხვედრით. ესენი იყვნენ პირველი ევროპელები, რომლებიც მან იხილა ორი წლის მგზავრობის შემდეგ. სადილობისას ისინი დანა-ჩანგლით სკამდნ, სადღეგრძელოებს ინგლისელ ოფიცრებთან ჭიქებით სვამდნ და სრულიადაც არ მოდიოდნ ალტაცებაში გროშის ფასის შუშის მძივებისაგან, რაც ასე გაგიჟებით ახარებდა ველურებს. კაპიტნის საკანში ისინი გულმოდგინედ ათვალიერებდნ სხვადასხვა საზღვაო ხელსაწყოებს, და კუკმა დაინახა, რომ მათ კარგად იცოდნ ხელსაწყოების ხმარება. მაშინ მან გადასწყვიტა ეჩვენებია მათთვის თავისი რუკა კუნძულები-სა, რომლებიც აზიასა და ამერიკას შუა იმყოფებოდნ. იზმაილოვმა გულდასმით დაათვალიერა რუკა, მერე უცებ ჩაიყო ხელი ილღის ქვეშ და ამოათრია იქიდან დაკეცილი ქალაღღის ფურცელი. ეს იყო რუკა იმავე კუნძულებისა. მაგრამ რანაირი რუკა! ყველაფერი, რაც კი კუკს მარტო დაახლოვებით ჰქონდა აღნიშნული, რუსულ რუკაზე მოხაზული იყო ურყევი სი-

ზუსტით. რამდენი კუნძული და ზღვისქვეშა ქვა იყო აქ დახატული, კუკის მიერ შეუმჩნეველი! ყოველ კუნძულთან ნაჩვენები იყო ყურეები, სადაც კი შესაძლებელი იყო გემების გაჩერება. ყოველ სრუტეში ნაჩვენები იყო ფარვატერი.

— საიდან გაქვთ თქვენ ეს რუკა? — დაიყვირა კუკმა. — მას ხომ ფასი არა აქვს!


იზმაილოვმა რაღაც უპასუხა თავის მოშხუილვ და მოკრიჭინე ენაზე, მაგრამ კუკმა მარტო ერთი სიტყვა გაარჩია. ეს იყო „ბერინგი“.

კაპიტანი ბერინგი! აი თურმე რაშია საქმე! ეს რუკა კაპიტან ბერინგისა!

ინგლისელებამდე მოდიოდა ხმები, თითქოს ოცდაათი წლის წინ რუსეთის სამსახურში მყოფმა კაპიტანმა ბერინგმა გადასცურა ციმბირიდან ამერიკაში და გადაიყვანა კიდევაც იქითკენ ყაზახთა რამდენიმე რაზმი ინდოელების დასამარცხებლად. მაგრამ ეს ყველას ნაკლებ დასაჯერებელი ამბავი ეგონა. ძალიან შორს მდებარე ეგონათ მათ ამერიკა აზიიდან და ძალიან უნდოდ უყურებდნენ აღმოჩენითს უნარიანობას რუსებისა, ნახევრად ველური ხალხისა, რომელიც ცხოვრობს ცივ, ყოველთვის თოვლით დაფენილ ქვეყანაში.

კუკმა დაავლო ფანქარს და სახაზავს ხელი და დაიწყო თავისი შეცდომების გასწორება რუსულ რუკასთან შედარებით. ჯერ მან გადაიტანა ყველა მოხაზულობა ნაპირებისა, შემდეგ წაშალა ყველა მის მიერ დარქმეული სახელი, რომლებიც მან უწოდა სხვადასხვა კუნძულს, და დაუწყო გამოკითხვა, თუ რა ერქვა მათ რუსულად. და მისი რუკა დაიფარა გაუგებარი, ძნელად გამოსატყველი წარწერებით: კუნძული ტუმანნი, მედვეჟი, ბესპლოდნი. ჩრდილო-დასავლეთ კიდურს ამერიკისა კი, რომელიც ისე უახლოვდებოდა ციმბირს, აღმოჩნდა, თურმე ნახევარკუნძული ალიასკა ერქვა.

მარტო ერთი დასახელება კუკმა თავისით ჩასწერა თავის რუკაზე, ლურჯ სივრცეზე, რომელიც ჰყოფდა ორ მატერიკს, მან დასწერა: „ბერინგის სრუტე“.



კუკის ექსპედიცია ესკიმოლებთან.

ის გემი, რომლის კაპიტანიც იყო საპოტნიკოვი, მოსულიყო აქ პეტროპავლოვსკის ნავსადგურიდან, კამჩატკიდან. მან მოიტანა თან ფქვილი და თამბაქო, რომლებსაც რუსები სცვლიდნენ ესკიმოსებთან კატის ბეწვებზე. კუკმა დასწერა წერილი ლონდონში და სთხოვა თავის სტუმრებს, რომ იგი ჩაედოთ პეტროპავლოვსკის ფოსტაში. ისინი სიხარულით დასთანხმდნენ და, როგორც მერე გამოიკვა, მართლაც შეუსრულეს მას თხოვნა. წერილმა გაიარა ირკუტსკი, ტობოლსკი, მოსკოვი და პეტერბურგი და მივიდა ლონდონში ნახევარი წლის შემდეგ.

გამომშვიდობებისას კუკმა აჩუქა რუს მეზღვაურებს რამდენიმე ბოთლი ღვინო, რომელიც მათ არ ეგემათ უკვე რამდენიმე წელიწადი, მათ შესთავაზეს კუკს, რომ ზამთარი გაეტარებია პეტროპავლოვსკში, მაგრამ მან უარი განაცხადა.

ის ჰფიქრობდა, რომ ემჯობინებოდა ზამთრის გატარება ცხელ ჰავაში, გახაფხულზე ღია გავის კუნძულებზე, რომ უკეთ შეესწავლა იგი.

26 ოქტომბერს, გამოემშვიდობენ თუ არა თავის ახალ მეგობრებს, ჩვენი ზღვაოსნები განშორდნენ უნალაშკას და ერთი თვის შემდეგ ისევ იხილეს გავის არქიპელაგის მაღალი მთები.

### თავი ოცდამეკვი

#### ქურუმნი და ბელადნი

თითქმის მთელი თვის განმავლობაში კუკი დათარეშობდა გავის არქიპელაგის ირგვლივ, ერთი კუნძულიდან მეორეზე გადადიოდა, არსად ღრ ჩერდებოდა კი, ეძებდა კარგ ადგილს გასაჩერებლად. მაგრამ ყველა ყურე პატარა და ნაკლებწყლიანი იყო. მხოლოდ 17 იანვარს „სითამამე“ და „ალმოჩინა“, როგორც იყო, შევიდნენ მშვენიერ ნავსადგურ კარაკაკუაში. ჩამოუშვეს სტენგები, დაუშვეს იალქნები. ჩვენი მეზღვაურები დიდი ხნით უნდა გაჩერებულიყვნენ, უნდა შეეკეთებიათ ყვე-

ლაფერი, მოემარაგებით სანოვაგე და დაესვენათ, რადგან ინგლისში ერთ წელზე უფრო ადრე დაბრუნების შესახებ შედმეტი ფიქრი იყო.

არსად ჯერ კუკს არ შეჰგებებია ასე მრავალრიცხოვანი ბრბო. ნაპირი მთლად მოუწილი იყო ხალხით. უამრავი ნავი მოჰქროდა გემების შესახვედრად. და კუკმა, თავის საკანში ჩასვლის დროს, ჩასწერა გემის ჟურნალში:

„ჩვენ ვერ ვიპოვეთ ჩრდილოეთის დიდი გზა. მაგრამ სენდვიჩის კუნძულების აღმოჩენამ სათანადოდ დაგვასაჩუქრა. არასდროს ჯერ კიდევ არცერთ ევროპელს, წყნარ ოკეანეზე მოგზაურს, არ შეხვედრია ასე მდიდარი და ასე მჭიდროდ დასახლებული მიწა“.

ეს იყო უკანასკნელი ჩანაწერი, შეტანილი გემის ჟურნალში კუკის ხელით. მან არ იცოდა, რომ ყველაზე მდიდარ ადგილს, რომელიც მის მიერ იყო აღმოჩენილი, დაილუპებოდა იგი.

მკვიდრი მცხოვრებნი სრულიად უშიშრად ძვრებოდნენ გემებზე. ყოველ საგანს მოჰყავდა ისინი აუწერელ აღტაცებაში. ისინი თავისი აჭრელებული ბელადების კვალდაკვალ დადიოდნენ ყველა მიხვეულ-მოხვეულში.

ბელადებიდან ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას იპყრობდა მაღალი, ახალგაზრდა კაცი, სახის ჭკვიანი გამომეტყველებით და მედიდური თავდაჭერით. ეძახდნენ მას პერეას. მას ყველა თავისიანი პატივისცემით ეპყრობოდა. კუკმა შეამჩნია, რომ პერეა ყველაზე უფრო გულდასმით უვდებდა ყურს ინგლისელთა ლაპარაკს, რომლებიც უხსნიდნენ მკვიდრ მცხოვრებლებს იალქნებისა და ანძების დანიშნულებას. მან მაშინვე შეიყვარა ეს ლამაზი ახალგაზრდა და უხვად დაასაჩუქრა. პერეამაც ბოლო დროს არა ერთხელ და ორჯერ გაუწია ინგლისელ ზღვაოსნებს სამსახური.

რამდენიმე საათის შემდეგ „სითამამეზე“ ამოვიდა ქუჩყიანი ბებერი, ტერფებზე თეთრი ნაჩირქებით. ილლიის ქვეშ მას პაწაწინა მჭყვირალა გოჭი ჰყავდა.

— კოა! ქურუმი კოა! — დაიყვირეს გავაიელებმა და ში-  
შით დაიხიეს მის წინ. კოა დიდის ამბით მივიდა კუკთან, შე-  
მოახვია წითელი მოსასხამი და ხელში მისცა გოჭი. მერე და-  
მაყრუებლად დასძახა: „რონო! რონო!“ — და დაეცა მუხლებ-  
ზე, ხელები კი აღაპყრო განცვიფრებული კაპიტნისაკენ.

— რონო! რონო! — დაიყვირეს გავაიელებმა და აგრეთვე  
დაეცენ მუხლებზე.

ინგლისელები განცვიფრებულნი იყვნენ ასეთი უცნაური  
თაყვანისცემით. ჯერ არასოდეს მათ წინაშე არვინ არ დაცემულა  
მუხლებზე. მკვიდრ მცხოვრებლებს შეეკითხენ, მაგრამ პასუხი ვერ  
მიიღეს. ასე კუკმა სიკვდილამდე ვერ გაიგო, თუ რად ჩასთვალეს  
იგიველურებმა და მხოლოდ სამოცი წლის შემდეგ, გავაის კუ-  
ნძულებზე დიდი ხნით მცხოვრებ ამერიკელ მკვლევარ ელისს  
წილად ხვდა ახსნა ამ ამოცანის, რომელმაც ასეთი დიდი რო-  
ლი ითამაშა ექსპედიციის შემდეგს ბედ-იღბალში.

როგორც გამოარკვია ელისმა, გავაიელებს აქვთ თქმულება  
იმის შესახებ, რომ ყოვლად შემძლებელმა რონომ, რომელიც  
უხსოვარ ხანაში ცხოვრობდა, თავისი მტრის დაბეზლებით  
მოჰკლა თავისი საყვარელი ცოლი. გაიგო თუ არა, რომ ცო-  
ლი არაფერ შუაში იყო, რონო მწუხარებისაგან გაგიჟდა და  
დაიწყო ხეტიალი მთელ კუნძულზე, ყველას ჰკლავდა, ვინც  
კი გზაში შეხვდებოდა. როს მოიქანცა მკვლევლობით, მაგ-  
რამ მაინც ვერ დაიცბრო სისხლის წყურვილი, იგი ჩაჯდა ნავში  
და გაშორდა ამ ნაპირებს, იმ დაპირებით, რომ დაბრუნდებო-  
და მრავალი წლის შემდეგ ფრთოსან მცურავ კუნძულზე, რო-  
მელზედაც იცხოვრებდა ხალხი, ძაღლები და ღორები.

ეს თქმულება ხალხურ სიმღერებში იყო და გავაის რელი-  
გიის ერთ-ერთ დოგმატად გახდა. როს დაინახეს ინგლისელთა  
გემები, ქურუმები მაშინვე მიხედნენ, თუ რა სარგებელის მო-  
ტანა შეეძლო მათთვის უცხოელთა მოსვლას. განა კუკი არა  
ჰგავდა რონოს? განა არ შეიძლება მისი გემების ფრთოსან მცუ-  
რავ კუნძულებად გამოცხადება? განა მათზე არ არის ხალხი,



ლორები და ძაღლები, დაპირებული წმინდა თქმულებაში? ხალხის წინაშე ცოცხალი რონოს გამოცხადებამ საგულისხმოდ უნდა აამაღლოს პრესტიჟი რელიგიისა და გაადიდოს შემოსავალი ქურუმთ კასტისა.

კოა იყო რონოსსახელობის ტაძრის ქურუმი. დაუდო რა მსხვერპლად დაბრუნებულ წმინდანს გოჭი, იგი დაბრუნდა ნაპირზე და გამოუცხადა მთელ ხალხს, რომ კაპიტანი კუკი რონო იყო, რომელიც დაუბრუნდა სამშობლოს და რომ მისი გემები—მცურავი კუნძულები იყო.

ამის შემდეგ გავაიელები კუკს ღმერთად სთვლიდენ. ჩამოვიდოდა თუ არა კუკი ნაპირზე, მთელი ბრბო ეცემოდა მის წინაშე მუხლებზე, და ქურუმები კი მიჰმართავდენ მას ლოცვით. კუკი ძალიან გაკვირვებული იყო ამგვარი პატივისცემით.

იგი უნებლიედ უნდა დასთანხმებულიყო უცნაურ და სასაცილო მოთხოვნებზე. გარშემორტყმულმა ქურუმებმა იგი წაიყვანეს ტაძარში. ლეიტენანტი კინგი, რომელსაც არ უნდოდა მართოდ დაეტოვებია კაპიტანი მკვიდრ მცხოვრებთ შორის, წაჰყვა მას კვალდაკვალ. ამგვარი ტაძარი კუკს არ ენახა წყნარი ოკეანეს კუნძულებზე, მდიდარ ტაიტზედაც კი. იგი აშენებული იყო ქვისაგან, ჰქონდა 27 მეტრი სიგრძე და თოთხმეტი სიგანე. მას გარს ერტყა მაღალი გალავანი, რომლის წვეროებზეც ჩამოცმული იყო კაცის ქალები. ზოგი მათგანი გამხმარიყო, გაყვითლებულიყო და ნახევრად დაფუშულიყო დროთა განმავლობაში, ზოგიერთზე კი კიდევ იყო ხორცის ნაჭრები და თმები. ადამიანის დიდ მსხვერპლს ითხოვდენ სისხლისმსმელი ღმერთები.

ტაძრის შესავალთან იდგა ხის ორი ღმერთი, მეწამულ მანტიაში. შენობის მთავარ წინა ნაწილზე დადგმული იყო ბამბუკის ამალღებული ნაშენობა, რომელიც სამსხვერპლოს წარმოადგენდა. მასზე იდგა ნახევრად დამპალი ღორი და ობმოკიდებული ხილის გროვა. სამსხვერპლოს ირგვლივ იდგა თორმეტი კერპი მახინჯი და ქუში გამომეტყველებით.

ათმა უმცროსმა ქურუმმა შემოიყვანა ტაძარში ცოცხალი ღორი და შემოიტანა წითელი ტილოს ნაჭერი. კოამ განსაცვიფრებელი სი-  
მარჯვით, ერთი ხელი დარტყმით შემოახვია ეს წითელი ტი-  
ლო კუკს. უმცროსმა ქურუმებმა დაამდერეს ერთად ჰიმნი,  
კოამ აიღო კუკის ხელი და რიგ-რიგობით მიიყვანა იგი ყოველ  
კერპთან. თუმც ეს უცნაური რამ იყო, მაგრამ ტაძრის ქურუმი  
ძალიან არათავაზიანად ხარხარებდა მათ წინ და წკიპურტებს ჰკრავ-  
და მათ აფერადებულ ცხვირზე. და მხოლოდ ერთ მათგანთან,  
ყველაზე მსუქანთან, მოიყარა მან მუხლი და კუკსაც სთხოვა  
ზგივე ექნა.

ბევრი სხვა წესის შემდეგ კაპიტანს მოართვეს შექწვარი  
გოჭი და ტომარა ფესვებით, რომლისაგანაც კავას აკეთებდენ.

„პერეა და კოა, — ამბობს თავის ნაწერებში კაპიტანი კინ-  
გი, — განაგებდენ მთელ ცერემონიას. გაგვიმასპინძლდენ რა  
კავით, მათ დაგლიჯეს პატარა ნაკუწებად გოჭი და დაგვიწყეს  
პირში ჩადება. მე არ მეზიზღებოდა სისუფთავის მოყვარული პე-  
რეასაგან ხორცის მიღება, მაგრამ კუკი კი, რომელსაც თვით  
კოა აჭმევდა, თავს ცუდად გრძნობდა, მით უმეტეს, რომ  
იქვე მდებარე ნახევრად დამპალი ღორი მას გულს ურევდა.  
კაპიტანში ზიზღმა კიდევ უფრო იმატა, როდესაც პატივცემულ-  
მა ქურუმმა, განსაკუთრებული პატივისცემის გამოსახინად,  
თვით დაღეჭა ხორცის ნაჭრები და მხოლოდ მაშინ ჩაუღო იგი  
მას პირში“.

ამ ცერემონიის შემდეგ კუკი გამოაცილეს ნავამდე.  
წინ მას მიუძღოდა ოთხი ქურუმი, ხელში კვერთხები ჰქონ-  
დათ, რომლებიც მორთული იყო მოფრიალე, ბეწვიანი ძაღ-  
ლის კუდებით.

— რონო! რონო! — მაღალი ხმით ყვიროდენ ისინი, და  
მომავალი გავაიელები მუხლებზე ეცემოდენ.

ცოცხალი რონოს მოსვლამ მეტისმეტად აამაღლა და,  
განამტკიცა ქურუმთა ძალა-უფლება. ისინი ემუქრებოდენ ხალხს,  
რომ მრისხანე რონო დასჯიდა ურჩებს ყველაზე სასტიკი სას-

ჯელით, და დაშინებულ გავაიელებს მოჰქონდათ ტაძარში ფართლეულობა, კოკოსები, კავა, პურის ხის ნაყოფები, რომ როგორმე მაინც შეერბილებიათ ღმერთის ზისხვა. ქურუმთა სიმდიდრე განსაცვიფრებელი სიჩქარით იზრდებოდა და ყოველდღე ისინი სულ უფრო და უფრო მეტს მოითხოვდენ.

მაგრამ ქურუმთა გავლენის ასეთი ზრდა შეშურდა მეორე მბრძანებელ წოდებას—მეომართა, ბელადთა წოდებას, გავაიურად ეარიებს. მართვა-გამგეობა მათ ხელიდან გაუსხლტათ. მართლაც, ვინ გაუგონებდა თავის თავადს, თუკი ყოველ ტაძართმსახურს შეეძლო გამოეთხოვა უძლეველი რონოსაგან, რომელიც უნახავი მხარიდან ფრთოსან კუნძულზე მოვიდა, რანაირიც გინდა სასჯელი ყველა ურჩისათვის? ამავე დროს კუკი, რომელმაც არ იცოდა, რომ იგი ყოვლად შემძლე ღმერთი იყო, არც ის, თუ რა სარგებლობა მოუტანა ქურუმებს, დამშვიდებით ყიდულობდა ხილს, ამარილებდა ღორებს და ემზადებოდა ჩრდილოეთისაკენ ძნელი მგზავრობისათვის. მან არ იცოდა, რომ ბელადები აქეზებდენ თავის ქვეშევრდომებს მოეპარათ თეთრებისთვის ყველაფერი და ძალიან უკვირდა გავაიელების ურცხვობა: ისინი ჰპარავდენ მას ყველაფერს, რის მოპარვაც კი შეიძლებოდა. მან არ იცოდა, რომ ნახევრად გიჟი, ლოთი, დაუძლურებული მეფე ტერეობოი გამოიძახეს მთელი თავისი ამალითა და ჯარით ნავსადგურ კარაკაკუაში იმისთვის კი არა, რომ პატივი ეცა უცხოელთათვის, არამედ იმისთვის, რომ როგორმე თავიდან მოეშორებინა ისინი. მართალია, თვით მეფე არ იყო სამტროდ განწყობილი. ის სრულიად გულწრფელად მოჰყავდა ალტაცებაში ინგლისურ ვისკს, რომელიც კუკს გემზე ჰქონდა, მაგრამ ტერეობოი უკვე დიდი ხანია რაც გადაყენებული იყო სახელმწიფო საქმეებედან და ამ ქვეყანას წარჩინებულებზე განაგებდენ მისი სახელით. და მათ კი, როგორც ყველა ეარის, ეჯავრებოდათ ასე უდროოდ დაბრუნებული რონო.

გემების დატვირთვა 4 თებერვლამდე გაგრძელდა. ქურუმებს განუწყვეტლივ იერიში მოჰქონდათ კუკზე და მათი სადაგელი მღერა თან სდევდა მას ყოველგან, სადაც კი წავიდოდა. ბელადები გარეგნულად ძალიან თავაზიანად იქცეოდნენ. ტერეობოიმ უბოძა ინგლისელებს ძვირფასი საჩუქრები, მაგრამ ამასთანავე იკითხა, ჩქარა წავიდოდნენ თუ არა აქედან.

მარტო პერეასთან ჰქონდა კუკს მეგობრული განწყობილება. იგი გულდასმით ყურს უგდებდა კაპიტნის ახსნას და მის ჰკვიან თვალეებში ბრწყინავდა ნაპერწკლები. ყოველთვის, როდესაც თეთრების რაიმე ახალ სიბრძნეს გაიგებდა.

4 თებერვალს „სითამამე“ და „აღმოჩენა“ გამოვიდნენ ყურედან. მაგრამ ზღვაში უცებ ქარიშხალი ამოვარდა. „სითამამემ“ დაჰკარგა ერთი ანძა და ექსპედიცია იძულებული გახდა რამოდენიმე დღით ისევ დაბრუნებოდა შესაკეთებლად კარაკუკას ყურეს.

ის იყო ღუზაზე დადგენ გემები, რომ ინგლისელებმა შეამჩნიეს მკვიდრ მცხოვრებლებს საშინელი ცვლილება, თუმცა 13 თებერვლამდე არ დარღვეულა მშვიდობიანობა.

## თავი ოცდამეცხრა

### კუკის სიკვდილი

ცამეტ თებერვალს კაპიტნის საკანში ბოცმანი შემოვიდა. კუკი მარტო არ იყო. მასთან იდგა ბელადი პერეა და თავაზიანი ღიმილით ისმენდა უცხოელის სიტყვებს. კუკი ცდილობდა ლაპარაკს ტაიტურად, მაგრამ სიტყვები არა ჰყოფნიდა და დაკორძებული ხელები კაპიტნისა დაჰქროდნენ იქით-აქით.

— ვარსკვლავები—გზა, პერეა. მზე—გზა. ვარსკვლავები არ არის. მზე არ არის. სად არის გზა? კომპასი—აი გზა! კომპასი ვარსკვლავებს სჯობია, პერეა.

გავაიელი თავაზიანად იღიმებოდა, მაგრამ მის გაქვავებულ სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდა ადამიანი—ესმოდა მას თუ არა.

დაინახა თუ არა პერეა, ბოცმანი მოიღუშა. რა ძალა ად-  
გა კაპიტანს, რომ ასე ელოლიავებოდა ველურებს? ისინი უნდა  
სცემო, გადასწვა, ამოწყვიტო, დაახრჩო.

კაპიტანი მეზღვაურებს გამდიდრების საშუალებას არ აძ-  
ლევს. რამდენიმე თოფის ერთად გასროლა—და რამდენი სიმ-  
დიდრის გატანა შეიძლებოდა მაშინ ამ მხარიდან! მაგრამ მან  
ვერ გაბედა თავისი ფიქრების ხმამაღლა გამოთქმა.

— კაპიტანო, ღურგალს გაზიმოჰპარეს!

კუკი გაჯავრდა. არა, ბოლოს და ბოლოს ქურდობას ბო-  
ლო უნდა მოჰღებოდა. ამას გარდა, რკინის ნივთები ისე ძვირ-  
ფას რამეს წარმოადგენდენ.

— ბოცმანო, დაწვიეთ ქურდს. მოიყვანეთ ქურდი და  
მოიტანეთ გაზი. თქვენ წამოგყვებათ პერეა. იგი გიშველისთ.  
ბოცმანი და პერეა გავიდენ.

— მაგრამ არ ისროლოთ!— მიაძახა მათ კაპიტანმა, — მე  
სასტიკად გიკრძალავთ სროლას!

ნავი იმავე წუთს ჩაუშვეს. ოთხი მენიბე თოფებით  
შეიარაღებული მიუხსნდა ნიჩბებს, ბოცმანი საჭეს. პერეა კი  
ნავის ცხვირზე იდგა.

თმახუჭუჭა თავი ქურდისა ჩნდებოდა აქა-იქ ტალღებს  
შუა. იგი მსუბუქად და სწრაფად მისცურავდა, ხელში მაგრად  
ეჭირა ძვირფასი გაზი. დაინახა თუ არა მღვერები, იგი გაჩერ-  
და, ამოსწია წყლიდან და დაუქნია ხელი გვერდზე მიმავალ  
პიროგას. პიროგა მიუახლოვდა, ჩაისვა იგი და ყველა ნიჩბით  
გასწია ნაპირისაკენ.

— წყეულო! — დაიყვირა ბოცმანმა. — იგი გაგვექცევა! ეს-  
როლოეთ!

გავარდა ოთხი თოფი. პერეა მოტრიალდა და გაკვირვე-  
ბით შეხედა ბოცმანს. დიად, ბოცმანმა დაარღვია კაპიტნის  
ბრძანება! ბოცმანი ნანობდა, რომ ააცდინეს. იგი სიამოვნე-  
ბით დაჰხოცავდა ამ მჭიმუნებს.

პიროგა კი უკვე ნაპირთან იდგა.

ნაპირზე ბოცმანს ბრბო ელოდა. ინგლისელები გამოვიდნენ ნავიდან. როგორ უნდა ენახათ აქ ქურდი? ეს შავკანიანები ყველანი ისე წააგავდნენ ერთიმეორეს, რომ შეუძლებელი იყო ქურდის გამოცნობა.

— დააბრუნეთ გაზი! — დამაყრუებელი ხმით დაიდრიალა ბოცმანმა. მაგრამ მკვიდრი მცხოვრებლები მარტო გაკვირვებით იცქირებოდნენ.

პერეა წინ წავიდა და ჩუმად უთხრა რამდენიმე სიტყვა თავის თანამოძმეებს. ბრბო აღელდა, დაიწყო ხელების ქნევა. რამდენიმე მეომარი შურდულივით გაიქცა ტყისაკენ. ერთი წუთის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ. ერთ მათგანს გაზი მოჰქონდა. პერეამ გამოართვა იგი და გადასცა ბოცმანს.

მაგრამ საქმის ასე მოგვარებამ უფრო გააგულისა ინგლისელი. მას უნდოდა ქურდის დასჯა, უნდოდა ეჩვენებია ამ ველურისათვის თეთრების სიძლიერე, დასასჯელი კი არავინ იყო.

— სად არის ქურდი? — ყვირილით მიმართა მან გავაიელებს. — მომიყვანეთ ქურდი! კაპიტანმა კუკმა უნდა დასაჯოს ეგ საძაგელი, ეგა!

მაგრამ გავაიელები სდუმდნენ.

— აჰა, თქვენ არ გინდათ მომიყვანოთ! — ბრაზობდა ბოცმანი. — თქვენ მას იუარავთ! მომიყვანეთ ამავე წუთში, თორემ მე თქვენს ნავს ზღვაში შევაგდებ!

იგი გაეშურა პიროგისაკენ, მაგრამ პერეამ გზა გადაულობა.

— ეს ჩემი ნავია, — თავაზიანტ ღიმილით უთხრა მან ბოცმანს. — მეგობარო, ჩემს ნავს ხელს ნუ ახლებ.

მაგრამ მან ხელი ჰკრა მას და გზა განაგრძო. პერეამ გასწია ხელი და დასწვდა ინგლისელს თმებში. ბოცმანი შეეცადა განთავისუფლებას, მაგრამ ამაოდ. იგი ჰგონობდა, რომ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა, ჩხუბობდა, ტრიალებდა, ილანძვებოდა, მაგრამ მისი თმები მაგრად ეჭირა გავაიელის მუშტს და ყოველი მოძრაობა მას აუწერელ ტანჯვას ჰგვრიდა.

ერთ-ერთმა მეზღვაურთაგანმა, რომელიც თან ახლდა ბოცმანს, ამოაძრო ნავიდან ნიჩაბი და მოამზადა პერეას თავში დასარტყმელად. გავაიელმა თავი დაანება ბოცმანს, გაჰოგლიჯა ხელიდან მეზღვაურს ნიჩაბი, მშვიდად დაიდო მუხლზე და შუაზე გადასტეხა.

ქვები სეტყვასავით დაუშინეს ინგლისელებს. მეომრები, ქალები, ბავშვები—მთელი ბრბო ცდილობდა შეედენათ თეთრები წყალში. ტყულ-უბრალოდ ღრიალებდა და ივინებოდა ბოცმანი, უხმობდა მეზღვაურებს თავდასაცავად. ისინი უკვე ნაპირისაკენ გარბოდნენ და თავს ხელებით იფარავდნენ. ისიც უნებლიედ მათ თან გაჰყვა.

— თქვენ თვითონ ხართ დამნაშავე, — უთხრა ბოცმანს კუკმა, როცა გაიგო ყოველივე. — ჩვენ ჩამოვედით აქ საავაზაკოდ კი არა, არამედ გასანათლებლად. ვშიშობ, რომ ახლა უფრო გაგვიძნელდება მათთან კარგი კავშირის დაქვერვა.

ღამით დიდი ჭვილითი მოიპარეს „აღმოჩენიდან“. სხვა ჭვილითი „აღმოჩენაზე“ არ მოიპოვებოდა. კაპიტანმა კლარკმა დაუყოვნებლივ შეატყობინა კუკს მომხდარი უბედურების შესახებ. კუკი აფეთქდა. აი, რა იცის მკვიდრ მცხოვრებთაღმი ტლანქმა მოპყრობამ. ჭვილითი უნდა მოენახათ, რათაც გინდა დამჯდარიყო, და რაც შეიძლება თავიდან უნდა აეცილებინათ სისხლისღვრა. იგი ამას მიახწევს. მისი გეგმა სადა და გარკვეული იყო. იგი მოიყვანს გემზე მოხუც და გაბავშებულ მეფე ტერეობოს და არ გაუშვებს, სანამ ჭვილითს არ დააბრუნებენ.

„სითამამიდან“ დაუყოვნებლივ ჩაუშვეს ორი ნავი—ერთზე ლეიტენანტი იყო უფროსად, მეორეზე—პოდპორუჩიკი. გარდა მენიხბეებისა, შიგ ჩაჯდა თვით კუკიც, შვიდი ჯარისკაცი ზღვის ქვეითი ჯარისა, სერჟანტი და კაპრალი.

ისინი მიაღვენ ნაპირს სოფლის ახლო. გავაიელები გარს შემოერტყვნ კუკს და მხიარულად მიესალმენ.

— მეგობრებო! — სთქვა კუკმა. — მე მინდა მოველაპარაკოთქვენს მეფეს. სად არის?

— ტერეობოი შინაა, — უპასუხეს მას.

მეფის სახლი სოფლის ბოლოში იდგა, ნახევარი ვერსით იყო დაშორებული ზღვას. კუკმა უბრძანა ლეიტენანტს და პოდპორუჩიკს გაშორებოდენ ნაპირს და არ მოახლოვებულიყვნენ მის დაბრუნებაჲდე, თვითონ კი ქვეითი ათეულის თანხლებით გაეშურა კუნძულის შუაგულისაკენ. გავაიელები, როგორც წინათ, ეცემოდენ მის წინ მუხლებზე და არ დგებოდენ, სანამ ის გვერდს არ ჩაუვლიდა. გზადაგზა იგი შეხვდა ბევრ ბელადს, რომელნიც ჰკითხავდენ მას, სჭირდებოდა თუ არა ღორები ან კოკოსები. იგი მადლობას უხდიდა, უარს ეუბნებოდა და სწრაფად მიდიოდა წინ.

მეფის სახლის შესავალთან ინგლისელებს დიდხანს მოუხდათ ცდა. კუკმა გაგზავნა მეფესთან რამდენიმე გავაიელი, რომ შეეტყობინებინათ ტერეობოისთვის, შენი ნახვა სურს კუკსო. გაგზავნილები უპასუხოდ დაბრუნდენ. ისინი უსიტყვოდ მივიდენ კუკთან და დასდეს მის წინ წითელი ფარჩები.

კუკი მოთმინებას ჰკარგავდა. მან გაგზავნა სახლში ზღვის ქვეითი ჯარის პორუჩიკი, რომ გამოერკვია საქმის ვითარება. პორუჩიკი დაბრუნდა და შეატყობინა მას, რომ მეფეს ეძინა, მაგრამ ახლავე გააღვიძებდენ.

ბოლოს, როგორც იყო, ტერეობოი გამოვიდა აივანზე. კუკმა ხელი გაუწოდა, მიესალმა მას და მოიპატიჟა თავისთან გემზე. მეფემ მოპატიჟება მიიღო.

კუკმა გაუყარა ხელი ტერეობოის და პატარა რაზმით, რომელსაც გარს ერტყენ გავაიელები, გაეშურა ნაპირისაკენ. ყოველივე კარგად გათავდებოდა, რომ უცებ ბრბოში არ გავარდნილიყო ხმა, ვითომდა კუნძულის მეორე მხარეს ინგლისელებს ეს-ეს არის მოეკლათ ორი მკვიდრი მცხოვრები. ეს ხმა, როგორც მერე აღმოჩნდა, სრულ სიცრუეს წარმოადგენდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ექსპედიციის ცხოვრებაში.



გავაიელეებმა დაიწყეს შეიარაღება, შუბებით ცულებით და ქვებით. მეომრებმა ჩაიციეს სქელი დაწნილი პერანგები, რომელნიც მათ ჯავშანის მაგიერობას უწევდენ. კუკმა როცა იგრძნო, რომ ამას ცუდი შედეგი მოჰყვებოდა, უბრძანა ჯარისკაცებს ჩქარა ევლოთ. გავაიელეები კი ჩამწყრივდენ გზის ორივე მხარეს, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც წყნარად იყვნენ. ათეულის ახლო მოძუნძულებდა. მელოტთავა ქურუმი და მღეროდა ლოცვებს საშინელი უსიამოვნო ხმით. უტვინო მეფე უსიტყვოდ მისდევდა კუკს თავისი ორი შვილის თანხლებით. ჯერ ყველაფერი თავის რიგზე იყო.

მაგრამ გამოვიდენ თუ არა ნაპირზე, ტერეობოისთან მოვარდა ერთი მისი ცოლთავანი, მოხვია მას ხელი და ქვაზე დასვა. იგი ემუდარებოდა თავის ქმარს და მბრძანებელს, რომ არ წასულიყო თეთრების გემზე.

— ეს ბოროტი და ეშმაკი ხალხია, — მოსთქვამდა იგი ტირილით. — ისინი დაგკუწავენ, როგორც ღორს, თავის გემზე. ნუ მიგვატოვებ, მეფეო; თუკი გინდა ცოცხალი დარჩე.

მეფემ არ იცოდა რა გადაეწყვიტა. მისი ბებერი ტვინი ველარ მუშაობდა, იგი ვერ მიმხვდარიყო, თუ რას მოითხოვდენ მისგან.

ამ დროს პორუჩიკმა დაინახა გავაიელი, რომელიც კუკს ეპარებოდა ზურგიდან ფართე დანით ხელში. პორუჩიკმა დაუმიზნა მას თოფი.

— არ გაისროლოთ! — დაიყვირა კუკმა. — სისხლისღვრა დაღუპავს მთელ ჩვენ საქმეს. ის ისედაც ვერ გაბედავს ხელი მახლოს.

გავაიელმა დაინახა მასზე მიმართული ლულა და შესცვალა თავისი განზრახვა, კუკის მაგივრად თავს დაესხა პორუჩიკს. უკანასკნელმა მას კონდახი თავში ჩაარტყა. გავაიელმა გააგდო დანა და ბრბოში მიიმალა.

მაგრამ მშვიდობიანობა უკვე დარღვეული იყო. ერთმა მეომართავანმა ესროლა კუკს ქვა. კუკმა თოფი ესროლა, მა-

გრამ საფანტი, რომლითაც იყო გატენილი თოფი, გაიჩხირა მეომრის სქელ პერანგში. ამით გამხნეებულმა მეომარმა ასწია შუბი დასარტყმელად. კუკმა კონდახით წააქცია იგი და თოფი ტყვიით გასტენა. ამ დროს დაინახა გავაიელი, რომელიც მას პატარა შუბს უმიზნებდა. კუკმა ესროლა, მაგრამ ააცდინა. ჯარისკაცებმა აღარ დაუცადეს ბრძანებას და უთავბოლოდ გაისროლეს, ამ გასროლამ აიძულა გავაიელები უკან დაეხიათ.

მეფე ტერეობოის წაყვანა ცოლმა უკვე მოასწრო. ამიტომ საჭირო იყო რაც შეიძლება ჩქარა დაჭბრუნებოდნენ გემს. ორივე ნავი ნელა მოცურავდა ნაპირისაკენ. კუკმა ხელი დააქნია, რომ ისინი ჩქარა მოსულიყვნენ, მაგრამ პოდპორუჩიკმა, რომელიც მეთაურობდა ერთ ნავს, ცუდად გაიგო კაპიტანის ნიშანი და გემისაკენ გაბრუნდა.

ამ შეცდომამ იმსხვერპლა კუკი.

მეორე ნავი, რომელსაც ლეიტენანტი უფროსობდა, თამამად მოისწრაფოდა წინ, მიუხედავად იმისა, რომ ნაპირიდან მას ქვების სეტყვას აყრიდნენ, თუმც იმას, სულერთია, არ შეეძლო დაეტია ნაპირზე მდგარი ყველა ინგლისელი.

ჯარისკაცებმა შესტოპეს წყალში, ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, ცდილობდნენ რაც შეიძლება სწრაფად მისულიყვნენ ნავთან, რომელიც მათ გადაარჩენდა. ოფიცრებიც მათ თან გაჰყვნენ. კუკი უკანასკნელი მიდიოდა. იგი არა ჩქარობდა: სულერთია, ნავი ყველას ვერ დაიტევდა, კაპიტანი კი უპირველესად ყოვლისა უნდა ჰფიქრობდეს თავისი ხალხის გადაარჩენაზე.

თოფი მას მარცხენა ხელში ეკავა, მარჯვენათი კი თავს იფარავდა ყოველი მხრიდან გამოტყორცნილი ქვებისაგან. დაინახეს თუ არა გავაიელებმა თეთრების არეგ-დარევა, გამოეკიდნენ მათ დასაწევად. ერთი მათგანი გამოიქცა კუკისაკენ და მოართვა შუბი კეფაში. კუკი წატორტმანდა, ჩავარდა წყალში და თოფიც გააღო ხელიდან, მაგრამ მაშინვე წამოხტა.

— მიშველეთ! — დაუყვირა მან ნავში ჩაჯდომის გულისათვის მოჩხუბარ ინგლისელებს.

შუბი ისევ დაეშვა და ახლა კი განგმირა კუკი.

## დასასრული.

კუკის დაღუპვის შემდეგ ექსპედიციის უფროსად კაპიტანი კლარკი იყო. მან დაუყოვნებლივ მოიწვია კრება, რომელზედაც ოფიცერთა უმრავლესობა სამაგიეროს გადახდის აზრს ადგა, რომ შური ეძიათ დიდი მეზღვაურის სიკვდილისათვის. კლარკმა გადასწყვიტა, რომ ასეთი უსაბამო სიმკაცრე არ შეეფერებოდა კუკის ხსოვნას, რომელიც არასდროს არ უხდიდა სამაგიეროს ველურებს. და კრებამ გადასწყვიტა ეწარმოებინათ მოლაპარაკება გავაიელთა ბელადებთან ცხედრის მოციმის შესახებ. ამ მოლაპარაკების წარმოება ლეიტენანტ კინგს მიანდეს.

მაგრამ გავაიელებს თავი შეტად ურცხვად და თავმომწონედ ეჭირათ. გამარჯვებამ დაათრო ისინი. მათ გადასწყვიტეს, რომ ინგლისელები მხდალები იყვნენ და არა მეომრები, რომ მათი დამარცხება უბრალო საქმეს წარმოადგენდა. და ყოველთვის, როდესაც კი მიუახლოვდებოდა ხოლმე ნავი ნაპირს, რომელშიაც იჯდა კინგი, მას ხვდებოდა ბრახმორეული ბრბო და შუბების სეტყვა. მშვიდობიანი გზით არამც თუ არ შეიძლებოდა კუკის გვაჰის მიღება, დასაღვე წყალთან მისვლაც კი შეუძლებელი იყო.

კაპიტან კლარკს ბოლოს მოთმინება გამოეღია. მან ზარბაზნებისკ მეოხებით გადმოსხა ნაპირზე ზღვის რაზმი, დაუშინა თოფი და შედენა გავაიელები მთებში, სულ მთლად გადასწვა მათი სოფელი. ამის შემდეგ მკვიდრმა მცხოვრებლებმა ყურები ჩამოჰყარეს და ისეთივე გამგონნი, მოშიშარნი გახდნენ, როგორც უწინ. მოხუცმა ტერეობოიმ, მოისმინა თუ არა ლეიტენანტ კინგის მოთხოვნა, გამოგზავნა გემზე ათი გირვანქა ადამიანის ხორცი და კაპიტანი კუკის თავი, რომელსაც ქვედა ყბა აღარ ჰქონდა.

გახაფხულზე ექსპედიცია ისევ გაემგზავრა ჩრდილოეთში, მაღალწია ჩრ. განედის 69° და, საბოლოოდ დარწმუნდნენ რამოგზაურები, რომ არავითარი სრუტე არ არსებობდა, რომელიც ვითომდა აერთებდა წყნარ ოკეანეს ატლანტიკურთან, გაემურონ ინგლისისაკენ. გზაში, ჩინეთის ნაპირებთან, კაპიტანი კლარკი გარდაიცვალა ქლექისაგან. უფროსობა გადავიდა ლეიტენანტ გორის ხელში. 1780 წლის 1 ოქტომბერს ორივე გემი, ოთხი წლის ცურვის შემდეგ, შევიდა მდ. ტემზის შესართავში.

კუქს არ ჰქონდა დაპყრობითი მიზნები. მას არ უნდოდა ველურების დაპყრობა. მას უნდოდა ესწავლებინა მათთვის ყოველივე, რაც იცოდა თეთრმა ხალხმა. იგი მონობის მტერი იყო. თავისი სოფელმხედველობით იგი უახლოვდებოდა ფრანგ ენციკლოპედისტებს, რომლებიც ქადაგობდნენ ხალხთა უფლებების პატივისცემას და ყოველგვარი დესპოტიის წინააღმდეგ გალაშქრებას, სუსტების თავისუფლებას. არცერთ დასახლებულ მიწაზე მას არ აღუმართავს ბრიტანეთის დროშა, რადგან სამართლიანად სთვლიდა, რომ ქვეყნები უნდა ყოფილიყვნენ იმ ხალხების, რომელნიც ზედ ბინადრობენ, იგი ამყობდა იმით, რომ არ წააგავდა ესპანიელ ზღვაოსნებს, რომლებმაც სულ მთლად გააკოტრეს მექსიკა და პერუ, გაძარცვეს და ამოსწყვიტეს უღანაშაულო წითელკანიანები, რომლებიც არ იცნობდნენ არც თოფებს და არც ხარბახნებს. ირიქით, იგი ცდილობდა გაენათლებია წყნარი ოკეანეს კუნძულებზე მცხოვრებლები, ესწავლებია მათთვის მესაქონლეობა და უფრო სასარგებლო საშუალებები მიწათმოქმედებისა. იგი ყველას ევლინებოდა მეგობრად და არა მტრად, და იქ კი, სადაც მას ბრძოლით ხვდებოდნენ, იგი ხმარობდა ყოველგვარ ხერხს მშვიდობიანობის დასამყარებლად. მას უყვარდა თავისი კუნძულები, ადარებდა მათ უძველეს ბერძნებს და უწინასწარმეტყველებდა დიად მომავალს.

მაგრამ მისი წინასწარმეტყველება ვერ ასრულდა: ბრიტანეთის მთავრობა იმისათვის კი არ აძლევდა კაპიტან კუქს თავის სამხედრო გემებს, იმისათვის კი არ იხდიდა ფულს ძვი-

რი მოგზაურობისათვის, რომ ვილაც ველურებისათვის ესწავლებინა, თუ როგორ უნდოდა კართოფილის თესვა ან ცხვრების ძოვნა,—მას სხვა მიზნები ჰქონდა, რომელსაც იგი საიდუმლოდ ინახავდა. აი, ეს მიზნები:

მას სურდა გამოენახა ახალი ბაზარი ინგლისის მრეწველობისათვის, ამიტომ უნდა ეპოვათ უხვად დასახლებული ქვეყნები; რომლებზედაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს გაბატონება ვერც ესპანიელებმა, ვერც ჰოლანდიელებმა და ფრანგებმა.

მეორე: უნდა აღმოეჩინათ ახალი მატერიკი, ამერიკისა ან ავსტრალიის მაგვარი, სადაც შესაძლებლობა მიეცემოდათ გადაესახლებიათ ინგლისის ღარიბ—ღატაკნი: და საარმირბაროს ბრძანებით კუკი სერავდა ოკეანეს სამხრეთ ნაწილს, რომ მოეძებნა უცნობი და უღაბური მიწები.

მესამე: უნდა ეპოვა გზა ინდოეთისაკენ, ინგლისელების ყველაზე მდიდარი კოლონიისაკენ. იმ დროს იმისათვის, რომ ინდოეთში მისულიყო ადამიანი, მთელი აფრიკის გარშემოვლია იყო საჭირო. და, აი, კუკს დაევალა იმ სრუტის გამოჩენა, რომელიც შეაერთებდა ატლანტიკურს და წყნარ ოკეანეს.

კუკის მიერ გაკვალული გზებით, მისი რუკების მეოხებით გასტურეს ვაჭრებმა, მისიონერებმა, ვეშაპის დამჭერლებმა; მოხელეებმა, მწარმოებლებმა, ჯარისკაცებმა და ავანტიურისტებმა. ყველა მათგანს სურდა ერთი რამ—რანაირი საშუალებითაც გინდა ყოფილიყო, დაეტენათ ჯიბეები და მდიდრები დაბრუნებულიყვნენ.

ისინი ძარცვავდნენ, ავიწროებდნენ და ატყუებდნენ მკვიდრ მცხოვრებლებს, ათრობდნენ არაყით, უსევდნენ ერთ ტომს მეორეს, გადასდებდნენ თავის ავადმყოფობებს, რომლების წინააღმდეგ ბრძოლა ველურებს, სამკურნალო შველას მოკლებულებს, არ შეეძლოთ.

და კუნძულებიც ცალიერდებოდა, კუნძულები იღუბებოდნენ.

უწინარეს ყოვლისა მოსპეს ტასმანიის მცხოვრებლები. ისინი ყველანხ, ისე, გართობის გულისათვის, ამოსწყვიტეს ინგლისელმა კოლონისტებმა. და სამოცდაათი წლის შემდეგ კუკის სიკვდილიდან მთელი ხალხისაგან არცერთი ადამიანი აღარ იყო ცოცხალი.

მშვიდობისმოყვარე, კეთილი ტაიტელები დაიღუპნენ ლოთობის გამო. ისინი ფრანგებს ერგენ, რომლებმაც შეამჩნიეს თუ არა, რომ ტაიტელი მზად იყო ბოთლი არაყის გულისათვის ყველაფერი მიეცა, რასაც კი მოისურვებდნენ, დააღიჯეს სპირტით მთელი ქვეყანა. კუკის დროს, მისი ანგარიშით, ტაიტზე ორასიათასამდე ადამიანი ცხოვრობდა, ახლა კი იქ ცხოვრობს არა უმეტეს თხუთმეტი ათასისა.

ახალი კალედონიაც აგრეთვე დაპრობილ იქნა საფრანგეთის მიერ. საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა მოეწყო ამ მშვენიერ მხარეში კატორღა და დაიწყო გზავნა იქ ყველაზე შეუწყნარებელი მკვლელებისა და მძარცველებისა. „ამაზე კარგი რა უნდა იყოს, — ჰფიქრობდნენ ფრანგები, — ყველაზე მაჯვე ბოროტმოქმედიც კი ვერ გამოიქცევა ახალი კალედონიდან — მას ოკეანე უღარაჯებს. ეს გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ციხეების აშენება და მათი ღარაჯებისათვის ჯამაგირის მიცემა“. და, აი, კატორღელებმა, ვინაიდან საშუალება არ ჰქონდათ თანამოძმეები გაეძარცვათ, ხელი მიჰყვეს უბედურ კალედონიელებს.

სულ სხვა საშუალებით ამოსწყვიტეს გავაიელები. ისინი ჩავარდნენ ამერიკელ მისიონერთა კლანჭებში, რომლებიც უფრო საშინლები აღმოჩნდნენ, ვიდრე არაყი და კატორღელები. ეშმაკმა მისიონერებმა გადასწყვიტეს იძულებული გაეხადათ კუკის მკვლელი ველურები ევლოთ კვირაობით საყდარში, ჩაეცვათ შავი სერთუკები და თავის დროზე მიეცათ გადასახადი ამერიკის მთავრობისათვის. ამ მიზნით მათ დაიყოლიეს რამდენიმე ბელადი, მონათლეს, მიაღებინეს ქრისტიანობა, მისცეს თოფები და ხარბაზნები და ურჩიეს დაეპყროთ მთელი არქიპელაგი.

გაჩაღდა ველურებს შორის ომი, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ამასობაში კი ამერიკელი პლანტატორები ამ აფრიკაურში იტაცებდნენ სულ ახალ და ახალ მამულებს. და იმ დროისათვის, როს ამ მხარემ მიიღო ქრისტეს სარწმუნოება, მკვიდრი მცხოვრებლები იქ ბითქმის აღარ იყვნენ.

ყველაზე ბევრი წინააღმდეგობა მოსულ თეთრებს ახალზელანდიელმა კაციქამიებმა გაუწიეს. ყოველ ნაგლეჯს მიწისა ინგლისელები ბრძოლით იძენდნენ. ველურები კი მიდიოდნენ კუნძულის შუაგულს, იმალებოდნენ ტყეებში და მთის ხევებში, მაგრამ არცერთხელ არ ეპარებოდათ საშუალება, რომ თავს დასხმოდნენ და გაეძარცვათ რომელიმე სოფელი თეთრკანიანებისა. თუმცა ბოლოს და ბოლოს ისინიც სულ მთლად ამოსწყვიტეს.

მაშასადამე, კაპიტანმა კუკმა, თვითონ თუმც ამის მოსურვე არ იყო, უნებლიედ შეუწყო ხელი წყნარი ოკეანეს აყვავებული კუნძულების გაძარცვას. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ მან თავისი მგზავრობით კაცობრიობას მარტო ზიანი მიაყენა? არა, პირიქით, დიდი სარგებლობაც მოუტანა.

კაპიტანმა კუკმა შეჰკრიბა მთელი მსოფლიო, მთელი დედამიწა მთლიანად. მან გაიყვანა გზა წყნარ ოკეანეზე, კავშირი გააბა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. განათლებული ხალხები იმ ხანისა მიწის ვიწრო სივრცეზე იყვნენ მიჯაჭვული ატლანტიკური ოკეანეს განაპირას. ამგვარი სივიწროვე აფერხებდა განვითარების მდინარებას და ისინი დიდი ხანია რაც უკვე ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ მთელ დედამიწას, დაესახლებიათ ხალხი ყველა ნაკლებად მობინადრე მიწებზე, და, აი, ას ორმოცდაათი წლის შემდეგ უდაბურ ნაპირებზე, კუკის მიერ აღმოჩენილზე, გაიზარდნენ მრავალრიცხოვანი ქალაქები, მდიდარი სახნავები, აკვამლდნენ ქარხნები, გაჰქროლეს მატარებლებმა. ინგლისელმა კოლონისტებმა გარდააქციეს ავსტრალია უხვად აყვავებულ მხარედ და ახალი სამხრეთ-ვალიისი ახლა ინგ-

ლისელებს ერთ-ერთ უმდიდრესი კოლონიათაგანია. ახალი ზელანდია და ტასმანიაც არ ჩამორჩებიან ავსტრალიას და ბოლო ხანებში, პირიქით, წინ უსწრებენ კიდევაც. სამხრეთ ნაპირები ჩრდილო ამერიკისა, კუკის მიერ სრუტის ძებნის დროს შესწავლილი, ახლა ერთი ყველაზე განათებული ქვეყანაა დედამიწის ზურგზე.

გავაის კუნძულები კი გახდენ დასასვენებელ და შესაჩერებელ ადგილებად ამერიკისა და აზიას შორის მიმავალი ყველა გემისათვის. და, აი, აღმოსავლეთ აზიაში დაიწყო გასვლა ევროპის კულტურამ. იაპონია, სუსტი, ჩამორჩენილი ქვეყანა, ძლიერ, დიდ სახელმწიფოდ გარდაიქცა. ჩინეთმაც გამოიღვიძა და ახლა თამამად იბრძვის უცხოელთა მტაცებლების წინააღმდეგ. მთელი წყნარი ოკეანეს ქვეყანა დასახლდა, აყვავდა, გამდიდრდა და არც ისე შორს არის ის დღე, როდესაც იგი ძველ ევროპას გაასწრებს.

ის საცოდავი ნაშთი ველურებისა კი, რომლებიც სრულიად შემთხვევით გადაურჩენ ურთიერთ ომებს, მისიონერებს, ვაჭრებსა და არაყს, სრულიად არ წააგავს თავის წინაპრებს. ისინი თეთრ მუშებთან ერთად შრომობენ ქარხნებში, თეთრ მიწისმუშებთან ერთად ამუშავებენ მდიდარი მემამულეების მიწებს, და დადგება დრო, როდესაც ისინი თეთრ მუშებთან და თეთრ მიწისმუშებთან დაივიწყებენ იმას, რომ მათ კანი სხვა ფერისა აქვთ და ჩადგებიან რიგებში დანარჩენი კაცობრიობის თანასწორობისა და ბედნიერების მოსაპოებლად.

---



# შ ი ნ ა ა რ ს ი

## I. ღუქნის ბიჭი

თავი პირველი—ჯემს კუკი პირველად გადის ზღვაში . . . . .	3
თავი მეორე—იუნგა კაპიტანი გახდა . . . . .	9

## II. აღმოუჩენელ ზღვებში

თავი მესამე—ბენკსი . . . . .	11
თავი მეოთხე—ტაიტი . . . . .	12
თავი მეხუთე—ახალი ზელანდია . . . . .	22
თავი მეექვსე—ავსტრალია . . . . .	30
თავი მეშვიდე—დალუპის პირად . . . . .	34
თავი მერვე—არაჩვეულებრივი ცურვა . . . . .	39
თავი მეცხრე—ყინულოვანი მთები . . . . .	46

## III. სამხრეთ მატერიკის საქებრად

თავი მეთექვსმეტი—საშინელი ხმები . . . . .	51
თავი მეთერთმეტე—გადაყენებული დედოფალი . . . . .	53
თავი მეორმეტე—მეგობრობის კუნძულები . . . . .	59
თავი მეცამეტე—კაციჭამიები . . . . .	65
თავი მეოთხმეტე—„გულადობა“ ახალი ზედანდიის ნაპირებთან . . . . .	71
თავი მეხუთმეტე—ისევ ყინულებს შორის . . . . .	76
თავი მეექვსმეტე—დალუპული ქვეყანა . . . . .	80
თავი მეჩვიდმეტე—ტაიტელების სამხედრო ფლოტი . . . . .	83
თავი მეთვრამეტე—ახალი ჰიბრიდები და ახალი კალედონია . . . . .	87
თავი მეცხრამეტე—შინისკენ . . . . .	92

91  
ჩ. 878

### IV. უკანასკნელი ცურვა

თავი მეოცე—ცვრები . . . . .	94
თავი ოცდაპირველი—ტასმანია . . . . .	105
თავი ოცდამეორე—კაგურა . . . . .	109
თავი ოცდამესამე—ჭირნახულის დღესასწაული . . . . .	115
თავი ოცდამეოთხე—ომაის დაბრუნება . . . . .	122
თავი ოცდამეხუთე—გავაი . . . . .	126
თავი ოცდამეექვსე—ამერიკა . . . . .	128
თავი ოცდამეშვიდე—მოულოდნელი შეხვედრა . . . . .	132
თავი ოცდამერვე—ქურუმნი და ბელადნი . . . . .	140
თავი ოცდამეცხრე—კუკის სიკვდილი . . . . .	146
<b>V. დასასრული . . . . .</b>	<b>153</b>



ფანკი 1 მან.

91  
ზ 878

